# ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა და განვითარების სტრატეგია



ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

თბილისი, საქართველო. 2012

© Georgian Arts and Culture Center

*კვლევა განხორციელდა* ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული *პროექტის "შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის გაძლიერება აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში: ტრადიციული რეწვა – ერთიანი პლატფორმა განვითარებისთვის" ფარგლებში*

**კვლევის ავტორები:**

მაკა დვალიშვილი, *ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი*

თამარ კიკნაძე, *ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი*

ანა შანშიაშვილი, *ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი*

ირინა მანია, *ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი*

**კონსულტანტები:**

გიორგი ყიფიანი – *იურისტი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია*

ირაკლი კახიძე – *სოციოლოგი, საქსტატი*

ნინო ევგენიძე –*ეკონომისტი, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი*

**საერთაშორისო კონსულტანტები:**

საიმონ ელისი, *იუნესკოს კულტურის სტატისტიკის ექსპერტი*

ინდრასენ ვენკატაშელუმი, *იუნესკოს კულტურული ინდუსტრიებისა და ტრადიციული რეწვის ექსპერტი*

*წინამდებარე პუბლიკაცია განხორციელდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.*

**რუბენ აბსანძის კერამიკული სახელოსნო**
ქ.ზუგდიდი. ტელ.: 555151529

## შინაარსი


შესავალი ..... 6

1. შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები და მათი წვლილი ეკონომიკაში ..... 8

2. ტრადიციული რეწვა, როგორც ეკონომიკური რესურსი: გლობალური ტენდენციები და ეკონომიკურად წარმატებული საერთაშორისო მაგალითები ..... 11

3. ტრადიციული რეწვა როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ..... 13

4. ჩატარებული კვლევის აღწერა და მეთოდოლოგია ..... 15

5. კვლევის საგანი და ტრადიციული რეწვის განსაზღვრება ..... 19

6. ქართული ტრადიციული რეწვის მოკლე ისტორიული მიმოხილვა ..... 23

6.1. ლითონის დამუშავება ..... 23

6.2. კერამიკა ..... 25

6.3. ტიხრული მინანქარი ..... 27

6.4. ხის მხატვრული დამუშავება ..... 27

6.5. ქვაზე კვეთა და გლიპტიკა ..... 28

6.6. ტექსტილი ..... 29

7. ტრადიციული რეწვის სოციალური-ეკონომიკურ მნიშვნელობა ..... 32

8. ტრადიციული რეწვის სექტორის არსებული მდგომარეობა საქართველოში ..... 35

8.1. არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა ..... 35

8.1.1. სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები ..... 35

8.1.2. სამთავრობო და არასამთავრობო ინიციატივები ..... 36

8.2. იურიდიული ბაზა ..... 37

8.2.1. სფეროს იდენტიფიცირების საკითხები ..... 37

8.2.2. საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ ..... 39

8.2.3. საქართველოს კანონი საქართველოდან კულტურულ ფასეულობათა გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ ..... 39

8.2.4. სფეროში სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი ფორმები და დაბეგვრის რეჟიმები, როგორც დაფინანსების მოძიების წყარო ..... 40

8.2.5. კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ..... 43

8.2.6. რეგულაციები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესახებ ..... 44

8.2.7. სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება ტრადიციული რეწვის სფეროში ..... 44

8.3. ადამიანური რესურსები ..... 46

8.3.1. შრომითი რესურსები ..... 46

8.3.2. სქესობრივ-ასაკობრივი, ეროვნული და სოციალური სტრუქტურა ..... 51

8.3.3. ასაკობრივი სტრუქტურა ..... 53

8.3.4. ეროვნული სტრუქტურა ..... 53

8.3.5. სოციალური სტრუქტურა ... 55
8.3.6. ძირითადი მიგნებები და პრობლემები ... 55
8.4. რეგიონალური გავრცელება ... 55
8.4.1. ძირითადი მიგნებები და პრობლემები ... 57
8.5. მწარმოებლების სტრუქტურა სამეწარმეო სტატუსის მიხედვით ... 57
8.5.1. ძირითადი მიგნებები და პრობლემები ... 58
8.6. დარგობრივი სტრუქტურა ... 58
8.6.1. ტექსტილი ... 58
8.6.2. თელვა ... 61
8.6.3. ნაქარგობა ... 63
8.6.4. ქსოვა ... 64
8.6.5. დაზგაზე ქსოვა ... 64
8.6.6. მოჩითული ქსოვილი ... 67
8.6.7. კერვა ... 68
8.6.8. ღებვა ... 68
8.6.9. კერამიკა ... 68
8.6.10. მინანქარი ... 72
8.6.11. ხის დამუშავება ... 73
8.6.12. ლითონის დამუშავება ... 77
8.6.13. ქვა/ძვალი ... 79
8.6.14. მინა, ტყავის და ქაღალდის დამუშავება ... 80
8.6.15. ძირითადი მიგნებები და პრობლემები ... 80
8.7. სახელოსნოები და დანადგარები ... 81
8.8. პროდუქცია, დისტრიბუცია, ბაზარი, მომხმარებელი, გაყიდვები ... 83
8.8.1. პროდუქცია ... 83
8.8.2. ხარისხი ... 85
8.8.3. ფასი ... 85
8.8.4. შეფუთვა და წარდგენა ... 86
8.8.5. მომხმარებელი ... 87
8.8.6. დისტრიბუცია ... 90
8.8.7. გაყიდვების არხები ... 90
8.8.8. ექსპორტი ... 93
8.8.9. ძირითადი მიგნებები და პრობლემები ... 94
8.9. შემოსავლები ... 95
8.10. საგანმანათლებლო ბაზა საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი მიმოხილვა . 97
9. ტრადიციული რეწვის ძირითადი პრობლემები საქართველოში ... 101

9.1. ორგანიზაციული სტრუქტურა ..... 101
9.2. იურიდიული ბაზა ..... 101
9.3. ადამიანური რესურსები ..... 103
9.4. რეგიონალური გავრცელება ..... 103
9.5. მწარმოებლის სტრუქტურა სამეწარმეო სტატუსის მიხედვით ..... 104
9.6. დარგობრივი პრობლემები ..... 104
9.6.1. ტექსტილი ..... 104
9.6.2. კერამიკა ..... 105
9.6.3. მინანქარი ..... 105
9.6.4. ხის დამუშავება ..... 105
9.6.5. ლითონის დამუშავება ..... 105
9.6.6. ქვაზე კვეთა ..... 106
9.6.7. მინა, ტყავი, ქაღალდი, წნული ..... 106
9.7. სახელოსნოები და დანადგარები ..... 106
9.8. პროდუქცია, დისტრიბუცია, ბაზარი, მომხმარებელი, გაყიდვები ..... 106
9.9. საგანმანათლებლო ბაზა, დაწესებულებები და მათი პრობლემები ..... 107
10. რეკომენდაციები ..... 108
10.1. ორგანიზაციული სტრუქტურა ..... 108
10.2. იურიდიული ბაზა ..... 111
10.3. პროდუქციის განვითარება ..... 115
10.4. შეფუთვა და წარდგენა ..... 116
10.5. ინფრასტუქტურა ..... 117
10.6. დისტრიბუცია ..... 118
10.7. ბაზარი, გაყიდვები ..... 118
10.8. პოპულარიზაცია და ბრენდინგი ..... 119
10.9. საგანმანათლებლო ბაზა ..... 119

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი "ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა და განვითარების სტრატეგია" წარმოადგენს საქართველოში 2012-2013 წლებში ჩატარებული ტრადიციული რეწვის სექტორის ინტერდისციპლინარულ კვლევას, რომელიც მოიცავს დარგში არსებული პრობლემების ანალიზს და რეკომენდაციებს, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დახვეწისა და საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისთვის, ისე რეწვის ტრადიციების შენარჩუნების, ბაზარზე ორიენტირებული პროდუქციის განვითარებისა და აღნიშნული სექტორის ეკონომიკურ პლატფორმად გარდაქმნისთვის.

აღნიშნული კვლევა ჩატარდა პროექტის "შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის გაძლიერება, აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში: ტრადიციული რეწვა - ერთიანი პლატფორმა განვითარებისთვის" ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავდა ამიერკავკასიის სამ ქვეყანაში შემოქმედებითი ინდუსტრიების, კერძოდ, ტრადიციული რეწვის სფეროს მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და მონაწილე ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას. იგი განხორციელდა *ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის* მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან – *თბილისის მერიასთან, ევროპის სახლთან, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან, ეკოსფერასთან (აზერბაიჯანი) და არკანელთან (სომხეთი)* თანამშრომლობით. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის მიერ.

პროექტში გათვალისწინებული ღონისძიებები რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავდა, კერძოდ:

**ა.** კვლევითი ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა ტრადიციული რეწვის სექტორის მონაცემთა ბაზისა და ელექტრონული რუკის შექმნას; არსებული პრობლემების გამოკვეთას და სახელმწიფო პოლიტიკის დახვეწისა და საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას.

**ბ.** საგანმანათლებლო კომპონენტი, რომლის მიზანი იყო საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ტრეინინგებით ტრადიციული რეწვის ორგანიზაციებისა და ოსტატების უნარების ამაღლება თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესახებ. ასევე, ბაზარზე ორიენტირებული ტრადიციული რეწვის პროდუქციის წახალისება კონკურსის "რეწვის საუკეთესო პროდუქცია სამხრეთ კავკასიაში" მეშვეობით.საგანმანათლებლო კომპონენტი ასევე შეეხო კულტურის სფეროს სტატისტიკის ევროპული და სხვა საერთაშორისო სტანდარტების (UNESCO-ს, EUROSTAT) გაზიარებასა და პრაქტიკაში დანერგვას.

**გ.** ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებულ კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა მდიდარი ტრადიციების და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული რეწვის ეკონომიკური პოტენციალის აღქმის ამაღლებას და საერთაშორისო კონფერენციითა და სხვადასხვა მედია საშუალებებით ცნების „კულტურის ეკონომიკა" შემოტანას და დამკვიდრებას;

**დ.** თანამშრომლობის, გაერთიანებების წახალისება, რომელიც გულისხმობდა სამი ქვეყნის ტრადიციული რეწვის სექტორის წარმომადგენელთა საერთო ქსელის შექმნას, მის პოპულარიზაციას და ინტეგრაციას ევროპულ სივრცეში.

პროექტის სპეციფიკა, რაც კულტურისა და ეკონომიკის კავშირის გამოკვეთას და შემოქმედებითი ინდუსტრიების, კერძოდ ტრადიციული რეწვის, როგორც დასაქმების, რეგიონალური განვითარების რესურსად წარმოჩენაში მდგომარეობს, თავისთავად გულისხმობდა მრავალდარგობრივ მიდგომას და სექტორთაშორის თანამშრომლობას. შესაბამისად, პროექტის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ როგორც სამთავრობო სექტორის: კულტურის, ეკონომიკის, განათლებისსამინისტროების, შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტების, ადგილობრივი მთავრობების, მუზეუმების, საავტორო უფლებების დამცველი სააგენტოების, ტურიზმის და სტატისტიკის დეპარტამენტების/სააგენტოების, საგანმანათლებლო დაწესებულებების: უნივერსიტეტებისა და პროფესიული განათლების ცენტრების წარმომადგენლები;ასევე

არასამთავრობო სექტორი - კულტურის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები, მცირე და საშუალო საწარმოები და ინდივიდუალური ოსტატები, მათ შორის დიასახლისები, ახალგაზრდები, უნარშეზღუდული და იძულებით გადაადგილებული პირები და რეგიონების მოსახლეობა.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს პროექტის კვლევითი კომპონენტის ფარგლებში საქართველოში ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევისას გამოვლენილი მდგომარეობისა და გამოკვეთილი პრობლემატიკის ანალიზს და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებულ სამომავლო სტრატეგიას, რომელიც თავის მხრივ, მიზნად ისახავს საქართველოში რეწვის სექტორის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას.

## 1. შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები და მათი წვლილი ეკონომიკაში

დღევანდელ მსოფლიოში შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. თუ მეოცე საუკუნე ინდუსტრიალიზაციის პერიოდი იყო, თანამედროვე მსოფლიომ ახლებურად გაიაზრა და წინ წამოწია ინდივიდის, ცოდნის, შემოქმედებითი მიდგომის, როგორც ინოვაციის პირველწყაროს მნიშვნელობა და მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ეკონომიკის განვითარებაში.

"შემოქმედებითი საწყისის, კულტურის, ეკონომიკის და ტექნოლოგიების სინთეზს ძალუძს შექმნას ინტელექტუალური კაპიტალი, რომელსაც, თავის მხრივ, დიდი პოტენციალი აქვს იქცეს სამუშაო ადგილების, ექსპორტის, კულტურული მრავალფეროვნებისა და სოციალური და ადამიანური განვითარების ხელისშემწყობ ფაქტორად. სწორედ ეს არის ის, რასაც შემოქმედებითი ეკონომიკა უკვე ქმნის ბევრ წამყვან ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, დასაქმების, ვაჭრობის, ინოვაციის წახალისების და სოციალური კავშირების გამყარების მიმართულებით."[1] – აღნიშნულია გაეროს 2008 წლის ანგარიშში შემოქმედებითი ეკონომიკის[2] შესახებ.

შემომქდებითი და კულტურული ინდუსტრიების [3] მზარდი ეკონომიკური პოტენციალი ბოლო წლებში ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ აჩვენა. მათ შორისაა, 2006 წელს ევროკომისიის დაკვეთით KEAEuropean Affairs-ს მიერ ჩატარებული კვლევა "კულტურის ეკონომიკა ევროპაში"[4], რომელმაც გამოავლინა, რომ შემოქდებითი ეკონომიკა 2003 წლისთვის ევროპული მშპ-ის 2.6% ქმნიდა და ის დაახლოებით 5 მილიონ ადამიანს ასაქმებდა. აღნიშნულიკვლევის შედეგებმა საფუძველი ჩაუყარა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ შემოქმედებითი ინდუსტრიების როლის აღიარებას. შემოქმედებითი ინდუსტრიების მნიშვნელობის შესახებ არანაკლებ საგულისხმო კვლევას წარმოადგენს გაეროს 2008 წლის "შემოქმედებითი ეკონომიკის ანგარიში"[5], 2009 წელს ასევე ევროკომისიის დაკვეთით KEAEuropean Affairs-ს მიერ ჩატარებული კვლევა "კულტურის ზეგავლენა შემოქმედებითობაზე" [6]. უკანასკნელი პერიოდის კვლევებს შორის მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა Tera Consultant–ის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც 2008 წლისთვის შემოქმედებითი ეკონომიკა ევროკავშირის ქვეყნების მასშტაბით 8.5 მილიონ სამუშაო ადგილს (მთლიანი სამუშაო ძალის 3.8%) და ევროპული მშპ-ის 4.5% ქმნიდა[7].

---

[1] შემოქმედებითი ეკონომიკა თავის თავში აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს, მას გააჩნია ცოდნაზე-დაფუძნებული ეკონომიკის მახასიათებლები, მის მთავარ მამოძრავებელ ძალას კი შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები წარმოადგენს. თავისმხრივ, შემოქმედებითი ინდუსტრიები წარმოადგენს ინდუქტრიებს[1]
The Creattive Economy 2008, UNCTAD/DITC/2008/2, p. iii

[2] The Creattive Economy 2008, UNCTAD/DITC/2008/2, p. 4

[3] კულტურული ინდუსტრიები მიეკუთვნება ინდუსტრიათა იმ რიგს, რომლებიც აერთიანებს არამატერიალური და კულტურული ხასიათის შემოქმედებითი შინაარსის შექმნის, წარმოების და კომერციალიზაციის პროცესს. როგორც წესი, შემოქმედებითი შინაარსი დაცულია საავტორო უფლებით, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს, როგორც პროდუქციის, ისე მომსახურების სახე. კულტურულ ინდუსტრიებში ძირითადად მოიაზრება საგამომცემლო საქმე, აუდიოვზუალური და კინემატოგრაფიული პროდუქცია, ისევე როგორც რეწვა და დიზაინი.
**შემოქმედებითი ინდუსტრიები** აერთიანებს საქმიანობის უფრო ფართო სპექტრს, მათ შორის კულტურულ ინდუსტრიებს და, ასევე, ყველა ტიპის ინდუსტრიას, რომელიც თავის თავში მოიცავს კულტურულ და მხატვრულ ელემენტს და შემოქმედებითი საწყისის აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი ინდუსტრიები კულტურულ ინდუსტრიებთან ერთად მოიცავს არქიტექტურასა და რეკლამას.

[4] The Economy of Culture in Europe, KEA, Study prepared for the European Commission (Directorate-General for Education and Culture), Brussels, October 2006 http://www.keanet.eu/ecoculture/studynew.pdf

[5] The Creative Economy 2008, UNCTAD/DITC/2008/2, http://unctad.org/fr/Docs/ditc20082cer_en.pdf

[6] The Impact of Culture on Creativity, KEA, Study prepared for the European Commission (Directorate-General for Education and Culture), Brussels, June 2009 http://ec.europa.eu/culture/documents/study_impact_cult_creativity_06_09.pdf

[7] The core creative industries generated almost €560 billion of value added and represented approximately 8.5 million jobs in 2008, respectively corresponding to 4.5% of european gdp and 3.8% of european workforce. Tera Consultant, Building a Digital Economy The Importance of saving jobs nin the Eu Cretive Industries, March 2010http://www.teraconsultants.fr/assets/publications/PDF/2010-Mars-Etude_Piratage_TERA_full_report-En.pdf

სექტორის კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ შემოქმედებითი ინდუსტრიების უმეტესი ნაწილი, ევროპის მასშტაბით კი 80%,[8] მიკრო და მცირე საწარმოების სახით ფუნქციონირებს. მცირე და საშუალო საწარმოები და სტარტ-აპ კომპანიები კი, თავის მხრივ, ევროზონის ქვეყნებში ინოვაციის ძირითად ლოკომოტივებს წარმოადგენს. ევროპაში საწარმოთა 98% მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის; ისინი ქმნიან სამუშაო ადგილების 2/3-ს და მთლიანი დამატებითი ღირებულების 60%-ს კერძო სექტორში. რეგიონები, რომლებიც შემოქმედებითობის მაღალი დონით ხასიათდება, უფრო მაღალშემოსავლიანი და სტაბილურია. ისინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში. თეორიის სისწორე, რომლის თანახმადაც მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვანი ბუფერის ფუნქციას ასრულებენ ეკონომიკური დაღმასვლების დროს, კიდევ ერთხელ დაადასტურა 2008 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა. მეტიც, მცირე და საშუალო საწარმოები დასაქმების უფრო სტაბილურ წყაროს წარმოადგენენ; ეკონომიკური დაღმასვლის დროს ისინი ნაკლებად ათავისუფლებენ თანამშრომლებს. 2009 წლის დასაწყისში მსხვილ საწარმოთა რაოდენობა, რომლებმაც დასაქმებულთა რაოდენობა შეამცირეს, ორჯერ აღემატებოდა მცირე და საშუალო საწარმოების და სამჯერ მიკრობიზნესების რაოდენობას, რომელიც ანალოგიურად მოიქცა.

პარალელურად, ბოლო წლებში მიმდინარე კვლევების ფონზე, ადგილი ჰქონდა შემოქმედებითი ინდუსტრიების როლის დეკლარირებას და მათი ხელშეწყობის სტრატეგიების შემუშავებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ევროსაბჭომ აღიარა კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების წვლილი ლისაბონის სტრატეგიით (2000-2010) დასახული მიზნების მიღწევაში და იგი ევროპული ინოვაციური პოტენციალის კატალიზატორად დასახა. 2002 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია (2002/2127 (INI)[9], რომელიც შეეხო კულტურულ ინდუსტრიებს და მათ როლს კულტურული პროდუქციის და მომსახურების შექმნაში, ეკონომიკურ განვითარებაში, განათლებასა და დასაქმებაში, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. კულტურის როგორც ეკონომიკური განვითარების სტიმულატორის ან კატალიზატორის გააზრება გაჟღერებულია იუნესკოს „კულტურის გამოხატულების მრავალფეროვნების დაცვისა და პოპულარიზაციის კონვენციაში“ (პარიზი, 2005), ასევე „ევროპის კულტურის პროგრამაში მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში”, სადაც კულტურულ და შემოქმედებით ინდუსტრიებს განსაკუთრებული როლი ენიჭება. 2009 წელი ევროპაში გამოცხადდა შემოქმედებითობისა და ინოვაციის წლად[10]. შედეგად, დღეისათვის ევროპის და ზოგადად დასავლეთის ქვეყნების უმეტესობაში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება სახელმწიფოს კულტურული, ეკონომიკური და ინდუსტრიული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. შემოქმედებითი ინდუსტრიების როლი ნათლად არის გაცხადებული დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდების, დანიის, შვედეთის, ფინეთის, საფრანგეთის და გერმანიის, იტალიის, პორტუგალიის, ლიტვის, ჩეხეთის, ბულგარეთის, ესტონეთის და ირლანდიის ეროვნულ პოლიტიკაში.[11] საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ მათი ეფექტური განხორციელების შედეგად არაერთი სამუშაო ადგილი შეიქმნა, მრავალი რეგიონი გამოცოცხლდა, გაიზარდა მათი ტურისტული მიმზიდველობა. ამ მხრივ ყველაზე მოწინავე ქვეყანაა დიდი ბრიტანეთი, სადაც შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტმა ჯერ კიდევ 1997 წლიდან შეიტანა საკუთარ სტრატეგიაში. ლონდონში არსებული კულტურული ინდუსტრიების განვითარების სააგენტო სპეციალურად შემოქმედებით სექტორში მოღვაწე მიკრო და მცირე საწარმოების დახმარებისთვისაა შექმნილი. ბრიტანეთის მთავრობის მიერ დაარსებული

[8] The enterpreneurial dimesion of the cultural and creative industries, Untrecht School of Arts K2M ltd, Eurokleis S.r.L, For the Education & Culture DG of the EC, Nomeber 2011., p. 7

[9] http://www.europarl.europa.eu/oeil/popups/summary.do?id=78496&t=e&l=en

[10] Unlocking the potential of the cultural and creative Industries, EC green Paper ( April, 2010). http://ec.europa.eu/culture/our-policy-development/doc/GreenPaper_creative_industries_en.pdf

[11] The enterpreneurial dimesion of the cultural and creative industries, Untrecht School of Arts K2M ltd, Eurokleis S.r.L, For the Education & Culture DG of the EC, Nomeber 2011., p. 51

სპეციალური პროგრამა "შემოქმედებითი ბრიტანეთი" (Creative Britain) მიზნად ისახავს ხელოვნებასა და ეკონომიკას შორის არსებული კავშირების გაღრმავებას. გრძელვადიანი სტრატეგიის მიზანმიმართული განხორციელების შედეგად დიდი ბრიტანეთის შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკური სექტორია. ჯერ კიდევ 2005 წლისთვის ამ სექტორში 1.3 მილიონი ადამიანი იყო დასაქმებული, მისი შემოსავალი კი 112,5 მილიარდი ფუნტი სტერლინგი იყო.

შემოქმედებითი ინდუსტრიების ქვესექტორების კლასიფიკაცია ხშირად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც ქვეყნების სპეციფიკითაა გამოწვეული. თუმცა, მათ შორის ძირითადად მოიაზრება კინო, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა, ხელოვნება და ანტიკვარები, არქიტექტურა, მოდა, დიზაინი, რეწვა, კომპიუტერული თამაშები, რეკლამა, საგამომცემლო საქმიანობა, ტელევიზია და რადიო. აქედან, დღეისთვის, ევროპის მასშტაბით ყველაზე მაღალშემოსავლიანი სექტორებია მოდა (247.189.494 ევრო), დიზაინი (157,112, 932 ევრო), რადიო და ტელევიზია (155.192.531 ევრო)[12].

[12] The enterpreneurial dimesion of the cultural and creative industries, Untrecht School of Arts K2M ltd, Eurokleis S.r.L, For the Education & Culture DG of the EC, Nomeber 2011., p. 78

## 2. ტრადიციული რეწვა, როგორც ეკონომიკური რესურსი: გლობალური ტენდენციები და ეკონომიკურად წარმატებული საერთაშორისო მაგალითები

კულტურული ინდუსტრიების ცალკე დარგად გამოიყოფა ტრადიციული რეწვა, რომელიც ისეთი სექტორების პარალელურად, როგორიცაა მუსიკა, კინო, არქიტექტურა, მოდა და სხვა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა თუ რეგიონის განვითარების უმნიშვნელოვანეს რესურსს და დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის წყაროს წარმოადგენს.

იუნესკოს მონაცემების მიხედვით 2006 წელს გლობალური მასშტაბით რეწვის ოსტატთა ნაწარმის ექსპორტმა 186.5 მილიარდი ა. შ. შ. დოლარს მიაღწია[13].

ტრადიციული რეწვა განსაკუთრებულ როლს თამაშობს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. იუნესკოს ზემოხსენებული მონაცემებით 186.5 მილიარდიდან, 87 მილიარდი, ანუ 47%, სწორედ განვითარებად ქვეყნებზე მოდის.[14] ამ ტენდენციას განსაკუთრებით აძლიერებს ტრადიციული ხელსაქმის და ხალხური რეწვის მცირე დამოკიდებულება ტექნოლოგიურ სიახლეებზე, შესაბამისად, ფინანსურ კაპიტალზე და, ასევე, მისი სიახლოვე ადგილობრივ რესურსებთან და ტრადიციულ ცოდნასთან.

აზია და ევროპა ტრადიციული რეწვის პორდუქციის წამყვანი საექსპორტო რეგიონებია. ინდოეთის წილი ტრადიციული რეწვის პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე 2004 წელს 1.5% იყო, 1.2 მილიონი დოლარის ბრუნვით, 2006 წლისთვის კი ექპორტმა 1.9 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. 2007 წელს ტრადიციული რეწვის პროდუქციით ვაჭრობის ყოველწლიურმა ზრდამ კი 10% შეადგინა. თუმცა ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, მისი წილი ტრადიციული რეწვის პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე 2%-მდე დავიდა.[15]

ეკონომიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით წარმატებული იყო ტაილანდში განხორციელებული პროექტი OTOP One Tambon One Product-ი (ერთი ტამბონი (ტაილანდის ადმინისტრაციული ერთეული) ერთი პროდუქტი), რომელიც 2001 წლიდან მიმიდინარეობს. პროექტის მიზანი იყო ტრადიციული რეწვის შენარჩუნება ტაილანდის სოფლის მოსახლეობაში და მათი შემოსავლის გაზრდა. პროექტის მიზნების მისაღწევად თითოეულ სოფელში მოხდა რეწვის ერთი პროდუქტის იდენტიფიცირება, მათი ხარისხის დახვეწა, თანამედროვე ბაზრის სტანდარტების შემუშავება, პროდუქციის ბრენდინგი, ადგილობრივ მოსახლეობაში მეწარმეობის და ბიზნეს უნარების განვითარება და პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე მარკეტინგი. შედეგად, ტრადიციული რეწვის პროდუქციის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 2002 წლის 2 მილიონი აშშ დოლარიდან 2004 წლისთვის 102 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია[16].

განსაკუთრებით შთამბეჭდავია დიდი ბრიტანეთის რეწვის სექტორში ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც აღნიშნული დარგის ეკონომიკურმა ბრუნვამ 2012 წელს 10.8 მილიარდ ფუნტ სტერლინგს მიაღწია. დიდი ბრიტანეთის ტრადიციული რეწვის სფეროში 169,000 ადამიანია დასაქმებული, რაც ეკონომიკური გათვლებით კიდევ გაიზრდება და 2022 წლისთვის დასაქმებაში ზრდა 12% მიაღწევს. სექტორის წილი დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის მთლიან დამატებით ღირებულებაში 4.4. მილიარდია[17], რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ინდუსტრიის დიდ ეკონომიკურ პოტენციალს.

---

[13] Friel, M., ***Crafts, A hidden heart of creative industries, Tafter Journal; April, 2010.*** Retrieved November 15 from http://www.tafterjournal.it/2010/04/02/crafts-a-hidden-heart-of-creative-industries/.

[14] Friel, M., ***Crafts, A hidden heart of creative industries, Tafter Journal; April, 2010.*** Retrieved November 15 from http://www.tafterjournal.it/2010/04/02/crafts-a-hidden-heart-of-creative-industries/.

[15] Vanaja Menon, Art of Marketing Village Crafts; Challenges in Applying Quantitative Marketing to Resist Recession, p.1.http://www.wbiconpro.com/509-Vanaja.pdf

[16] Creative Industries and Micro & Small Scale Enterprise Development: A contribution to Poverty Alleviation, UNIDO. pp. 31-32 http://www.unido.org/fileadmin/user_media/Publications/Pub_free/69264_creative_industries.pdf

[17] Mapping Heritage Crafts, the economic controbution of crafts sector in England, October 2012, http://blueprintfiles.s3.amazonaws.com/1353320471-Mapping_Heritage_Craft.pdf

ტრადიციული რეწვის პროდუქციის ექსპორტის ზემოთ აღნიშნული მონაცემებით დადასტურებული პოზიტიური გლობალური ტენდენციის და საქართველოში არსებული პოტენციალის გათვალისწინებით, რომელიც ერთი მხრივ განპირობებულია რეწვის უძველესი ტრადიციების დღემდე შემონახული მრავალფეროვნებით, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონისადმი მზარდი ტურისტული ინტერესით, საქართველოში კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ინდუსტრიების განვითარებისა და მისი ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელოვანი პერსპექტივები იკვეთება.

## 3. ტრადიციული რეწვა როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა

2003 წელს იუნესკომ "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია" მიიღო, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა „კულტურული მემკვიდრეობის" მანამდე არსებული გაგება და იგი ძეგლებისა და კოლექციების გარდა გაავრცელა არამატერიალურ მემკვიდრეობაზეც.

კონვენციის მიხედვით არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებულ იქნა ზეპირსიტყვიერი ტრადიციები, მათ შორის ენა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის საშუალება, საშემსრულებლო ხელოვნება, საზოგადოებრივი პრაქტიკა, რიტუალები, დღესასწაულები, ტრადიციული თამაშობები, კულინარია, ადგილობრივი ცოდნა და პრაქტიკა, რომელიც ბუნებასა და სამყაროს უკავშირდება და ბოლოს ტრადიციული ხელოსნობა, რომლის სიცოცხლისუნარიანობაც ზეპირსიტყვიერ ტრადიციებზე, ცოდნასა და უნარებზეა დამოკიდებული.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთეული გამოხატულებებით, რადგან ის, ძირითადად, მრავალი დარგის მომცველია, შესაბამისად, იუნესკოს მიდგომაც კომპლექსურია, ითვალისწინებს რა აღნიშნული სფეროს მრავალმხრივობას.

ტრადიციული რეწვა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დარგებს შორის ყველაზე მატერიალურია, რადგან მისი პროდუქტი მატერიალურია. თუმცა, იმდენად, რამდენადაც რეწვა და ხელოსნობა დაკავშირებულია ცოდნასთან და უნარებთან, რომელიც ზეპირსიტყვიერი ტრადიციით თაობიდან თაობას გადაეცემოდა, კონვენცია სწორედ არამატერიალურ უნარებსა და ცოდნას შეეხება და არა რომელიმე კონკრეტულ ნიმუშს. შესაბამისად, კონვენციის მიზანია არა კონკრეტული ნიმუშის დაცვა, არამედ ტრადიციის შენარჩუნება და თაობიდან თაობაზე გადაცემის უზრუნველყოფა.

ისევე როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვა დარგებს, გლობალიზაციამ დიდი საფრთხე შეუქმნა ადგილობრივი ხელოსნობის ტრადიციებსაც. ხელით შექმნილი რეწვის ნაწარმი ხშირად ვერ უწევს კონკურენციას ქარხნულად წარმოებულ მასობრივ იაფფასიან პროდუქციას, რაც, თავის მხრივ, ზოგიერთი ტრადიციის დაკარგვის საშიშროებას ქმნის. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მრავალი ოსტატი ცდილობს გაუმკლავდეს აღნიშნულ სირთულეს.

კიდევ ერთი სირთულე, რომლის წინაშეც გლობალურად დგას ტრადიციული ხელოსნობა, არის გარემოს დაცვის საკითხები, რამაც ზოგიერთი ბუნებრივი რესურსისა და ნედლი მასალის შეზღუდვა გამოიწვია.

იმდენად რამდენადაც კონვენცია იცავს უნარებსა და ცოდნას, მისი დაცვის მთავარი მექანიზმი, სწორედ განათლების, სწავლების კომპონენტის, ტრადიციის თაობიდან თაობაზე გადაცემის აუცილებლობა და მისი უზრუნველყოფაა.

თუმცა ახალგაზრდების წახალისებისთვის მხოლოდ უნარების ათვისება არ არის საკმარისი, შესამაბისად, იუნესკო ხაზს უსვამს რეწვის პროდუქციის ეკონომიკურ ღირებულებას და მისი ბაზრის ხელშეწყობის აუცილებლობას.ხელნაკეთ პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად ჩნდება ნიშა ამა თუ იმ ხალხის ტრადიციის მატარებელი ნივთების მარკეტინგისთვის, რაც, თავის მხრივ,არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის საუკეთესო გარანტიაა.

ტრადიციული ხელოსნობის ხელშეწყობის და დაცვის კიდევ ერთ მექანიზმად მოიაზრება საავტორო უფლებების დაცვა, რაც ამ უფლების მფლობელ თემებს უპირატესობას ანიჭებს და მათი პროდუქციის დაცვის წინაპირობას ქმნის.

საქართველო "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციას" 2007 წელს მიუერთდა, რითაც სახელმწიფომ აღიარა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა და იკისრა კონვენციით გავთვალისწინებული ვალდებულებები, რაც გულისხმობს: არამატერიალური

კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით მის იდენტიფიკაციას, დოკუმენტირებას, კვლევას, შენახვას, დაცვას, აღორძინებას, პოპულარიზაციას, ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით ახალგაზრდა თაობისათვის მის გადაცემას, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის აღორძინებას.

2012 წლის 24 იანვარს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის №3/28 ბრძანებით დამტკიცდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სააღრიცხვო ბარათი და მისი შევსების წესი.

## 4. ჩატარებული კვლევის აღწერა და მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საქართველოში ტრადიციული რეწვის სექტორის კომპლექსური შესწავლის პირველ მცდელობას, რაც, თავისთავად ართულებდა ამოცანას, იმდენად, რამდენადაც არ არსებობდა საქართველოს რეწვის სექტორის სპეციფიკის შესაბამისი აპრობირებული მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები.

კვლევის მიზნების, შინაარსის და მეთოდოლოგიის შემუშავებისას ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის გუნდი ორგანიზაციის 16 წლიან გამოცდილებასთან ერთად დაეყრდნო სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებულ კვლევებს, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების, მოწვეული მკვლევარების (სოციოლოგი, ეკონომისტი, იურისტი) შეხედულებებს.ამავე დროს გათვალისწინებულ იქნა *არტგენის* მიერ 2010-2012 წლებში ჩატარებული კვლევები: 1. ხალხური შემოქმედების განვითარება საქართველოში; 2. რეწვის და ეთნოკულტურული ტურიზმის ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში.

პროექტის საწყის ეტაპზევე იქნა დადგენილი კვლევის დიზაინი, რომლის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენდა დარგის ისტორიული მნიშვნელობის ანალიზი, არსებული იურიდიული ბაზის, სოციოლოგიური ასპექტების და ეკონომიკური მაჩვენებლების კვლევა; არსებული პროდუქციის ხარისხის, ტექნოლოგიური ჯგუფების, ბაზრის შეფასება; პრობლემების იდენტიფიცირება და ტრადიციული რეწვის სექტორის მდგრადი განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლებისგან:

- მარიამ დვალიშვილი –ხელოვნებათმცოდნე
- ანა შანშიანშვილი – ხელოვნებათმცოდნე
- ირინა მანია – ხელოვნებათმცოდნე
- თამარ კიკნაძე – ეკონომ-გეოგრაფი
- მალხაზ გელაშვილი, გეოლოგი

და მოწვეული მკვლევარებისგან:

- გიორგი ყიფიანი – იურისტი
- ირაკლი კახიძე – სოციოლოგი
- ნინო ევგენიძე - ეკონომისტი

კვლევა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

**I - მოსამზადებელი ეტაპი**

**- სექტორის იდენტიფიცირება**

ვინაიდან ტრადიციული რეწვა როგორც ზოგადად მსოფლიოში, ისე საქართველოში, არ წარმოადგენს მკაცრად განსაზღვრულ სექტორს, კვლევის დაწყების პირველივე ეტაპზე განხორციელდა არსებული განმარტებების და მიდგომების ანალიზი და კვლევის საგნის და შესაბამისი დეფინიციების განსაზღვრა.

ექსპერტების ჯგუფთან ერთად მოხდა ტერმინის – "ტრადიციული რეწვა" – განმარტების შემუშავება, საქართველოსთვის ტრადიციული ტექნოლოგიური დარგებისა და ქვედარგების კლასიფიკაცია, რომელიც საფუძვლად დაედო კვლევის მიმდინარეობას.

- **ტრადიციული რეწვის სექტორზე/მოქმედ ოსტატებსა და ორგანიზაციებზე პირველადი ინფორმაციის შეგროვება**

საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, სტატისტიკურ აღრიცხვაში არ ხდება ტრადიციული რეწვის ცალკე სექტორად გამოყოფა, შესაბამისად, კვლევის დაწყებამდე შეუძლებელი იყო წინასწარი სტატისტიკური მასალის მოძიება.

სექტორის პირველადი მონახაზის შექმნის მიზნით მოხდა ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ბაზის შეჯერება სხვა არსებულ საინფორმაციო ბაზებთან. კერძოდ, მოძიებულ იქნა კულტურის სამინისტროს, ტურიზმის ეროვნული სააგენტოს, თბილისის მერიის, ფესტივალის *არტგენის*, მუნიციპალიტეტების კულტურის განყოფილებების ხელთ არსებული მონაცემები ტრადიციული რეწვის ოსტატებისა და საწარმოების შესახებ. კომბინირებული ბაზის საფუძველზე განხორციელდა სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის და მისი გეოგრაფიული განაწილების წინასწარი შეფასება და საველე სამუშაოების დაგეგმვა.

- **არასტრუქტურირებული და სტრუქტურირებული კითხვარების შემუშავება**

შემუშავდა 6 სხვადასხვა ტიპის არასტრუქტურირებული და სტრუქტურირებული კითხვარი, რომელთა სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ:

- ტრადიციული რეწვის სექტორში დასაქმებული ოსტატები, რომლებიც ეწევიან წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას;
- საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ტრადიციული რეწვის ნაწარმს შემდგომი რეალიზაციის მიზნით;
- ტრადიციული რეწვის ნაწარმის სარეალიზაციო ობიექტების პასუხისმგებელი პირები;
- უცხოელი ტურისტები, რომლებმაც შეიძინეს ტრადიციული რეწვის პროდუქცია;
- ქართველი მომხმარებლები, რომლებმაც შეიძინეს ტრადიცული რეწვის პროდუქცია;
- ადგილობრივი ექსპერტები, რომელთაც გააჩნიათ დარგში არსებული მდგომარეობის და სამომავლო პერსპექტივების ანალიზისთვის სათანადო კომპეტენცია

**II ეტაპი – მონაცემების შეგროვება, საველე სამუშაოები**

**ა. რაოდენობრივი კვლევა**

საველე სამუშაოს მიზანი იყო ერთის მხრივ ტრადიციული რეწვის სექტორში მოღვაწე ორგანიზაციების, ინდივიდების და სარეალიზაციო ობიექტების მონაცემთა ბაზის შექმნა, ხოლო მეორეს მხრივ, მათი ეკონომიკური მაჩვენებლების და აქტუალური პრობლემების გამოკვეთა; ეს კვლევის ყველაზე მასშტაბური, შრომატევადი და რთული ნაწილი იყო.

გამომდინარე იქიდან, რომ რაოდენობრივი კვლევა სექტორის ეკონომიკური შესაძლებლობების განსაზღვრას ისახავდა მიზნად, რესპოდენტების შერჩევის ერთ-ერთიაუცილებელი კრიტერიუმი იყო მათი ბიზნეს აქტივობა. თუმცა ტრადიციული რეწვის სექტორის მონაცემთა ბაზისთვის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, საველე სამუშაოების წარმოებისას ჯგუფი ასევე აღწერდა იმ ოსტატებს, რომლებიცფლობენ ცოდნას, მაგრამ ამჟამად არ ეწევიან ნამუშევრების რეალიზაციას, ან მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ პროდუქციას.

*ტრადიციული რეწვის პროდუქციის მწარმოებელი:* წინამდებარე გამოკითხვამდე აღნიშნული სექტორის კვლევის პრაქტიკის სიმწირის გამო, გართულდა რესპონდენტთა შერჩევის ჩარჩოს განსაზღვრა; შესაბამისად გადაწყდა შეძლებისდაგვარად აღწერილიყო ტრადიციული რეწვის სექტორში მოღვაწე ყველა ხელმისაწვდომი ოსტატი და საწარმო, რომელიც შემდგომი რეალიზაციის მიზნით აწარმოებდა პროდუქციას.

საკონტაქტო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში საველე სამუშაოებს წინ უძღოდა რესპონდეტებთან წინასწარი სატელეფონო კომუნიკაცია, რომელიც მიზნად ისახავდა პოტენციური რესპონდენტის ვალიდურობის დადგენას, რასაც ორი ძირითადი კრიტერიუმი განსაზღვრავდა:

- პროდუქციის ტრადიციასთან კავშირი (ტრადიციული ტექნიკა და დიზაინი, ან რომელიმე მათგანი)
- პროდუქციის რეალიზაცია

ძირითადი საველე სამუშაოები ჩატარდა 2012 წლის ივნისიდან 2013 წლის მარტის ჩათვლით. რაოდენობრივი მაჩვენებლები შეგროვდა 40 მუნიციპალიტეტსა და 3 თვითმმართველ ქალაქში; თვისობრივი თავისებურებების ანალიზი გაგრძელდა 2013 ზაფხულში, რომელმაც კიდევ 6 მუნიციპალიტეტი და 1 თვითმმართველი ქალაქი დაფარა.

სულ მოხდა დაკავშირება 537 ერთეულთან, აქედან გამოკითხული იქნა 37 საწარმო და 434 ინდივიდუალური ოსტატი, რომელთაგანაც რაოდენობრივი კვლევისთვის ვალიდური იყო 31 საწარმო და 373 ოსტატი.

ტრადიციული რეწვის მეწარმეთა იდენტიფიცირება და ტექნოლოგიური ჯგუფის განსაზღვრა დარგის სპეციფიკის კომპეტენციას მოითხოვდა, რის გამოც საკმაოდ შეზღუდული იყო ინტერვიუერების რაოდენობაც. საველე სამუშაოები განახორციელეს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ მეთოდოლოგიის შერჩევაში, რამდენიმე წელია მუშაობენ ცენტრში მიმდინარე ტრადიციული რეწვის განვითარების პროგრამაში და გაიარეს სპეციალური ტრენინგი კითხვარების შევსებასა და სიღრმისეული ინტერვიუების წარმოებაში.

ინტერვიუს თან ახლდა მონაცემთა ბაზისთვის რეწვის ოსტატების, ორგანიზაციების და სარეალიზაციო ობიექტების შესახებ საკონტაქტო ინფორმაციის შევსება-დაზუსტება და მათი ნამუშევრების/მაღაზიების ფოტოგრაფირება, რაც, თავის მხრივ, საველე სამუშაოების დროს წარმოებულ დაკვირვებებსა და მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დარგის ხარისხობრივი და თვისობრივი თავისებურებების ანალიზის საშუალებას იძლევა.

*<u>სავაჭრო ობიექტები:</u>* ტრადიციული რეწვის პროდუქციის და მისი ეკონომიკური პოტენციალის შესაფასებლად კვლევამ მოიცვა ტრადიციული რეწვის სარეალიზაციო ობიექტები, რომელთა მფლობელებმაც თანხმობა განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე. სულ გამოიკითხა 32 სხვადასხვა ტიპის სავაჭრო ობიექტი.

*<u>მომხმარებელი:</u>* ღირებულებათა ჯაჭვის სრულყოფილად გამოვლენის მიზნით კვლევაში ჩართული იქნა მომხმარებლის პოზიციაც, რომელიც მოიცავდა:

- *უცხოელ ტურისტებს*
- *შიდა მომხმარებლებს*

მომხმარებლის დამოკიდებულების კვლევისთვის რესპონდენტები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის გზით. გამოკითხულ იქნა 100 შიდა მომხმარებელი და 90 უცხოელი ტურისტი.

**ბ. თვისებრივი კვლევა (სიღრმისეული ინტერვიუ)**

სიღრმისეული ინტერვიუს კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა არასტრუქტურირებული კითხვარი, ხოლო რესპოდენტებს დარგის კომპეტენტური ექსპერტები. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ემსახურებოდა ერთის მხრივ საკითხის სიღრმისეულ შესწავლას და მეორეს მხრივ კვლევის ინსტრუმენტის სრულყოფას. ინტერვიუ ჩატარდა ტრადიციული რეწვის სფეროს 10 ადგილობრივ ექსპერტთან.

**III ეტაპი**

**- მონაცემების დამუშავება[18]**

მონაცემების დამუშავება მოხდა SPSS20.0 ფორმატში. მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა შემდეგ ეტაპებად:

[18] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 2. ტრადიციული რეწვის სექტორის კვლევის სოციოლოგიური ანგარიში. კახიძე ი. 2013. გვ. 5

- ღია კითხვების კოდირება;
- მონაცემთა ფაილის მომზადება;
- მონაცემთა შეყვანა;
- მონაცემთა ბაზის გაწმენდა;
- მონაცემთა ბაზის დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი;
- **სექტორის არსებული მარეგულირებელი იურიდიული ჩარჩოს კვლევა**[19]

ჩატარდა ტრადიციულ რეწვასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციებისა და საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის კვლევა. კერძოდ გაანალიზდა საქართველოს კანონი "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ", "საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ", კულტურული ფასეულობების საქართველოდან გატანის ნებართვასთან, საგადასახადო კოდექსთან, ბუნებრივი რესურსების მოხმარებასთან და სხვა დაკავშირებული საკითხები.

- **ეკონომიკური მონაცემების ანალიზი, გათვლები და პერსპექტივები**[20]

ეკონომიკური კვლევა მოიცავდა საქართველოში ტრადიციული რეწვის ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზს, დარგის წარსული და ამჟამინდელი როლის განსაზღვრას ქვეყნის ეკონომიკაში.

- **მონაცემთა ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება**

კვლევის შედეგად მიღებულმა სტატისტიკურმა ინფორმაციამ, ისევე როგორც საველე სამუშაოების დროს წარმოებულმა დაკვირვებებმა და მიღებულმა გამოცდილებამ, ტრადიციული რეწვის სექტორის ხარისხობრივი და თვისობრივი თავისებურებების ანალიზის საშუალება შექმნა.

კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების ანალიზზე დაყრდნობით შემუშავებული იქნა რეკომენდაციები როგორც შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების, ისე ამ სექტორში მოღვაწე არასამთავრობო სექტორის მიმართ. რეკომენდაციები მოიცავს იურიდიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვით და სხვა მიმართულებებს.

[19] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 1. ტრადიციული რეწვის სექტორის იურიდიული ბაზის კვლევის ანგარიში. ყიფიანი გ. გვ 2. 2013

[20] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 3. ტრადიციული რეწვის სექტორის ეკონმიკური კვლევის ანგარიში. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი 2013

## 5. კვლევის საბანი და ტრადიციული რეწვის განსაზღვრება

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა "ტრადიციული რეწვის" სექტორის და მისი ქვედარგების განსაზღვრა და იდენტიფიცირება.

ტრადიციული რეწვა როგორც ზოგადად მსოფლიოში, ისე საქართველოში რთულად იდენტიფიცირებადი სფერაა იმდენად, რამდენადაც მისი წარმოება არაფორმალურ დონეზე მიმდინარეობს და მასში ტრადიციულ ხელოსნობასთან ერთად, შეიძლება მოიაზრებოდეს სხვა მომიჯნავე დარგებიც. საერთაშორისო დონეზე ტრადიციული რეწვის იდენტიფიცირებას და საერთაშორისო განსაზღვრების შემუშავებას ასევე ართულებს ის გარემოებაც, რომ ყოველ ქვეყანას ახასიათებს მისთვის სპეციფიკური დარგის თუ კატეგორიის განვითარება.

"ტრადიციული რეწვა" საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არ არის რეგულირებული, შესაბამისად ის განცალკევებულ რეგულირების სივრცეს არ წაარმოადგენს. მისი ზუსტი დეფინიცია, მისი მახასიათებელი ნიშნები, საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება, რაც თავისთავად საგრძნობლად ართულებს კვლევის არეალის განსაზღვრას. მიუხედავად იმისა რომ "კულტურის შესახებ" საქართველოს კანონში გვხვდება "ხალხური რეწვა და ხელობა", როგორც "კულტურის სფეროს" შემადგენელი ნაწილი, თვით ხალხური რეწვა განმარტებული არ არის, ასევე არ არის დაფიქსირებული მისი ნიშნები თუ სხვა მახასიათებლები[21] [22].

გამომდინარე იქიდან, რომ ზემოთხსენებული ჩანაწერის გარდა საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში „ტრადიციული რეწვა", როგორც ხალხური რეწვის სფერო დაფიქსირებული არ არის, და ვინაიდან "ტრადიციული რეწვა" ფაქტობრივად დერეგულირებულია, კვლევის დროს გამოიკვეთა იმ სფეროების ანალიზის აუცილებლობაც, რომლებიც ამ დარგთან ყველაზე მჭიდრო კავშირშია. "ტრადიციულ რეწვასთან" თვისობრივად ყველაზე ახლოს მყოფი სამართლებრივი სისტემა "კულტურული მემკვიდრეობაა" - სივრცე, რომლის ფარგლები, ნიშნები, სტატუსი და სხვა სამართლებრივი დეტალები დადგენილია საქართველოს კანონით "კულტურული მემკვიდრეობის" შესახებ. განსაკუთრებით კი მისი შემადგენელი "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა". რათქმაუნდა "ტრადიციული რეწვის" სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობით და ის საქმიანობის უფრო ფართო სპექტრს აერთიანებს.

ამასთანავე დეტალური ინფორმაცია, რეგულირების პრინციპები, როგორც ტრადიციული რეწვის, ასევე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მეტწილად საერთაშორისო აქტებში და დოკუმენტებშია მოცემული[23].

ყურადსაღებია, რომ ამ საკითხთან მიმართებაში სხვადასხვა ქვეყანას, თუ ორგანიზაციას სხვადასხვა დეფინიციები აქვს შემუშავებული, მაგალითად დიდ ბრიტანეთში ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა რეწვის საბჭო, ხელოვნების საბჭო, ეროვნული მემკვიდრეობის ტრეინინგის ჯგუფი და სხვა, საკუთარი დეფინიციებით სარგებლობენ, რაც მათ სამიზნე ჯგუფების ზუსტ განსაზღვრაში ეხმარება.[24]

---

[21] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 1. ტრადიციული რეწვის სექტორის იურიდიული ბაზის კვლევის ანგარიში. ყიფიანი გ. 2013 გვ 4.

[22] საქართველოს კანონი კულტური შესახებ. მუხლი 5.
https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31402&lang=ge

[23] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 1. ტრადიციული რეწვის სექტორის იურიდიული ბაზის კვლევის ანგარიში. ყიფიანი გ. 2013 გვ 4.

[24]Crafts Occupation stabdars Board (COSB), Crafts Council, Arts Council, National Heritage Training Group sakutari definiciebi aqvT SemuSavebuli.(Towards a Definition of Heritage Craft Prepared for Creative & Cultur al Skills by Hilary Jennings p.16

http://blueprintfiles.s3.amazonaws.com/1344600067-Towards-a-Definition-of-Heritage-Craft-final-draft.pdf)

იუნესკოს განმარტებით[25] ტრადიციულად მოიაზრება პროდუქცია, რომელიც:

- შექმნილია რეწვის ოსტატის მიერ ხელით ან მექანიკური საშუალებების გამოყენებით;
- წარმოებულია რაოდენობაში შეუზღუდავად
- მდგრადი რესურსების გამოყენებით
- გამორჩეულია ესთეტიური, მხატვრული, რელიგიური და სიმბოლური ნიშნით

საქართველოში აღნიშნული სექტორი ძირითადად მოიხსენიება, როგორც "ხალხური რეწვა", რომელიც მოიცავს რეწვის ტრადიციული დარგების ერთობლიობას, თუმცა მათი იდენტიფიცირების უმთავრეს კრიტერიუმს მათი "ხალხური" საწყისები წარმოადგენს. ეს, თავის მხრივ, ზღუდავს აღნიშნული სფეროს ფარგლებს და ის მხოლოდ "ხალხური" წარმოშობის ხელოსნობამდე დაჰყავს.

"ხალხური" საწყისების გარდა რეწვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური ძეგლები და სამუზეუმო კოლექციები, მათი ფორმები და ორნამენტული მოტივები. ამდენად, წინამდებარე კვლევისთვის სექტორის აღმნიშვნელ ტერმინად შერჩეულ იქნა "ტრადიციული რეწვა", რომელიც, "ხალხურისგან" განსხვავებით, ზემოხსენებული მემკვიდრეობით ინსპირირებულ მიმართულებებსაც მოიცავს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ "რეწვის" სფეროში ძირითადად მოიაზრება ტრადიციული ტექნოლოგიები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, თუმცა ტექნოლოგიურ წინსვლასთან ერთად რეწვაც ვითარდება, რაც ტექნოლოგიური სიახლეების შემოტანას და პროცესის ცვლილებას იწვევს.

თავისთავად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რეწვა "ცოცხალი" დარგია, რომელიც მუდმივად ვითარდება, ამდენად აღნიშნული სექტორის კვლევაში მისი ეს თავისებურება აუცილებლად უნდა იყოს ასახული. დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის ანგარიშში "მემკვიდრეობა ჩვენს ხელთაა" აღნიშნულია, რომ უმნიშვნელოვანესია ტრადიციული რეწვის განვითარების აღიარება და "მემკვიდრეობასა" და "ძველს" შორის პრინციპული განსხვავების დანახვა.[26]

ამავდროულად, ტრადიციული ტექნოლოგიების გარდა, ამ დარგის უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ფორმები, ფერთა შეხამება, ორნამენტული მოტივების მთელი არსენალი და მათთან დაკავშირებული ფუნქციური, მხატვრული თუ სიმბოლური ასპექტები, რაც სექტორის იდენტიფიცირებაში მათ ჩართვას მოითხოვს.

***ტრადიციული რეწვა***

*ტრადიციულ რეწვაში მოიაზრება შემოქმედებითი ან მინაბაძის შექმნის პროცესი, რომლის შედეგადაც მხოლოდ ხელით ან ნაწილობრივ მექანიკური საშუალებებით იქმნება პროდუქცია, რომელიც ეფუძნება როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მოტივებს, ისე არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას და ხალხური რეწვის ტრადიციებს.*

***ტრადიციული რეწვის ნაწარმი***

*ტრადიციული რეწვის ნაწარმში მოიაზრება ტრადიციული ტექნიკით და/ან დიზაინით შესრულებული პროდუქცია, რაც გულისხმობს ტრადიციულ ფორმებს, ორნამენტულ მოტივებს, რომელთა შექმნაში ხელით შრომას მნიშვნელოვანი როლი უკავია.*

[25] http://portal.unesco.org/culture/en/ev.php-URL_ID=35418&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html

[26] **Towards a Definition of Heritage Craft Prepared for Creative & Cultur al Skills by Hilary Jennings p.15 http://blueprintfiles.s3.amazonaws.com/1344600067-Towards-a-Definition-of-Heritage-Craft-final-draft.pdf)**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე წინამდებარე კვლევისთვის შესაფერის ტერმინად განისაზღვრა "ტრადიციული რეწვა", რომლის მთავარ კრიტერიუმად ტრადიციული ტექნოლოგიის, ტრადიციული დიზაინის (ფორმები, ფერთა შეხამება, ორნამენტული მოტივები და ა.შ.) ან ერთერთი მათგანის აუცილებელი არსებობა და ხელნაკეთობა (ან ნაწილობრივ ხელნაკეთობა) დადგინდა.

შესაბამისად, შემუშავებული დეფინიციის მიხედვით ტრადიციული რეწვის სფეროდან გამოირიცხა არატრადიციული ტექნოლოგიით შექმნილი თანამედროვე დიზაინის ხელნაკეთი ნივთები და ასევე ტრადიციული დიზაინის, მაგრამ მხოლოდ მექანიკური საშუალებებით შექმნილი პროდუქცია (მასობრივი წარმოების სუვენირები და სხვა). (შენიშვნა: ამგვარი პროდუქციის გაერთიანება შესაძლებელია "ხალხური რეწვის" ცალკე ქვე-განხრად, განსხვავებული ნიშნებით, ტექნოლოგიებითა და მახასიათებლებით; აღნიშნული განხრა წინამდებარე კვლევის საგანს არ წარმოადგენს)

ტრადიციული რეწვის განსაზღვრების შემუშავების შემდგომი საფეხური იყო საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული დარგების/ქვედარგების და ფუნქციური კატეგორიების იდენტიფიცირება. აღსანიშნავია, რომ ხშირად, ტექნოლოგიური და ფუნქციური ჯგუფები ერთ კატეგორიაშია მოქცეული. (მაგ. კერამიკა, ყანწი), მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ერთი ფუნქციური კატეგორიის ნაწარმი შესაძლოა სხვადასხვა ტექნოლოგიით იყოს შესრულებული, გამოიკვეთა ამ ორი ჯგუფის – ტექნოლოგიური და ფუნქციური, გამიჯვნის აუცილებლობა, რაც თავის მხრივ, მონაცემთა მეტი სიზუსტის წინაპირობაა. ამგვარი დაყოფა საფუძვლად დაედო ტრადიციული რეწვის მწარმოებელთა კითხვარებს.

**ცხრილი 1 საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ტრადიციული რეწვის ტექნოლოგირი ჯგუფები და ქვეჯგუფები**

| | |
|---|---|
| **1. ტექსტილი** | |
| 1.1 | ქსოვა (ჩხირი, ყაისნაღი ა.შ) |
| 1.2 | დაზგაზე ქსოვა (ხალიჩა, გობელენი, ფარდაგი) |
| 1.3 | თელვა (თექა) |
| 1.4 | მოჩითული ქსოვილი |
| 1.5 | ნაქარგობა |
| 1.6 | კერვა |
| **2. კერამიკა** | |
| 2.1 | ჩარხზე ამოყვანილი |
| 2.2 | ჩამოსხმული |
| 2.3 | წნეხვა |
| **3. მინა** | |
| 3.1 | მინა |
| **4. მინანქარი** | |
| 4.1 | ჭედური (ღრმული) |
| 4.2 | ტიხრული |
| 4.3 | ფერწერული |
| **5. ხის დამუშავება** | |
| 5.1 | ხის დამუშავება |
| **6. ტყავის დამუშავება** | |
| 6.1 | ტყავის დამუშავება |
| **7. ქაღალდის დამუშავება** | |
| 7.1 | ქაღალდის დამუშავება |
| **8. ლითონის დამუშავება** | |
| 8.1 | ჭედურობა |
| 8.2 | ჩამოსხმა |
| 8.3 | საიუველირო საქმე |
| **9. ქვის/ძვლის დამუშავება** | |
| 9.1 | კვეთა |
| 9.2 | მოხატული |
| 9.3 | გლიპტიკა |
| **10 შერეული** | |
| **11 სხვა** | |

**ცხრილი 2. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ტრადიციული რეწვის ფუნქციური ჯგუფები და ქვეჯგუფები**

| |
|---|
| ავეჯი |
| რელიგიური დანიშნულების ნაკეთობები |
| აქსესუარები |
| დეკორატიული კომპოზიციები |
| თოჯინა/სათამაშო |
| იარაღი |
| ინტერიერის აქსესუარები |
| კალათა/გოდორი |
| მუსიკალური საკრავები |
| სამკაულები |
| სამოსი |
| სუვენირები |
| ჭურჭელი |
| ხალიჩა/ფარდაგი |
| სხვა |

# 6. ქართული ტრადიციული რეწვის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო უძველესი დროიდან გამოირჩეოდა ტრადიციული რეწვის დარგების მრავალფეროვნებით. საქართველოს ყველა კუთხესა თუ რეგიონს თავისი ისტორია, კულტურა და თვითმყოფადი სახე გააჩნია. სწორედ ეს განაპირობებს ქვეყნის კულტურულ მრავალფეროვნებას და მის ხიბლს. ტრადიციული რეწვა და ხელსაქმე საქართველოს რეგიონების მრავალფეროვნების განუყოფელი ნაწილია და ამ თვალსაზრისით, ყველა კუთხეს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნია. საქართველოში ყველაზე გავრცელებულ დარგებს მიეკუთვნება ლითონის დამუშავება, მინანქარი, კერამიკა, ხეზე და ქვაზე კვეთა, ტექსტილი, რომელიც მოიცავს ქარგვას, ქსოვას, მათ შორის ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვას, თელვას, მოჩითვას და სხვა.

## 6.1. ლითონის დამუშავება

რეგიონში არსებული მდიდარი ბუნებრივი რესურსების წყალობით საქართველოში მეტალურგიული ტრადიცია ჯერ კიდევ ადრეული ბრინჯაოს ხანიდან განვითარდა, კერძოდ ძვ.წ. IV-III ათასწლეულში, როდესაც სამხრეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურა იყო გავრცელებული (ძვ წ. 3500-2400). უკვე ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა მოწმობს ლითონის დამუშავების მაღალ ოსტატობას, რაც კიდევ უფრო ვითარდება შუა ბრინჯაოს ხანაში, ე.წ. ყორღანულ კულტურაში. ამის დასტურია სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მარტყოფისა და ბედენის აღმოჩენები, სადაც ვხვდებით როგორც იარაღებს, ისე სამკაულს: ბეჭდებს, ყელსაბამებს, ქინძისთავებს, რომლებიც უმაღლესი ოსტატობითაა შესრულებული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იორ-ალაზნის მიმდებარე ტერიტორიების აღმოჩენები, მათ შორის კი გამორჩეულია ძვ. წ. XXIII–XXII საუკუნეების ლომის მინიატურული ქანდაკება, რომელიც ცვილის დაკარგვის ტექნიკითა და ცვარას იმიტაციითაა შესრულებული. მას მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება.

ლითონის მხატვრული დამუშავება განსაკუთრებულ სიმაღლეებს განვითარებულ (ძვ. წ. XX-XVI) საუკუნეებში ყორღანულ კულტურაში, ე.წ. თრიალეთის კულტურაში აღწევს. ძვირფასი ქვებით ინკრუსტირების ე.წ. პოლიქრომიული სტილი, რომელიც ამ პერიოდში დომინირებს, ნათლად აისახა ისეთ ნიმუშებზე, როგორიცაა თრიალეთის ცნობილი ყელსაბამი აქატის გულსაკიდით და თრიალეთის ოქროს თასი. ცალკე აღნიშვნის ღირსია თრიალეთის ვერცხლის თასი, რომელზეც ერთ-ერთ პირველ სიუჟეტურ კომპოზიციას ვხვდებით.

ძვ. წ. XIV–VII საუკუნეში, რომელიც გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის სახელითაა ცნობილი დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება კოლხეთის სამეფო, რომელიც ე.წ. კოლხური ცულების წარმოებით გამოირჩევა. კოლხური ცული, რომელიც გრავირებული ზოომორფული ორნამენტითაა დაფარული საფუძველს უყრის ადგილობრივ კავკასიურ "ცხოველურ სტილს", ტრადიციას, რომელიც შემდგომში გავრცელებულ ბრინჯაოს გრავირებულ სარტყლებსა და ბრინჯაოს ჩამოსხმულ ბალთებში ჰპოვებს თავისებურ გაგრძელებას.

განვითარებული მეტალურგიული ტრადიციების გამო ძველმა ბერძნებმა ერთ-ერთი ქართველური ტომი – ხალიბები მეტალურგიის დამფუძნებლებად მიიჩნიეს.

ძვ. წ. VI-III საუკუნეებში მნიშვნელოვან წინსვლას განიცდის კოლხური ოქრომქანდაკებლობა, რაც თავისებურად აისახა არგონავტების მითში ოქრომრავალი კოლხეთის შესახებ.ცხვრის ტყავით მდინარეში ოქროს მოპოვების ძველკოლხური ტრადიცია, დღესაც შემორჩენილია მთიან სვანეთში.

კოლხური ოქრომჭედლობის სიმაღლეებზე მიუთითებს ვანისა და საირხის უმდიდრესი აღმოჩენები, სადაც განსაკუთრებით გავრცელებულია ცვარას ტექნიკა, რომელიც მინიატურული ზომის ოქროს ბურთულების მირჩილვას გულისხმობს. ყელსაბამები, დიადემები, სასაფეთქლეები, თავსამკაული, საყურეები დღესაც აოცებს მნახველს თავისი დახვეწილი ფორმითა და შესრულების ოსტატობით.

ვანის პარალელურად ოქრომჭედლობის ცენტრი ვითარდება აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. IV საუკუნეში. ახალგორის განძი და მისი ცნობილი ცხენებიანი სასაფეთქლეები, რომელიც ამ ნიმუშებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.

პარალელურად, აღმოსავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო მცხეთა, სადაც თავის იყრის როგორც აღმოსავლური, ისე ანტიკური გავლენები. ამ პერიოდის მცხეთის ოქრომჭედლობისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ძვირფასი ქვებით ინკრუსტაცია ე.წ. ტიხრული ინკრუსტაცია, რასაც ემატება ცვარას და გრეხილის გამოყენებაც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ანტიკური სამყაროს გავლენით გავრცელებული გლიპტიკა: კამეისა და ინტალიოს ტექნიკის პოპულარობა.

ძველი მცხეთის პოლიქრომიული სამკაული, განსაკუთრებით კი ტიხრული ინკრუსტაცია შემდგომში თავისებურ გაგრძელებას ჰპოვებს შუა საუკუნეების ხელოვნებაში, რომელიც თავის მხრივ, ლითონმქანდაკებლობის ნიმუშების საოცარი სიმდიდრით გამოირჩევა.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ გარკვეულწილად შეცვალა ლითომქანდაკებლობის გეზი, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ჭედური ხატების, ჯვრების და სხვა რელიგიური დანიშნულების ნივთების შესაქმნელად.

ერთ-ერთი უძველესი ნიმუში 886 წლით დათარიღებული ზარზმის ფერიცვალების ხატია, რომელიც კარგად ასახავს ქრისტიანული სახისმეტყველების სახასიათო სიბრტყობრივ-დეკორატიული სტილს. X საუკუნის ბოლოდან ეს სტილი იცვლება შედარებით მოცულობითი და პლასტიკური ჭედურობით, რომელიც თავის მწვერვალს XI საუკუნეში აღწევს. მარტვილის ჯვარი, საღოლაშენის და შემოქმედის ლორფინები, წმ. მამაის ტონდო და მესტიის საკურთხევლისწინა ჯვარი ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების შედევრებს მიეკუთვნება. თავის მხრივ, მესტიის ჯვარი სვანეთის ჭედური სკოლის ნიმუშია, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი მდიდარი ტრადიციებით, ძლიერი პლასტიკური ხაზითა და უშუალო, ხშირად ხალხური გამომსახველობით.შუა საუკუნეების ჭედური ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ნივთები დღესაც ამშვენებს სვანეთის არაერთ ეკლესიას.

XII საუკუნიდან ქართულ ოქრომჭედლობაში განსაკუთრებით მატულობს დეკორატიული საწყისი, რისი საუკეთესო მაგალითიც მინანქრის მუზეუმად წოდებული ხახულის კარედია, რომლის ფონიც ვაზის სტილიზებული ორნამენტითაა დაფარული. XII საუკუნის ბოლოს განსაკუთრებით იზრდება ორნამენტის როლი და ის თავისი მნიშვნელობით ფიგურულ გამოსახულებებს უტოლდება. ამ მხატვრული ტენდენციის საუკეთესო ნიმუშებს თამარ მეფის ეპოქის ცნობილი ქართველი ოქრომჭედლების ბექა და ბეშქენ ოპიზრების შემოქმედებაში ვხვდებით.

თამარის ეპოქის შემდეგ, მუდმივი შემოსევების შედეგად ქართული ლითონმქანდაკებლობის განვითარება შეფერხდა. წინა საუკუნეების მაღალმხატვრულ ნიმუშებთან შედარებით საგრძნობლად დაეცა შესრულების ხარისხი, თუმცა XV-XVIII საუკუნეებში ქვეყნის ტერიტორიაზე კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი ცენტრები, დასავლეთ საქართველოში – ლევან დადიანის სახელოსნო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ე.წ. "კახეთის" სკოლა, რომელიც ოქროზე კვეთის თავისებური ტექნიკით გამოირჩევა. XIX საუკუნის ოქრომჭედლებს შორის გამოირჩევა პეპუ მეუნარგიას შემოქმედება.

ქართული ლითონმქანდაკებლობის საეკლესიო მიმართულების პარალელურად, მდიდარი მეტალურგიული ტრადიციები არსებობდა ხალხურ ხელოვნებაში. მჭედლობის ცნობილი ცენტრი იყო რაჭა, რომელიც ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან გამოირჩევა თავისი მეტალურგიული ტრადიციებით.

ქართველები ოდითგანვე ცნობილი მეიარაღეები იყვნენ. XVIII-XIX საუკუნეში საქართველოში, კერძოდ თბილისში, განსაკუთრებით პოპულარული ხდება ე.წ ბაწარაულის ტექნიკით შესრულებული ცივი იარაღი, რომელიც დიდ მოწონებას იმსახურებდა მთელ კავკასიაში, რუსეთსა და ევროპაში. ამ პერიოდშივე ფართო გავრცელება ჰპოვა სევადისა და ზარნიშის მხატვრულმა ტექნიკამ, რომელიც იარაღის, სამკაულის და ჭურჭლის მოსართავად გამოიყენებოდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის "ძველ თბილისური" ვერცხლის ნაწარმი, რომელიც იმ პერიოდის თბილისურ ჰამქრებში იქმნებოდა. ვერცხლის ჭურჭლის, აზარფეშების, თასების, ყარყარების მორთულობაში ხშირად ვხვდებით იმ პერიოდის კავკასიაში გავრცელებულ სტილს, სადაც მცენარეულ ორნამენტში ფიგურალური, ხშირად ძველთბილისური ტიპაჟების გამოსახულებებია ჩართული.

შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების ხანგრძლივმა ტრადიციამ თავისებური გაგრძელება ჰპოვა საბჭოთა პერიოდში, როდესაც ჭედური ნიმუშების თემატიკა საეკლესიოს ნაცვლად ეროვნულ მოტივებზე შესრულებული საერო მოტივებით შეიცვალა.

## 6.2. კერამიკა

საქართველოში კერამიკის წარმოება უძველესი დროიდან იწყება. ქართულ კერამიკას განსაკუთრებით გამოარჩევს ღვინის ჭურჭლის მრავალფეროვნება, რაც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია მეღვინეობის უძველეს ტრადიციებთან. ქვევრი, კულა, ხელადა, აზარფეშა, დოქი, ფიალა, სურა, მარანი – ზიარჭურჭლის ნაირსახეობა, რომელიც, თავის მხრივ, ზოომორფული და ანტროპომორფული ფორმების უჩვეულო სიმდიდრით ხასიათდება, ჭინჭილა, ხელადა და მრავალი სხვა ამის ნათელი დადასტურებაა.

თიხის ნაკეთობის პირველი ნიმუშები ჯერ კიდევ ნეოლითის ხანის ანუ ძველი წელთაღრიცხვის VIII ათასწლეულს მიეკუთვნება. ისინი ძირითადად ხელნაკეთია და სუსტი გამოწვითა და გაკრიალებით, ვარდისფერი ან რუხი ფერით, მარტივი ფორმებით, ჭდეული გეომეტრიული ორნამენტითა და ნაძერწი კოპებით ხასიათდება. ნეოლითის ხანის მსგავსად მომდევნო ხანის, ანუ ენეოლითის კერამიკა (VI-V ათასწლეული) კვლავ ხელნაკეთია, თუმცა ჩნდება ჯამები და დოქები, ყურებიანი ჭურჭელი, გვხვდება რელიეფური დაკლაკნილი ზოლებით გაფორმებული, მოხდენილი, კარგად გაკრიალებული ნაკეთობანი.

კერამიკის წარმოება განსაკუთრებით მაღალ დონეზე ადის ადრე ბრინჯაოს ხანაში (III ათასწლეული), როდესაც მთელ სამხრეთ კავკასიაში "მტკვარ-არაქსის" კულტურა ყალიბდება. ამ დროს ჩნდება ახალი ტიპის-შებოლილი კერამიკა: ჩარხის გარეშე დამზადებული შავი და რუხი ფერის ნაწარმი, რომელშიც იმატა ფორმათა მრავალფეროვნებამ. სპირალების, ჩიტების გამოსახულებებით და სხვა სიუჟეტური კომპოზიციებით გამდიდრდა რელიეფურად ნაძერწი დეკორი.

შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკა (III ათასწლეულის დასასრული II ათასწლეულის I ნახევარი), რომელიც დიდ ყორღანულ სამარხებშია მოპოვებული, გვაოცებს თავისი მაღალმხატვრულობით და შესრულების დახვეწილი ტექნიკით. დიდი ზომის ჭურჭელი: პითოსები, ჰიდრიები შემკულია რელიეფური დეკორით. ცალკე ჯგუფს ქმნის მოხატული კერამიკა, რომელზეც ნახატი თიხაზე ყავისფერით ან მუქწითელ ფონზე შავი ფერით კეთდება.

გვიან ბრინჯაოს ხანის კერამიკა (ძვ. წ. ა. XV-VII სს.) უკვე მორგვზე კეთდება. ხასიათდება შავი ან რუხი ფერით და შემკულია გეომეტრიული ორნამენტით. ისტორიულ კოლხეთში ჭურჭელს უკეთდება ზოომორფული ყურები, აღმოსავლეთში ანუ იბერიაში კი დამოწმებულია ფორმებისა და ზოომორფული მოტივების სიმრავლე. აქვე II ათასწლეულის დასასრულს ჩნდება მოჭიქული კერამიკაც.

ანტიკური ხანის კერამიკა – დიდი კოლხური პითოსები შემკულია ჰორიზონტალური ზოლებით და ვერტიკალური რელიეფური ხაზებით. შებოლილ კერამიკაზე გვხვდება ბრინჯაოს ნაკეთობებისათვის დამახასიათებელი ზოომორფული გამოსახულებებიც. ელინისტური პერიოდის კერამიკა კოლხეთში იგივე ხასიათისაა, მრავლად მზადდება ამფორები. ჩნდება ბერძნული კერამიკული ნაწარმის მიბაძვა. აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია წითელი საღებავით გაფორმება და თიხის ფერის შენარჩუნება. აქ გავრცელებული ფორმაა ცალყურა დოქი, ზოგჯერ სამტუჩა პირით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოხატული, დიდი ზომის პითოსები, სადაც ორნამენტულ ზოლებს შორის მოთავსებულია სიუჟეტური კომპოზიციები – ნადირობის, ბრძოლის სცენებით.

შუა საუკუნეების პერიოდის კერამიკა (IV-XVIII სს.) ფორმათა მრავალფეროვნებით და მოჭიქული კერამიკის წარმოებით ხასიათდება. აქ ხშირად ვხვდებით ორნამენტულ მოტივებში ჩართულ ზოომორფულ და ანტროპომორფულ გამოსახულებებს.

თუ IX-X საუკუნის კერამიკა ხან ამოკაწრული, ხანაც საღებავით დატანილი მცენარეული ორნამენტით გაფორმებული, მთლიანად მოჭიქული დაბალი და ღრმა ჯამებითაა წარმოდგენილი, XI-XIII საუკუნის ნაწარმი ფორმების მრავალფეროვნებით (ჯამები, ხელადები, სასმისები, ჭრაქები, სამარილეები) მწვანე, ცისფერი ან ღია შინდისფერი, იშვიათად ლურჯი ჭიქურით ხასიათდება, რომელიც ჭურჭლის მხოლოდ შიდა ნაწილს ფარავს, გარე მხარე კი მოუჭიქავი რჩება. ორნამენტული მრავალფეროვნებით ხასიათდება ჯამები, სადაც ვხვდებით როგორც ამოკაწრული ორნამენტით გაფორმებულ ერთი ფერის ჭიქურით დაფარულ ჯამებს, ისე მრავალი ფერით მოჭიქულ ჯამებს, რომლებზეც ვხვდებით ჯვრების, გეომეტრიულ და მცენარეულ, ზოომორფულ და ანტროპომორფულ გამოსახულებებს.

შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ძირითად კერამიკულ ცენტრებს წარმოადგენდა თბილისი, დმანისი, რუსთავი, იყალთო, კასპი, გუდარეხი. აღნიშნულ ცენტრებში წარმოებული კერამიკა ამიერკავკასიის და ახლოაღმოსავლურ ნაკეთობებთან იჩენს სიახლოვეს.

საქართველოში მონღოლთა შემოსევებით გამოწვეული წყვეტის შემდეგ მხოლოდ XVIII საუკუნეში ხდება კერამიკული წარმოების აღორძინება. ამ დროს უმეტესად მზადდება მოხატული კერამიკა. XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ფართოდ ვითარდება ხალხური კერამიკა, როგორც მოუჭიქავი, ისე მოჭიქული. ამ პერიოდის საქართველოში აღირიცხებოდა კერამიკული წარმოების ორმოცდაათამდე ცენტრი, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბოდბისხევი, მაჩხაანი, თელავი, ვარდისუბანი, რუისპირი, ნინოწმინდა, კაკაბეთი, თბილისი, მცხეთა, გორი, შროშა, დაბლაგომი, საირმე, წალენჯიხა, ნაგომარი.

განსაკუთრებით პოპულარული იყო გორის მოჭიქული კერამიკა, რომელიც თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: აქ მზადდებოდა როგორც ყვითელჭიქურიანი მწვანე საღებავით მოხატული კერამიკა, ისე მოიასამნისფრო ჭიქურზე მწვანე ორნამენტული სახეებით გაფორმებული ჭურჭელი.

მოუჭიქავი კერამიკის ცნობილი ცენტრები აღმოსავლეთ საქართველოში იყო თელავი, დასავლეთ საქართველოში კი – შროშა. თბილისში მუშაობდა ათობით კერამიკული ქარხანა, რომელიც ჭურჭელს უშვებდა. ამ პერიოდის ნაკეთობებს ახასიათებდა მაღალმხატვრული დონე, დახვეწილი ფორმა, დეკორის სიმდიდრე და შესრულების მაღალი ოსტატობა.

XIX საუკუნის კერამიკული ტრადიციები XX საუკუნისის დასაწყისის ჩათვლით გაგრძელდა.1959 წლიდან კი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში კერამიკა-მინის კათედრასთან არსებული სასწავლო-ექსპერიმენტული სახელოსნოს დაარსებასთან ერთად განვითარება დაიწყო თანამედროვე ქართულმა პროფესიულმა კერამიკის სკოლამ.

XX საუკუნის მანძილზე კერამიკის წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრები იყო შროშა, იყალთო, ასევე მცხეთა და ზუგდიდი, სადაც კერამიკული და ფაიფურის ქარხნები ფუნქციონირებდა და არაერთი კერამიკოსი იყო დასაქმებული.

## 6.3. ტიხრული მინანქარი

ტიხრული მინანქარი შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების უდიდესი მონაპოვარია. მინანქრის მედალიონები, იქნებოდა ეს წმინდანთა მცირე ზომის ხატები, ჯვრები თუ ორნამენტული მოტივები, ძირითადად საეკლესიო ნივთების შესამკობად გამოიყენებოდა.

საქართველოში დაცული კოლექცია, რომელიც მოიცავს როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ ნიმუშებს, მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია. ტიხრული მინანქრის განვითარებას საქართველოში თავისი წინაპირობები ჰქონდა, რასაც მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ტიხრული ინკრუსტაციით გაფორმებული ნივთების მრავალფეროვნება მოწმობს. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ახ. წ. აღ. 170-180 წლებით დათარიღებული ასფარუგის ხმლის ქარქაში, რომლის შესრულების ტექნიკაც ძალზე ახლოს დგას ტიხრული მინანქრის ტექნოლოგიასთან.

ბიზანტიაში ტიხრული მინანქარი VI საუკუნიდან ჩნდება, მაგრამ ამ დროისთვის ის მხოლოდ უმნიშვნელო ორნამენტული მოტივების სახით არსებობს. ქართული ტიხრული მინანქრის ევოლუცია კი VIII საუკუნიდან იწყება, უფრო ადრეული ძეგლები არ მოგვეპოვება. მინანქრის ადრეული ძეგლები მუქი ზურმუხტისფერი მინანქრით ამოვსებული ფონით ხასიათდება, რასაც მოგვიანებით ოქროს ფონი ცვლის. ქართულ მინანქარს ბევრი რამ აქვს საერთო ბიზანტიურთან, კერძოდ კი, შესრულების ტექნიკა, ფერადოვანი გამა და იკონოგრაფია, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად მათ შორის პრინციპული განსხვავებაც არსებობს, რაც, უპირველეს ყოვლისა, განსხვავებულ ხასიათშია გამოხატული. ბიზანტიურ დახვეწილ, დახვეწილ, მკაცრ სახეებს უპირისპირდება ქართული სადა, ზოგჯერ გულუბრყვილო, თავისებური ექსპრესიის მქონე გამოსახულებები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს XII საუკუნის  ხახულის ღვთისმშობლის კარედი, რომელიც სხვადასხვა დროის (VIII-XII სს.) ქართული და ბიზანტიური წარმოშობის მინანქრის 115 დეტალს შეიცავს. მისი ცენტრალური, ღვთისმშობლის ხატის ხელები და სახე კი მსოფლიოში მინანქრის ყველაზე დიდი ნიმუშია. თავისი მასშტაბითა და მხატვრული ღირებულებით ხახულის კარედს ხშირად ვენეციის პალა დ'ოროს ადარებენ.

XV საუკუნიდან (რომელი პერიოდიდანაც მხოლოდ ორი წმინდა გიორგის ფირფიტაა შემორჩენილი) ქართული ტიხრული მინანქარი წყვეტს თავის არსებობას. მისი ტრადიციების აღორძინება კი მხოლოდ XX საუკუნის ბოლოს მოხერხდა.

დღეისათვის ტიხრული მინანქრის წარმოება ფართოდ არის გავრცელებული. ის მოიცავს როგორც ტრადიციულ რელიგიურ თემატიკას, ისე თანამედროვე სამკაულს და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს.

## 6.4. ხის მხატვრული დამუშავება

ხის მხატვრულ დამუშავებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს როგორც ქართულ საეკლესიო, ისე საერო ხუროთმოძღვრებასა და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში. საქართველო განსაკუთრებით მდიდარია შუა საუკუნეების ხეზე კვეთის ნიმუშებით. X-XI საუკუნეების ჩუკულის, ჯახუნდერის (სვანეთი), ლაშეს-ვანის, მღვიმევის (იმერეთი) ეკლესიებისა და სხვა არაერთი ტაძრის კარები ბრწყინვალედ შესრულებული ჩუქურთმითა და სკულპტურული ფიგურებითაა შემკული. მათი სტილი სავსებით შეესაბამება XI საუკუნის ქვის რელიეფებისა და ჭედური ხელოვნების სტილს, რომელიც, თავის მხრივ, გამორჩეულია შესრულების მაღალი

დონით, დახვეწილი პლასტიკითა და პროპორციებით. ხის კარებისთვის მასალად უმეტესად კაკალს იყენებდნენ. გარდა საკუთრივ კარებისა, შემორჩენილია მათი ჩარჩოები და კანკელების ხის კოჭები (მაგ. მელესი ქართლში), რომლებიც ასევე შემკულია ხეზე კვეთილი ჩუქურთმით.

საეკლესიო ხელოვნების პარალელურად, ხეზე კვეთა ქართული ხალხური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგი იყო, რასაც თვალნათლივ მოწმობს გლეხური საცხოვრებელი სახლის ინტერიერი და ხალხური ავეჯი: სავარძლები, საკარცხლები, სკამ-ლოგინები, სკივრები, კიდობნები, აკვნები, მუსიკალური ინსტრუმენტები (ჩონგურები, სალამურები), ჭურჭელი და სხვა. ავეჯის მოჩუქურთმება განსაკუთრებით გავრცელებული იყო საქართველოს მთიან რეგიონებში. ხალხური ორნამენტული სახეების არსენალი ძირითადად გეომეტრიულ ორნამენტს, ასტრალურ სიმბოლოებს, სტილიზებულ ანტროპომორფულ და ზოომორფულ მოტივებს მოიცავს და საერთოა როგორც ავეჯის, ისე ხალხური ხუროთმოძღვრული დეკორისთვის.

ხალხურ ხუროთმოძღვრებაში, იქნება ეს ქართლური თუ მესხური დარბაზის, იმერულ-გურულ-მეგრული ოდების, სვანური სახლის – მაჩუბის თუ სხვა რეგიონების საცხოვრებლის ინტერიერისა თუ ექსტერიერის გაფორმება, ხეზე კვეთას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დარბაზის ერთ-ერთი მთავარი ელემენტის – დედაბოძის მორთულობა, რომელიც გეომეტრიული ორნამენტით, სტილიზებული ანტროპომორფული გამოსახულებებით და სხვადასხვა ასტრალური სიმბოლოებით არის შემკული. თავისებურ ტექნიკას ვხვდებით ახალციხური დარბაზის საუკეთესო ნიმუშებში, სადაც დარბაზის კედლები შემოსილია ინკრუსტირებული ხის პანელებით, რომელთა რთული ნახატის სახეები აწყობილია პატარა სამკუთხა, სწორკუთხა ან რომბის ფორმის პროფილირებული ფირფიტებით.

თუ აღმოსავლეთ საქართველოს დარბაზებში და სვანურ მაჩუბში ჩუქურთმა ძირითადად შიდა სივრცეშია გამოყენებული, დასავლეთ საქართველოს ოდებში დეკორით უმთავრესად აივნის ბოძები და თავხეები იფარებოდა. ამასთან დასავლურ - ქართული ხეზე კვეთილი ჩუქურთმა უფრო ნაზია და წმინდა, ვიდრე აღმოსავლური. ჩვეულებრივი სამკუთხოვანი ჩაჭრის ტექნიკის გარდა აქ დიდ გავრცელებას პოულობს მცენარეული მოტივების კვეთა ჰორიზონტალურ გლუვ ფონზე, რაც მეტად იშვიათია აღმოსავლეთ საქართველოში.

ოდა სახლის საბოლოო კლასიკური სახე XIX საუკუნეში (განსაკუთრებით II ნახევრიდან) შემუშავდა. ამ დროს საქართველოს ყველა კუთხეში სახლის ხუროთმოძღვრულ გადაწყვეტაში წამყვან ადგილს შენობის ექსტერიერი იკავებს. აივანი უკვე ყველგან იქცა სახლის მთავარ ელემენტად, მისი გაფორმება კი – ოსტატის ძირითად საზრუნავად. ამის საუკეთესო მაგალითად თბილისში ჩამოყალიბებული საცხოვრებელი სახლის ტიპი იქცა, გადმოკიდებული ფართო ხის აივნით, რომლის ფორმებიც შემდგომში საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში გავრცელდა. ხეზე კვეთის ძველმა ტრადიციებმა ახალი პირობების შესაფერისად იცვალა სახე: გაჩნდა აივნის გრეხილი სვეტები და ცხოველხატული სვეტისთავები, რთული ჭვირული ნახატის თაღები და ჩარჩოები, ფიცარში ამოჭრილი მოაჯირების მრავალფეროვანი სახეები, რომლებიც, თავის მხრივ, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ორნამენტული მოტივებიდანაა ნასესხები.

დღეისთვის ხეზე კვეთა ფართოდ გამოიყენება ტაძრების კარებების, ანალოღიების, ჯვრების და სხვა საეკლესიო ნივთების შესამკობად. ამავდროულად, სხვადასხვა რეგიონში შემორჩენილია ტრადიციული ავეჯისა და ინტერიერის აქსესუარების წარმოების რამდენიმე ცენტრი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია სვანეთი, რაჭა და ზემო აჭარა, სადაც ხეზე კვეთა და ხალხური ხუროთმოძღვრების ტრადიციები ჯერ კიდევ შემონახულია.

## 6.5. ქვაზე კვეთა და გლიპტიკა

ნახევრადძვირფასი თუ ძვირფასი ქვების დამუშავება საქართველოში უძველესი დროიდან იწყება, განსაკუთრებულ განვითარებას კი ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნისთვის იბერიის დედაქალაქში – მცხეთაში აღწევს. საკმარისია აღინიშნოს მრავალი პორტრეტული თუ სხვა გამოსახულებიანი გემმა და კამეა მცხეთის (არმაზისხევის, ბაგინეთის, სამთავროს) კლდეეთისა და ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეთა სხვა სამარხებიდან. ამ ნიმუშებს შორის ქვაზე ფაქიზად კვეთის ხელოვნების ნამდვილი შედევრებიც მოიპოვება. გემები (ამოღრმავებით ნაკვეთი გამოსახულებანი) და კამეები (რელიეფურად ნაკვეთნი) პატიოსან თვლებზეა ამოჭრილი და შემდეგ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა თუ რკინის სხვადასხვა სამკაულშია (მეტწილად ბეჭდებში) ჩასმული. იბერიაში მათი ფართო გავრცელება აქ სათანადო სახელოსნოების არსებობის ვარაუდსაც წარმოშობს. ანტიკური გლიპტიკის უდავო გავლენის პარალელურად შეინიშნებოდა კავშირი აღმოსავლურ პართულ და მცირეაზიურ გემმებთან. ამავე პერიოდში ჩნდება ეგვიპტური გემმებიც.

ადრე შუა საუკუნეების დასაწყისში საქართველოში ძირითადად ანტიკური დასავლური გემები გვხვდება, შემდეგ კი წამყვანი როლი აღმოსავლურ, სასანურ გემმებს ენიჭება. ყურადღებას იქცევს ადგილობრივი ოსტატების ნამუშევრებიც. VII-VIII სს-დან განვითარებულ შუა საუკუნეებამდე გლიპტიკა ძირითადად გვიანდელი ხანის სასანური საბეჭდავების მიბაძვით ვითარდება. გვიანი შუა საუკუნეების საბუთებში, ზეპირსიტყვიერებასა და მწერლობაში გვხვდება ტერმინები და ცნობები, რომლებიც ეხება საბეჭდავებს, მათ მასალას, ფორმებს, დამზადების წესს. შემონახულია როგორც საბეჭდავები, ისე მათი ანაბეჭდები. ზოგიერთი მათგანი მაღალი ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს (ზურმუხტზე ჭრილი ანტონ კათალიკოსის საბეჭდავი). გვხვდება გერბის გამოსახულებიანი საბეჭდავები. ამ მხრივ საგანგებოდ აღსანიშნავია კათალიკოს დომენტი II-ის (XVIIს.) საბეჭდავი, რომლის ოსტატს ძველი რელიგიური სიუჟეტები ახლებურად, თავისი ეპოქის შესაბამისად გადმოუცია. XIX საუკუნის საბეჭდავების უდიდესი ნაწილი წარწერიანია, გვხვდება გერბის გამოსახულებიანი საბეჭდავებიც.

გლიპტიკის პარალელურად შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ გავრცელდა რელიეფური ხელოვნება, რომელიც ტაძრების ფასადების, კანკელების და სტელების შესამკობად გამოიყენებოდა. ადრე შუა საუკუნეების ელინისტურ გავლენებს გარდამავალ ხანაში (VIII-IX საუკუნეებში) ცვლის ხაზობრივ-დეკორატიული სტილი, რომელიც სიბრტყობრიობით, უტრირებული ფორმებით და სტილიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. X-XI საუკუნეები შუა საუკუნეების ქართული პლასტიკის ოქროს ხანაა. დახვეწილი ფორმები და პროპორციები, შესრულების მაღალი ოსტატობა და ორნამენტული მოტივების მრავალფეროვნება ამ პერიოდის ქვაზე კვეთის ნიმუშების თავისებურებას წარმოადგენს. აღნიშნული ტენდენცია გრძელდება XII-XIII საუკუნეების მანძილზეც. მომდევნო პერიოდის ქვაზე კვეთის ნიმუშებში აშკარაა ორნამენტის სქემატიზაცია, გვიანი შუა საუკუნეების რელიეფებისთვის კი დამახასიათებელი ხდება პირობითობა და ხალხურ საწყისების წინ წამოწევა.

XIX საუკუნეში ქვაზე კვეთის უმნიშვნელოვანეს დარგად ყალიბდება საფლავის ქვების მორთვის ხელოვნება, რომელიც XIX საუკუნეში XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა. ქვაზე კვეთილი პორტრეტების სიმრავლე ამ პერიოდში აღნიშნული დარგის განსაკუთრებულ პოპულარობაზე მეტყველებს.

დღეისათვის ქვაზე კვეთის ხელოვნება გამოიყენება ტაძრის ფასადების, კანკელების მორთულობაში, გლიპტიკა კი პოპულარულია როგორც საეკლესიო ნივთების, ისე სამკაულის წარმოებაში.

## 6.6. ტექსტილი

საქართველოში ქსოვილის წარმოებას უძველესი დროიდან მისდევდნენ. შესაბამისად, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ქსოვილის დამზადების და დამუშავების

ტექნოლოგიური და მხატვრული ხერხები იქნება ეს დაზგაზე თუ ჩხირზე ქსოვა, თელვა, ქარგვა, ქსოვილის დაჩითვა თუ სხვა.

ხელსაქმეში დაოსტატება ქალისთვის ოდითგანვე აუცილებელი მოვალეობა იყო. შესაბამისად, ისინი ბავშვობიდანვე სწავლობდნენ მატყლის, სელის, კანაფის, აბრეშუმის დამუშავებასა და ღებვას. ქსოვილებისა და ძაფების შესაღებად ბუნებრივი საღებავები გამოიყენებოდა, რასაც "ტუტისღებვა" ეწოდებოდა.

თექის წარმოების კვალს საქართველოში უძველესი დროიდან ვხვდებით. მისი განვითარების ისტორია ძირითადად მთიან რეგიონებს უკავშირდება (თუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, სვანეთი, ზემო რაჭა, ჯავახეთი და ა.შ.). სამატყლე ჯიშის ცხვარი განსაკუთრებით გავრცელებული იყო თუშეთში. ამდენად, საუკეთესო ნაწარმად საქართველოში თუშური თექა მიიჩნევა, რომელიც მარტივი და დახვეწილი ორნამენტით გამოირჩევა. მოთელილი მატყლისგან ძირითადად სამოსელი და ინტერიერის აქსესუარები მზადდებოდა.

მხატვრული ხერხებისა და შესრულების ტექნიკის მრავალფეროვნებით გამოირჩევა ქართული ნაქარგობა, რომელიც გამოიყენებოდა როგორც საეკლესიო ნივთების შესამკობად, ისე საერო სამოსის და საყოფაცხოვრებო ნივთების და აქსესუარების გასაფორმებლად.

შუა საუკუნეების ნაქარგობის მდიდარი კოლექცია, რომელიც მოიცავს ლიტურგიული დანიშნულების ნივთებს: გარდამოხსნებს, სამღვდელო პირთა შესამოსელს და ა.შ., ძირითადად ოქრომკედითაა შემკობილი. ნაქარგობაზე არსებული საქტიტორო წარწერები, ეკლესია-მონასტრების ცხოვრების წესის აღმნუსხველი დოკუმენტები მიგვანიშნებს, რომ საეკლესიო დანიშნულების ნაქარგობა ეკლესია-მონასტრებსა და დიდგვაროვან ოჯახებში იქმნებოდა. შესაბამისად, ქართული საეკლესიო ნაქარგობის ჩვენამდე მოღწეული ბრწყინვალე ნიმუშები შესრულების მაღალი ოსტატობით და ფერთა დახვეწილი შეხამებით გამოირჩევა, რაც მათ შუა საუკუნეების ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ნიმუშებად აქცევს.

ნაქარგობას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა სხვადასხვა კუთხის სამოსის გაფორმებაში, იქნება ეს ქალის გრძელი, სარტყლით და ჩიხტიკოპით დამშვენებული კლასიკური ქართული კაბა, თუ მთიანი რეგიონების სამოსი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია ხევსურული სამოსელი – "ტალავარი", რომელიც მუქი ლურჯი ან შავი შალისგან (ტოლი) იკერებოდა. ქალის სამოსი შედგებოდა "სადიაცოსგან" და ზემოდან მოსასხამი "ქოქლოსგან", რომელიც გეომეტრიული ორნამენტის რთული აპლიკაციით, ჯვრული ნაქარგობით და წვრილი მძივის შემკულობით იყო მორთული. მორთულობისთვის ასევე გამოიყენებოდა ლითონის მონეტები, ძვლის ღილები, რომლებსაც საკრალური ფუნქცია ჰქონდა. ნაქარგობით იყო გაფორმებული მამაკაცის სამოსიც "სამხედრიონი", რომელიც  დაფარული იყო ჯვრისა და მნათობთა სიმბოლოებით. სამოსის განუყოფელი ნაწილი იყო ნაქსოვი წინდები, ხშირად "დაშიბვის" ტექნიკით შესრულებული პაჭიჭები, "თათები", ან ჩითები.

საქართველოში ტრადიციული რეწვის მნიშვნელოვანი დარგი იყო ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვა, რომელიც ჯერ კიდევ ნეოლითის ხანა იღებს სათავეს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეულით დათარიღებული ილტოს ნამოსახლარი, სადაც აღმოჩნდა ვერტიკალური საქსოვი დაზგისა და საბეჭურის ფრაგმენტი. აგრეთვე ბედენის №15 სამარხი (ძვ. წ. XIX ს.), სადაც საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ქსოვილის, თექისა და ფარდაგის უძველესი ფრაგმენტები იქნა მოკვლეული.
საქართველოში მეხალიჩეობის კერები იყო კახეთში, თუშეთში, ხევსურეთში, სამხრეთ საქართველოში (ახალციხე) და სხვა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხევსურული და თუშური ხალიჩებისა და ფარგადების მუქი ფერების თავშეკავებული პალიტრა, რომელიც განსხვავდება მეზობლად მდებარე ბარის კახეთში შექმნილი ნამუშევრების ფერთა გამისგან, რომლებშიც, თავის მხრივ, აღმოსავლური გავლენები ჭარბობს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეაბრეშუმების ტრადიციები, რომლის ისტორიაც საქართველოში სავარაუდოდ, V საუკუნეში იწყება. აბრეშუმის პარკი და მისი ნაწარმი საქართველოს სპარსეთის ბაზარზე გაჰქონდა. მეაბრეშუმეობის განსაკუთრებული აღმავლობა

შეინიშნება XIX-XX სს-ში, როდესაც ქართული აბრეშუმის ექსპორტი ქვეყნისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო.

ქსოვილის მხატვრული გაფორმების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ე.წ. "ლურჯ სუფრას", რომელიც XIX საუკუნეში ფართოდ გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. „ლურჯი სუფრა" ქსოვილის "ნეგატიური" ღებვის ტექნიკით იქმნებოდა. ქსოვილზე ნახატი ხის საჩითავი ყალიბებით დაიტანებოდა. "ლურჯი სუფრისთვის" ტიპიური ორნამენტული მოტივები და ზოომორფული  და ანტროპომორფული გამოსახულებები (ირმები, ლომები, თევზები, ჩიტები და სხვა) ხშირად უძველეს ხალხურ ორნამენტის მოტივებიდანაა ნასესხები. ცნობილია, რომ "ლურჯი სუფრა" მხოლოდ სადღესასწაულო შემთხვევებში იშლებოდა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს აღნიშნულ გამოსახულებათა საკრალურ მნიშვნელობაზე. ქსოვილი გაფორმებას საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ახასიათებდა ორნამენტის სისადავე და ბუნებრივი საღებავებით მიღებულ ფერთა შეხამების თავშეკავებული ხასიათი, რაც თავის მხრივ, ქართული ხელოვნების ზოგადი, ყველა დარგისთვის საერთო თავისებურებაა.

## 7. ტრადიციული რეწვის სოციალური-ეკონომიკურ მნიშვნელობა

ტრადიციული რეწვა ოდითგანვე იყო შინამეურნეობის განუყოფელი ნაწილი. იგი ერთი მხრივ, ემსახურებოდა ოჯახის სამოსით, სამუშაო იარაღებით, საოჯახო და სხვა ნივთებით უზრუნველყოფას და, ამავე დროს, წარმოადგენდა აღებ-მიცემობის საგანს. სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ხელოსნური ნაწარმი არა მარტო ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად საგნად იქცა. საწარმოების და ინდუსტრიალიზაციის განვითარებამ ნელ-ნელა ჩაანაცვლა ხელოსნური ნაწარმი, თუმცა ტრადიციული რეწვა ჯერ კიდევ დიდ როლს ასრულებდა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეკონომიკაში, როცა ქვეყანაში წარმოებისა და მომსახურების ძირითადი ტვირთი ამქრებსა და მათ გაერთიანებებზე მოდიოდა.

XIX საუკუნის თბილისში ამქრობა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, რომელიც პროფესიულთან ერთად სოციალურ სტრუქტურასაც წარმოადგენდა. ამქარს საკუთარი განაწესი გააჩნდა, რომელთანაც მრავალი წესი, ადათი და ჩვეულება იყო დაკავშირებული. ხელოსნობის თვითოეულ დარგს საკუთარი ამქარი ჰყავდა. ამ ორგანიზაციაში შესვლა შეეძლო ყველა ადგილობრივად მცხოვრებ ხელოსანს განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა. ამქარს ჰყავდა თავისი გამგეობა, რომელსაც განაგებდა უსტაბაში (ოსტატების თავი). ყველა ამქარს საკუთარი დროშა ჰქონდა, რომელზეც გამოხატული იყო გერბი, ამქრის სიმბოლო. უსტაბაშის არჩევა ხდებოდა კენჭისყრით. ამქარს გააჩნდა საკუთარი წესდება, რომლითაც მკაცრად იყო დაცული კოლეგიალობა. ქალაქის მოსახლეობა, მდიდარი თუ ღარიბი, თვლიდა, რომ ხელობის ცოდნა აუცილებელი იყო, სწორედ ამიტომ ისინი თავიანთ მცირეწლოვან შვილებს ამქარში ოსტატს აბარებდნენ. ჩვეულებრივ შეგირდობა 5-6 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. შემდგომი ეტაპი ქარგლობა იყო. ქარგალს შეგირდისგან განსხვავებით უფლება ჰქონდა თავად აერჩია ოსტატი. ამ ეტაპების გავლის შემდეგ მოწაფე ოსტატი ხდებოდა, საკუთარი დამღის უფლებით. ამქარის წესდება განსაზღვრავდა როგორც ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობას, ისე ამქრის წევრების ოჯახების მოვლა-პატრონობის წესებსაც.[27]

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ხელოსნური დამზადების გვერდით ფეხს იკიდებს ჯერ მანუფაქტურული, ხოლო შემდეგ კი – ქარხნულ-ფაბრიკული წარმოებაც.

ტრადიციული რეწვის აღორძინებისა და მისი ეკონომიკური პოტენციალის წახალისების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი შესარულა კავკასიის კუსტარულმა კომიტეტმა, რომელიც 1899 წელს შეიქმნა რუსეთის იმპერიის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. მისი მიზანი იყო რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის მასშტაბით ხალხური ხელოსნობისა და ხელოვნების შემორჩენილი კერების აღრიცხვა-აღნუსხვა და კავკასიის, როგორც ხელნაკეთი ნივთების ექსპორტიორის, პოტენციალის დადგენა. ეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე მოძრაობების გარკვეული გამოძახილი იყო, რომელთა მიზანი მასობრივი პროდუქციის საპირისპიროდ, ხელნაკეთი ხელოვნების ნიმუშების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშების შექმნა და მათი მხარდაჭერა იყო (ბრიტანული ხელოვნებისა და ხელოსნობის მოძრაობის და რუსეთის აბრამცოვოს კოლონია). კომიტეტის შტაბ-ბინა თბილისში მდებარეობდა. ორგანიზაციის მიზანი იყო შეესწავლა არსებული ხალხური ხელოვნების კერები (განსაკუთრებული აქცენტი მეხალიჩეობაზე კეთდებოდა, რადგანაც მოთხოვნილება საერთაშორისო ბაზარზე ხელნაკეთი ძველი კავკასიური ხალიჩებისადმი ძალზე მაღალი იყო). კავკასიის კუსტარული კომიტეტის მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი) ტერიტორიებზე სხვადასხვა სახელოსნოები დაარსდა, სადაც ტრადიციული ხალხური რეწვის დარგების საფუძვლეზე ახალი ნივთები იქმნებოდა. კავკასიის კუსტარულ კომიტეტის ლაბორატორიებს, ისევე, როგორც რუსეთსა და ინგლისში, პროფესიონალი მხატვრები ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც ტრადიციული ფორმებითა და

[27] ი. გრიშაშვილი, თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბილისი, 1927, გვ. 38-52

ძველი ორნამენტული სახეების გამოყენებით, ახალ ნიმუშებსა და ესკიზებს ქმნიდნენ. კომიტეტის საქმიანობა, ასევე, ითვალისწინებდა ტრადიციული, ხალხში შემორჩენილი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების შეგროვებას, რასაც თბილისში კავკასიის კუსტარული კომიტეტის მუზეუმის დაარსება მოჰყვა (დღევანდელი დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების მუზეუმი). ამავე კომიტეტის ინტერესების სფეროში შედიოდა კავკასიაში ისეთი ტრადიციული დარგების აღორძინება როგორიცაა, მაგალითად, მეაბრეშუმეობა. თბილისში მუშტაიდის ბაღში 1887 წელს გაიხსნა მეაბრეშუმეობის სადგური, სადაც ადგილობრივ აბრეშუმს ამუშავებდნენ. ამავე ადგილას მალევე დაარსდა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი უნიკალური აბრეშუმის მუზეუმი, რომლის საექსპოზიციო კარადები კუსტარული კომიტეტის სახელოსნოებში დამზადდა. კავკასიის კუსტარული კომიტეტი განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდა მეხალიჩეობის აღორძინების დარგში - მეხალიჩეობის სხვადასხვა ხალხურ კერებში გროვდებოდა ტრადიციული ნახატები და პროფესიონალი მხატვრების (სტრაუმე და დავით ციციშვილი) მიერ გადამუშავებული ესკიზებით ახალი ნამუშევრები იქმნებოდა. ორჯერ დაიბეჭდა კავკასიური ხალიჩების ესკიზების ფერადი ალბომები, რომლებიც როგორც ნიმუშები ურიგდებოდათ ხალხურ ოსტატებს სხვადასხვა რეგიონებში. კავკასიის კუსტარული კომიტეტის ნაწარმი აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს საერთაშორისო გამოფენებში, სადაც რამდენიმე ნამუშევარმა ოქროს მედალი და საპატიო დიპლომებიც მიიღო (მაგ. პარიზის გამოფენის დიდი ოქროს მედალი ხალიჩა “მირი” და ასევე დიდი ვერცხლის მედალიც)

1926 წელს საფუძველი ჩაეყარა და 1930 წელს მწყობრში ჩადგა თბილისის მაუდის ფაბრიკა, რომელიც 1953 წელს გადაკეთდა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატად.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში აღირიცხებოდა კერამიკული წარმოების ორმოცდაათამდე ცენტრი, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბოდბისხევი, მაჩხაანი, თელავი, ვარდისუბანი, რუისპირი, ნინოწმინდა, კაკაბეთი, თბილისი, მცხეთა, გორი, შროშა, დაბლაგომი, საირმე, წალენჯიხა, ნაგომარი.

XX საუკუნის მანძილზე კერამიკის წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრები იყო შროშა, იყალთო, ასევე მცხეთა და ზუგდიდი, სადაც კერამიკული და ფაიფურის ქარხნები ფუნქციონირებდა და არაერთი კერამიკოსი იყო დასაქმებული.

1980-იანი წლებისათვის მსუბუქი მრეწველობა საქართველოს ეკონომიკაში წამყვან დარგს წარმოადგენდა. საკმარისია ითქვას, რომ იგი აწარმოებდა ქვეყნის საერთო პროდუქციის 58%-59%-ს, ხოლო ამ დარგში დასაქმებულთა რაოდენობა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 38-40%-ს შეადგენდა. აქედან მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მიერ რეალიზებული პროდუქციის შედეგად რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავალი 40-45% იფარებოდა. ფუნქციონირებდა ისეთი მსხვილი, ტექნიკურად მაღალ დონეზე აღჭურვილი ფაბრიკა-ქარხნები, როგორიც იყო გორისა და ქუთაისის ბამბეულის კომბინატები, თბილისის კამვოლური დართვისა და მაუდის ფაბრიკები, ტყავის გადამამუშავებელი ქარხნები ქალაქ თბილისსა და ქუთაისში, ქალაქ თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკები „ისანი“ და „ნარიყალა“, ტყავფეხსაცმლის კომბინატი ქ. ქუთაისში და მრავალი სხვა.

საბჭოთა პერიოდში მსუბუქი მრეწველობა საქართველოში ძირითადად შემოტანილ ნედლეულზე იყო ორიენტირებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეწყდა ნედლეულის მიწოდება, რის გამოც საწარმოების უმრავლესობამ შეწყვიტა ფუნქციონირება.[28]

საბჭოთა კავშირის პერიოდში XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროსთან შინამეურნეობის განვითარების მიზნით შეიქმნა საწარმო "სოლანი", რომელიც აერთიანებდა 4000-ზე მეტ ბინაზე მომუშავე ოსტატს, ასევე დარგობრივ საწარმოებსა ("ცეხებს"); ჰყავდა 7000-ზე მეტი დასაქმებული საქართველოს ტერიტორიაზე. "სოლანი" აწარმოებდა მრავალფეროვან პროდუქციას - ტექსტილი, ლითონმქანდაკებლობა, ხე, ბიჟუტერია, როგორც სხვადასხვა გამოყენებითი ფუნქციური ჯგუფების პროდუქციას, ასევე

[28] ქ. აბაშიძე, მსუბუქი მრეწველობის როლი საქართველოს ტურისტული ბიზნესის განვითარებაში, დისერტაცია წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, გვ. 46

სასუვენირო ნაწარმს. ჰქონდა მაღაზიების ქსელი, ეწეოდნენ ექსპორტს რუსეთსა და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. მათი თვიური შემოსავალი იყო დაახლოებით ნახევარი მილიონი მანეთი, საიდანაც 80% "გეგმის" სახით შედიოდა ბიუჯეტში ხოლო 20%-ით იფარებოდა საკუთარი ხარჯები. [29]

პარალელურად ძეგლთა დაცვის პრეზიდიუმთან, 1979 წელს შეიქმნა ხალხური რეწვის და შინამრეწველობის კომბინატი, რომლის შექმნის მიზანი იყო თანხების მოძიება ძეგლების სარესტავრაციოდ. კომბინატი აწარმოებდა და რეალიზაციას უკეთებდა საკავშირო მასშტაბით, ტექსტილის (ხალიჩები, ფარდაგები,) ხის, მეტალის და ტრადიციული რეწვის თითქმის ყველა ტექნიკაით შესრულებულ პროდუქციას. 80-იანი წლების ბოლოს კომბინატის წლიურმა შემოსავალმა დაახლოებით 20 მილიონ მანეთს მიაღწია, რომლის 30% ხმარდებოდა ძეგლების რესტავრაციას, რაც დაახლოებით წლიურ 6 მილიონ მანეთს შეადგენდა. ძეგლთა დაცვის კომბინატის წარმატებული საქმიანობის შედეგად მათი რიცხვი გაიზარდა 5-მდე და თბილისის გარდა დაფარა მთელი საქართველო (წყალტუბო, ქუთაისი ა.შ.).

ტრადიციული რეწვის პროდუქციის წარმატებულ წარმოებაზე მოწმობს ისიც, რომ ამ დროს ბევრი საზოგადოებრივი გაერთიანება, თავისი შემოსავლების გაზრდის მიზნით სწორედ ხალხური რეწვის პროდუქციის კომბინატებს ხსნიდა. ასეთი იყო, მაგ. თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული კომბინატი, ხალხური რეწვის ცენტრი, დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნების მუზეუმი, ასევე ფუნქციონირებდა შეზღუდული შესაძლებლობების სოციალური ჯგუფების (ყრუმუნჯების, უსინათლოთა) სახელოსნოები. [30]

[29]"სოლანის" გენერალური დირექტორის ზურაბ უგულავას სიღრმიესული ინტერვიუ

[30] სიღრმისეული ინტერვიუ ძეგლთა დაცვის პრეზიდიუმის წევრთან და ძეგლთა დაცვის საზოგადოებასთან არსებული სამხატვრო კომბინატის მთავარ მხატვარ ზურაბ ფოცხიშვილთან.

# 8. ტრადიციული რეწვის სექტორის არსებული მდგომარეობა საქართველოში

## 8.1. არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა

### 8.1.1. სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები

ტრადიციული რეწვასთან დაკავშირებული საკითხები, თავისი კულტურული და ეკონომიკური ასპექტებით სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების საქმიანობასთან იკვეთება. მათ შორის:

| სამთავრობო სტრუქტურა | ტრადიციულ რეწვასთან დაკავშირებული საკითხები |
|---|---|
| **კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.**<br>- ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტი;<br>- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამმართველო;<br>- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი; | ხალხური რეწვის და დეკორატიულ - გამოყენებითი ხელოვნების პროგრამები<br>არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;<br>ტრადიციული რეწვის ოსტატებისათვის სტატუსის მინიჭება და წახალისების სტრატეგიების შემუშავება. |
| ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | ეკონომიკური წახალისების სტრატეგიაში ტრადიციული რეწვის დარგის ინტეგრაცია |
| განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | საგანმანათლებლო (სასკოლო, უმაღლესი და პროფესიული) პროგრამებში ტრადიციული რეწვის ინტეგრაცია. |
| გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო | ნედლეულის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები. |
| სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო | ახალგაზრდობის დასაქმებაზე ორიენტირებული ინიციატივებში რეწვის ინტეგრაცია. |
| რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | ტრადიციული რეწვის, როგორც რეგიონალური განვითარების რესურსის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებში ინტეგრაცია და მისი შემდგომი განხორციელება. |
| ფინანსთა სამინისტრო | რეწვის სფეროსთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხები |
| საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | საერთაშორისო დონეზე ქვეყნის კულტურის ბრენდინგის სტრატეგიაში ტრადიციული რეწვის კომპონენტის ჩართვა |
| ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | ტრადიციული რეწვის, ტურისტული პოტენციალის ამაღლება, ტურისტულ მარშრუტებში რეწვის თემის ჩართვა. |
| ენერგეტიკის სამინისტრო და ლიცენზირების სააგენტო | მასალის/ნედლეულის მოპოვებასთან და ლიცენზიასთან დაკავშირებული საკითხები |

| | |
|---|---|
| სტატისტიკის ეროვნული სამსახური "საქსტატი" | ტრადიციული რეწვის მონაცემთა შეგროვება<br>კულტურის სფეროსთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება |
| საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" | ტრადიციული რეწვის პროდუქციის საავტორო უფლებების დაცვის საკითხები რეგულირება |
| საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა | რეწვის, როგორც დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულატორის მხარდაჭერა, ექსპორტი |
| საქართველოს პარლამენტის კომიტეტები: განათლების მეცნიერების და კულტურის კომიტეტი | ტრადიციულ რეწვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება. |
| თბილისის მერია | ტრადიციულ რეწვის ქალაქის განვითარების გეგმაში ინტეგრაცია |
| ადგილობრივი მთავრობები | ადგილობრივი კულტურული რესურსების მობილიზება, განვითარების სტრატეგიებში ინტეგრაცია და მათი შემდგომი განხორციელება |
| საქართველოს საპატრიარქო | ტრადიციული რეწვის პოპულარიზაცია და სამრევლო სკოლებში დანერგვა |
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია | საგანმანათლებლო პროცესში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის და ხალხური რეწვის ინტეგრაცია |
| საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი | ტრადიციული რეწვის რესურსების კვლევა და განვითარება |
| მუზეუმები და სამეცნიერო ინსტიტუტები:<br>- ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი<br>- საქართველოს ეროვნული მუზეუმი<br>- მხარეთმცოდნეობის მუზეუმები<br>- გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი | ტრადიციული რეწვის რესურსების კვლევა, სამუზეუმო კოლექციების ინტერპრეტაციასა და საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრაცია |

### 8.1.2. <u>სამთავრობო და არასამთავრობო ინიციატივები</u>

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ტრადიციული რეწვის სფეროში არაერთი სამთავრობო და არასამთავრობო ინიციატივა განხორციელდა.

კერძოდ, მნიშვნელოვანი პროექტი იყო კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2012 წელს სტრასბურგის საშობაო ბაზრობაზე საქართველოს ხალხური რეწვის პროდუქციის

წარდგენა. ამასთანავე, კულტურის სამინისტრომ გამოსცა კატალოგის "სუვენირები საქართველოდან" ორი ტომი და სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე წარადგინა ტრადიციული რეწვის პროდუქცია.

ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური სამსახურის და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ტურისტულ ბაზრობებზე, განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ხალხური რეწვის ოსტატების პროდუქციის წარდგენას საქართველოს ყველა რეგიონიდან. ასევე ხალხური რეწვის ოსტატები მონაწილებდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ ორგანიზებულ ფესტივალებში.

ტრადიციულ რეწვას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს "ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის" მოღვაწეობაში. ცენტრი 1936 წლიდან ფუნქციონირებს როგორც ხალხური შემოქმედების კაბინეტი, ხალხური შემოქმედების სახლი (1937-1980 წლები), ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი (1980-2004 წლები), ხოლო 2005 წლიდან როგორც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, ახორციელებს სხავადსხვა პროექტსა და ორგანიზებას უკეთებს გამოფენებს;

2011 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ბაზაზე გაიხსნა სახელოსნო „ლურჯი სუფრა", რომელიც მიმართულია ლურჯი სუფრის წარმოების აღორძინებაზე;

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ატარებს ხალხური რეწვის საგანმანათლებლო პროგრამებს და სახაფხულო სკოლებს.

პარალელურად, უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში დარგის განვითარებაში აქტიურად არის ჩართული არასამთავრობო და კერძო სექტორი. მათ შორის ააიპ. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი განახორციელებს ხალხური რეწვის განვითარებაზე და ადგილობრივ და საერთაშორისო მარკეტინგზე მიმართულ მრავალ პროგრამას. პროგრამა ფარავს როგორც საგანმანათლებლო, ასევე საგამოფენო და მარკეტინგზე მიმართულ აქტივობებს.

გამოირჩევა ფესტივალი „არტ გენი", რომელიც 2003 წლიდან ყოველწლიურად იმართება. ფესტივალი ხალხური ხელოვნების, მათ შორის ტრადიციული რეწვის ოსტატების პოპულარიზაციას ეწევა. 2006 წელს *არტგენის* ჯგუფი მიერ გამოიცა კატალოგი "საქართველოს ხალხური რეწვის ოსტატები".

აღსანიშნავია "ტექსტილის ჯგუფის" ინიციატივები, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ტექსტილის განვითარებაზე თუშეთის, კახეთისა და სამცხე ჯავახეთის ტერიტორიაზე. "ტექსტილის ჯგუფის" ინიციატივით ტექსტილის ნაწარმი არაერხელ წარსდგა სანტა ფეს ხალხური ხელოვნების გამოფენა-გაყიდვაზე.

ამასთანავე, ამ პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გამოიკვეთა ინტერესის ზრდა დარგში მომუშავე მცირე თემების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, თუ სხვა კერძო ინიციატივების ხელშეწყობის და დაფინანსების მხრივ. ასევე ტრადიციული რეწვის სექტორი მოიაზრება „სოციალური საწარმოს" შექმნის და ფუნქციონირების ასპექტშიც, რომლებიც ფარავენ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, მათ შორის შეზღუდული უნარის მქონე ადამიანების აქტიობებსაც.

## 8.2. იურიდიული ბაზა

### 8.2.1. <u>სფეროს იდენტიფიცირების საკითხები</u>[31]

საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არსებული ძირითადი საკანონმდებლო აქტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით არის საქართველოს კანონი "კულტურული

[31] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 1. ტრადიციული რეწვის სექტორის იურიდიული ბაზის კვლევის ანგარიში. ყიფიანი გ. გვ 2. 2013

მემკვიდრეობის შესახებ". უშუალოდ ტრადიციული რეწვის სფეროსთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, იურიდიული რეგულაციები და მექანიზმები, (რაც კონვენციებში დეკლარირებული მიზნების მისაღწევად უნდა შეიქმნას), სწორედ ამ კანონში უნდა იყოს დეტალურად გაწერილი.

თუმცა, კანონში არ არის დაფიქსირებული, განმარტებული ან რეგულირებული „ტრადიციული რეწვა", „კულტურული ინდუსტრია". ამ საკანონმდებლო ვაკუუმის მიუხედავად, ყურადღება უნდა გამახვილდეს "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის" მიმართულებით დაწესებულ რეგულაციებზე. ამ კანონითაც დადგენილია "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის" ლეგალური დეფინიცია:

**საქართველოს კანონი "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ",**

**მუხლი 3, "ლ" ქვეპუნქტი;**

**არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა – ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით, საშემსრულებლო ხელოვნება, ადათწესები, ჩვეულებები, ტრადიციულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები, რომლებიც საზოგადოების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ აღიარებულია მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად;**

კანონის შესაბამისად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციაზე, დოკუმენტურ (აუდიო-ვიდეო, წერილობით) ფიქსაციაზე, შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ასევე განსაზღვრულია, რომ "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვისა და იდენტიფიკაციის მიზნით იქმნება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სია და სახელმწიფო რეესტრი".

დღეისათვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ რეგულაციები მხოლოდ "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონში არსებული ამ ზოგადი ჩანაწერით შემოიფარგლება, რაც რეალურად ვერ არეგულირებს აღნიშნულ სფეროს.

მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მიმართ, კანონში საკმაოდ დაწვრილებით და დეტალურად არის გაწერილი სხვადასხვა იურიდიული მექანიზმი, პროცედურა, სამართლებრივი რეჟიმი, მათთან დაკავშირებული იურიდიული შედეგი, კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებისა თუ დაცვის პირობები და პასუხისმგებლობა მისი ხელყოფის შემთხვევაში. ეს სამართლებრივი სისტემა, ხშირ შემთხვევაში არასრული და არასრულყოფილია, ხშირად საჭიროებს დაკონკრეტებას, დეტალიზაციას თუ განმარტებებს, მაგრამ ხარვეზების მიუხედავად მაინც ქმნის რეგულირების ერთიან სივრცეს. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა საკანონმდებლო დონეზე სრულიად იგნორირებულია და პრაქტიკულად რეგულაციის გარეშეა დარჩენილი.

მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთქმედება "ტრადიციულ რეწვასთან", თუნდაც მემკვიდრეობის ცალკეული ობიექტების ასლების დამზადების საკითხები და ა.შ. კანონში განსაზღვრული არ არის.

2012 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის წლის 24 იანვრის №3/28 ბრძანება "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიისა და რეესტრის ფორმის დამტკიცების თაობაზე" - აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი განსაზღვრავს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისათვის სტატუსის მინიჭების, კატეგორიის განსაზღვრის, მისი რეესტრიზაციის წესებს. ამ დოკუმენტით დამტკიცებულია ყველა

აუცილებელი სარეგისტრაციო თუ რეესტრის ფორმა, კერძოდ: "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიის ფორმა", "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სახელმწიფო რეესტრის ფორმა", "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი", „არამატერიალური ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმები". ბრძანებით ასევე განსაზღვრულია ამ დოკუმენტაციის შევსების წესი, მოცემულია ცალკეულ ობიექტთა პასპორტიზაციისათვის აუცილებელი სავალდებულო გრაფები და აღწერილობა, გაწერილია ამ პროცესთან დაკავშირებული ყველა სხვა პროცედურა.

დამატებით დადგენილია, რომ რეესტრს აწარმოებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ხოლო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს ძეგლის სტატუსს ანიჭებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი.

დებულებით ასევე განსაზღვრულია, რომ "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ვრცელდება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით ძეგლისათვის დადგენილი რეჟიმი", თუმცა რაიმე სახის რეჟიმს, პროცედურებს თუ სამართლებრივ მექანიზმებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მიმართ "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" კანონი საერთოდ არ ადგენს.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რეესტრიზაციის წესი ფაქტობრივად "კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეესტრის" პროცედურების დუბლირებას ახდენს და რაიმე მნიშვნელოვანი თავისებურებით არ გამოირჩევა. ეს წესიც, ისევე როგორც ძირითადი კანონი, საერთოდ არ ითვალისწინებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას, მის თავისებურებას, რაც საბოლოოდ მასაც სიღრმისეულად გაუაზრებელი და ნაჩქარევად, ერთი ლოკალური ამოცანის გადაწყვეტის მიზნით შექმნილი წესის სახეს აძლევს.

### 8.2.2. <u>საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ</u>[32]

კანონი არეგულირებს სახელმწიფო მუზეუმების სფეროს, "ამ კანონის ძირითადი მიზნებია საქართველოს სამუზეუმო საქმიანობის სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება და საქართველოს სამუზეუმო ფონდის დაცვა" (მუხლი 2, პუნქტი 1), მაგრამ ვინაიდან ტრადიციული რეწვის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს მისი სწორედ კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნება წარმოადგენს, ეს კანონი და სამუზეუმო სფერო საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტრადიციული რეწვის დარგებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმების კანონი მოძველებულია და შეუსაბამობაშია საქართველოს კანონთან "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ", სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისითაც სასურველია მისი სრული გადამუშავება, გამართვა, საკანონმდებლო სივრცესთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც საბოლოოდ მისი ახალი რედაქციით შემუშავებას გულისხმობს.

კანონის ერთ-ერთი ხარვეზია მასში მოცემული რეგულაციების ბუნდოვანება და გაურკვევლობა, რაც შემდგომში მათი არაერთ მნიშვნელოვანი განმარტების საშუალებას იძლევა და მრავალ გართულებას იწვევს.

### 8.2.3. <u>საქართველოს კანონი საქართველოდან კულტურულ ფასეულობათა გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ</u>

იურიდიული თვალსაზრისთ არასრულყოფილია ***საქართველოდან კულტურულ ფასეულობათა გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ საქართველოს კანონიც***, რომელში არსებული ჩანაწერის შესაბამისად, საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან მოითხოვონ "კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ნებართვა" ეთნოგრაფიულ მასალის გატანის შემთხვევში,

[32] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 1. ტრადიციული რეწვის სექტორის იურიდიული ბაზის კვლევის ანგარიში. ყიფიანი გ. გვ 2. 2013

რაც სრულიად ბუნდოვანია, რადგან მისი დეფინიცია საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს. თუმცა აქვს განსაზღვრულია, რომ "კანონის მოქმედება არ ვრცელდება თანამედროვე სუვენირული ხასიათის ნაკეთობაზე, აგრეთვე სერიული და მასობრივი წარმოების კულტურული დანიშნულების ნივთზე", რაც ასევე ძალზე პირობითი განსაზღვრებაა და სუბიექტურ შეფასებებს ეფუძნება.[33]

### 8.2.4. <u>სფეროში სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი ფორმები და დაბეგვრის რეჟიმები, როგორც დაფინანსების მოძიების წყარო</u>

რეწვის სექტორში არსებული იურიდიული სახის პრობლემებს შორის უნდა აღინიშნოს სამეწრამეო სტატუსებთან დაკავშირებული პრობლემები. ***"მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის"*** შესაბამისად, ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა სათანადო წესით უნდა იქნეს რეგისტრირებული. [34] თუმცა ამავე კანონში განსაზღვრულია გამონაკლისები, რომლის მიხედვითაც სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების ***სახელოვნებო***, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა;[35]ამ ჩანაწერის შესაბამისად, "სახელოვნებო" საქმიანობა, ანუ ნებისმიერი შემოქმედებითი საქმიანობა, რომლის შედეგადაც იქმნება ცალკეული ნამუშევარი არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას და შესაბამისად არ საჭიროებს მის რეგისტრაციას, საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანას, ბუღალტერიის, დოკუმენტბრუნვის მოწესრიგებას და სალარო აპარატს[36].

თუმცა დღეისათვის ამ პუნქტით გათვალისწინებულ ჩამონათვალში ტარდიციული რეწვა არ მოიაზრება. მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ტრადიციული რეწვის როგორც ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის სამართლებრივი ფორმები არ განსხვავდება სხვა საქმიანობებისგან. კერძოდ იურიდიული პირებისთვის ეს არის: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – შპს; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – სპს; კომანდიტური საზოგადოება – კს; სააქციო საზოგადოება – სს; კოოპერატივი. ტრადიციული რეწვის ინტეგრაცია ასევე შესაძლებელია არასამეწარმეო იურიდიული პირების საქმიანობაშიც, თუკი იგი "... ატარებს დამხმარე ხასიათს და ემსახურება საერთო მიზანს, არ ცვლის არაკომერციული იურიდიული პირის ხასიათს. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება კავშირის წევრებსა და ფონდის შემომწირველებს შორის დაუშვებელია"[37].

ფიზიკური პირების შემთხვევაში რეგისტრაცია ხდება როგორც: ინდივიდუალური მეწარმე და გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი. როგორც საწარმოები ასევე ფიზიკური პირები ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმებით სარგებლობენ.. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ 2011 წელს ამოქმედებულ საქართველოს საგადასახადო კოდექსში მინიმუმამდეა დაყვანილი გამონაკლისი საგადასახადო რეჟიმები [38] . თუმცა არსებობს ორი ბიზნეს სტატუსი, რომელიც გარკვეული შეღავათებით სარგებლობს კერძოდ:

1. საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი. სტატუსის მინიჭება ხდება ინდივიდზე, რომელიც არ ქირაობს დამატებით მუშახელს და რომლის წლიური აგრეგირებული შემოსავალი 30.000 ლარს არ აღემატება. გარდა ამისა, თუ ინდივიდი დაკავებულია რომელიმე ჩამოთვლილთაგანი საქმიანობით (პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება; ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების

[33] კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 4.
[34] "სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად."მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 1, პუნქტი 2
[35] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 1, პუნქტი 3
[36] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 1. ტრადიციული რეწვის სექტორის იურიდიული ბაზის კვლევის ანგარიში. ყიფიანი გ. გვ 2. 2013
[37] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 30
[38] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 3. ტრადიციული რეწვის სექტორის ეკონმიკური კვლევის ანგარიში. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი 2013

დემონსტრირებისა და ჩვენებისა; საცვლების წარმოება; თავსაბურავების წარმოება; დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება; ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება; ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება; ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების წარმოება; ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება; სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლისა და ინვენტარის წარმოება; მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება; აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის, ტუჩის გარმონიკების წარმოება; სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება; ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება; ...; ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი; ...) იგი დაწესებული 30.000 ლარის ზედა ზღვარისგანაც თავისუფლდება [39]. თუმცა ამ შემთხვევაში სტატუსის მფლობელი თავად უნდა ახორციელებდეს საქონლის საცალოდ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისთვის. შესაბამისად ზედა ზღვარისგან გათავისუფლება შეეხება მხოლოდ იმ ოსტატებს, რომლებიც არ თანამშრომლობენ მაღაზიებთან, სალონებთან თუ სხვა სახის შუამავლებთან. ამ სტატუსის მფლობელთა ურთიერთობა გაყიდვის შუამავალ რგოლებთან ასევე გართულებულია იმ გარემოებით, რომ ეს უკანასკნელნი ვერ ქვითავენ მიკრომეწარმეზე გაცემულ თანხებს საერთო შემოსავლიდან, რაც ზრდის მათთვის მოგების გადასახადს.

> საქართველოს საგადასახადო კოდექსი
> მუხლი 106. ხარჯები, რომელიც არ გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება:
> ვ) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისგან შეძენილ საქონელზე/ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი

ამ სტატუსის მქონე პირები განთავისუფლებულნი არიან საკონტროლო-სალარო აპარატის ქონის ვალდებულებისგან, და ევალებათ მხოლოდ ყოველწლიური საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა[40].

2. შეღავათანი განაკვეთით, კერძოდ ბრუნვის 5 პროცენტით, ან, ცალკეულ შემთხვევებში, ბრუნვის 3 პროცენტით იბეგრება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეები. აღნიშნული სტატუსი ვრცელდება იმ მეწარმე ფიზიკურ პირებზე, რომელთა წლიური შემოსავალი 100.000 ლარს, ხოლო სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი კი 150 000-ს არ აღემატება;

საკანონმდებლო დონეზე კულტურული მემკვიდრეობის სფეროსთვის სპეციალიზირებული ფაქტიურად ერთადერთი შეღავათი შეეხება დღგ-გან გათავისუფლებას ჩათვლის უფლების გარეშე, რომელიც სხვა შემთხვევების გარდა ვრცელდება ასევე "პირის მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ან/და საკულტო-რელიგიური დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულებაზე;" [41] თუმცა აღნიშნული შეღავათი პრაქტიკაში ძირითადად მატერიალური მემკვიდრეობის ძეგლების შემთხვევაში გამოიყენება და ფაქტიურად არ მოქმედებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შემთხვევაში. სასურველი იქნებოდა აღნიშნული ჩამონათვალის კორექტირება ამ მუხლის არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლებზე გავრცობობის მიზნით. თუმცა ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რეესტრითან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

შესაბამისად ტრადიციული რეწვა, ისევე როგორც კულტურული ინდუსტრიების სხვა დარგები, სამეწარმეო საქმიანობის თვალსაზრისით საქართველოში სხვა დარგებთან გათანაბრებულ მდგომარეობაშია და არ სარგებლობს რაიმე შეღავათებით. აღნიშნული მდგომარეობა ხელს უშლის მათ ეკონომიკურად მომგებიან საქმიანობად განვითარებას, ვინაიდან სპეციფიკიდან გამომდინარე ზოგადად კულტურული ინდუსტრიების დარგებისთვის დაფინანსების მოძიება

[39] მთავრობის დადგენილება #415, 2010 წლის 29 დეკემბერი
[40] საქართველოს საგადასახადო კოდექსო, მუხლი 84.
[41] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 168

გაცილებით რთულია, ვიდრე სხვა, ეკონომიკის "ტრადიციული დარგისთვის" არა მარტო საქართველოში, არამედ დასავლეთშიც. ამგვარი რეალობის მიზეზები განპირობებულია სფეროში მოღვაწე მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის დამახასიათებელი ნიშნებით, რომლთა გამოც ისინი "მაღალი რისკის" საწარმოებად მიიჩნევია.[42] ამ ნიშნების უმეტესობა ქართული ტრადიციული რეწვის საწარმოებისთვისაც დამახასიათებლია. კერძოდ:

- წარმოების უმეტესობის მთავარი მოტივაცია დამფუძნებლისთვის გამოხატვის საშუალებაა, ხოლო შემოსავალი და მოგება როგორც წესი მეორადია;
- შედარებით მცირე კომერციული ამბიციები და კომერციული ზრდის შორეული ხედვის ნაკლებობა; ამ ბიზნესების უმეტესობას პროექტის ხასიათი აქვს, რაც ზღუდავს "კორპორატიული ხედვის" ჩამოყალიბებას;
- საწარმოები ეფუძნებიან ინდივიდუალ ნიჭს, რაც ართულებს მცირე საწარმოდან საშუალო ან დიდ საწარმოდ გარდაქმნას;
- ფინანსური ოპერატორები სირთულეებს აწყდებიან ისეთი ბიზნეს აქტივების შეფასებაში როგორიცაა საავტორო უფლებები, ლიცენზიები, ასევე ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთ არამატერიალურ აქტივებს როგორიცაა შემოქმედებითობა, ინოვაცია, ნიჭი, ორიგინალობა, რომლებიც შემოქმედებითი ინდუსტრიების ძირითად აქტივებს წარმოადგენს;
- შემოქმედებითი ინდუსტრიის პროდუქციაზე მოთხოვნის განსაზღვრის სირთულე
- სახელმწიფო დაფინანსების დიდი მნიშვნელობა სექტორის სტაბილურობისთვის

არსებულ სიტუაციაში ევროპის ძირითად ქვეყნებში შემოქმედებითი ინდუსტრიების დაფინასების წყაროების სქემა წარმოდგენილია გრაფიკზე 27. [43]. აღნიშნული დაფინანსების წყაროების უმეტესობა საქართველოში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ტრადიცული რეწვის ბიზნესისთვის, ისევე როგორც მთლიანად კულტურული ინდუსტრიებისთვის დღეისათვის ხელმიუწვდომელია.

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში შემუშავებულია კულტურის არაპირდაპირი მხარდაჭერის, ანუ საგადასახადო შეღავათების საშუალებით კულტურის სფეროში დამატებითი თანხების მოძიების განსხვავებული სისტემები, თუმცა არსებობს კულტურის სფეროში შემოწირულობების და სპონსორობისთვის საგადასახადო შეზღუდვების დაწესების ზოგადი ტენდენცია. ბოლო პერიოდში ამ ტენდენციით დაინტერესდნენ საფრანგეთი და იტალიაც, ქვეყნები რომლებშიც ეს ღონისძიებები არასდროს თანაშობდა მნიშვნელოვან როლს [44]. საქართველოში აღნიშნული მექანიზმები დღეისათვის არ მოქმედებს, ვინაიდან საკანონმდებლო ბაზაში არ არის გათვალისწინებული კულტურის დაფინანსებისთვის დაბეგვრის განსაკუთრებული რეჟიმები, ჯერ კიდევ დამტკიცების პროცესშია კანონი ქველმოქმედების შესახებ. შესაბამისად სფეროში სპონსორობის მოტივაცია მხოლოდ კერძო კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობით და მარკეტინგული მიზნებით არის განპირობებული.

გრაფიკი 1




[42] KEA, Promoting Investment in the Cul ctor: Financing pportunities.

[43] KEA, Promoting Investment in the Cul tor: Financing pportunities.

[44] Finanansing the Arts and Culture in the EU, Brussels, 2006




ტრადიციული რეწვის სფეროს წარმომადგენლებისთვის რთულია ასევე კრედიტების მოძიებაც. ერთი მხრივ, როგორც აღინიშნა, სფერო არ აღიქმება საკრედიტო ინსტიტუტების მიერ სტაბილურ მომგებიან წარმოებად, მეორე მხრივ კი არ არსებობს გარანტიების გაცემის სახელმწიფო პროგრამები, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ამ მხრივ, საინტერესო ინიციატივა იყო სოციალური მეწარმეობისთვის თბილისი მერიის პროექტით შედავათიანი კრედიტების გაცემის პროგრამა. თუმცა, როგორც წესი, კულტურის წარმომადგენლებს უჭირთ სექტორათაშორისი სქემების გამოყენება, რაც ერთი მხრივ მათში მსგავსი სქემების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას და მეორე მხრივ, სპეციალური სქემების შემუშავებას მოითხოვს.

კულტურის სახელმწიფო დაფინანსებაში საქართველოში შედარებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს გრანტები, რომელთა ძირითადი გამცემია კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ასევე ტენდერები (კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების სამსახური), თუმცა ამ დაფინანსებებშიც არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას და კერძოდ ტრადიციულ რეწვას ძალზე მცირე ადგილი უკავია. დაფინანსების კიდევ ერთი წყაროა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, თუმცა კულტურის მიმართულებით მათი დაფინანსება განუხრელად მცირდება. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ გრანტები როგორც წესი, გაიცემა პროექტებისთვის და არა საწარმოებისთვის, რაც ბიზნესის განვითარების კუთხით სავარაუდოდ ნაკლებად ეფექტურია. საქართველოს პრიორიტეტულ მიმართულებებში კულტურის ზოგადად და კონკრეტულად ტრადიციული რეწვის განვითარების დეკლარირებას შესაძლოა ამ მიმართულებითაც შედეგების მომტანი იყოს.

### 8.2.5. <u>კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ</u>[45]

ტრადიციული რეწვის სფეროს რეგულაციისთვის მნიშვნელოვანია "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონიც, რომლის იხედვითაც საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. [46] საავტორო უფლებებს უკავშირდება ნაწარმოების გამოყენების უფლება, „ქონებრივი უფლებები“, რომელიც „ტრადიციული რეწვის“ და კულტურული ინდუსტრიების განვითარებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ფაქტორია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტრადიციული რეწვისა თუ კულტურული ინდუსტრიის ფუნქციონირება მჭიდროდ არის დაკავშირებული საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად ტრადიცილი ნამუშევარზე საავტორო უფლება არ რეგისტრირდება, რადგან ის საჯარო საკუთრებაა. ამ შემთხვევაში გამოიყენება წარმოშობის ადგილის რეგისტრაცია, რაც

[45] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 1. ტრადიციული რეწვის სექტორის იურიდიული ბაზის კვლევის ანგარიში. ყიფიანი გ. გვ 2. 2013

[46] "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი,

გარკვეული რეგიონისთვის დამახასიათებელი რეწვის პროდუქციის ბრენდირების კიდევ ერთი საშუალება შეიძლება იყოს. თუმცა რაიმე კრიტერიუმები როდის ენიჭება ტრადიციული რეწვის ნიმუშებს საავტორო უფლებები განსაზღვრული არ არის.

### 8.2.6. <u>რეგულაციები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესახებ</u>[47]

მშვნელოვანი იურიდიული პრობლემაა დაკავშირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან. დღეს არსებული მდგომარეობით რაიმე სახის განცალკევებული რეგულაციები ტრადიციული რეწვის სფეროს მიმართ დაწესებული არ არის, შესაბამისად მოქმედებს ჩვეულებრივი მკაცრად რეგულირებული პროცედურები. [48] მაგალითისათვის: ტრადიციული საწნახელის დასამზადებლად საჭირო მრგვალი მორის მოსაპოვებლად, აუცილებელია შესაბამისი ხის მოჭრის სპეციალური ნებართვის, ლიცენზიის ფლობა, რაც საწნახელის ოსტატისთვის ზემოხსენებული მასალის მოპოვების შესაძლებლობას ფაქტიურად გამორიცხავს. ანალოგიური სიტუაციაა ბუნებრივი წიადისეულის კუთხითაც, კერამიკული მასალის (მათ შორის ქვევრების) დასამზადებლად აუცილებელი თიხის მოსაპოვებლადაც ანალოგიური ბუნებრივი რესურსით სარგებლობის ლიცენზიაა აუცილებელი. აღნიშნული სიტუაცია საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აყენებს ოსტატებს.

სასურველია, გათვალისწინებული იყოს ტრადიციული რეწვის სფეროში მომუშვე ოსტატების მიერ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა გარკვეული შეღავათებითა და სპეციალური ნებართვების გარეშე. ისევე როგორც ეს შეღავათი დაწესებულია ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას მიმართებაში[49];

### 8.2.7. <u>სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება ტრადიციული რეწვის სფეროში</u>[50]

რაიმე სახის დოკუმენტი, სადაც ასახული იქნებოდა სახელმწიფო პოლიტიკა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, ასევე ტრადიციული რეწვის სფეროში, რომლითაც დადგენილი იქნებოდა სახელმწიფოს დამოკიდებულება ტრადიციული რეწვის მიმართ, (რომლის არსებობაც პარიზის 2003 წლის კონვენციით სახელმწიფოს ერთ-ერთ ვალდებულებად არის განსაზღვრული),

სამწუხაროდ ამჟამად არ არსებობს. შედეგად, ამ სფეროში არსებულ სამართლებრივ ვაკუუმს, სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობაც ემატება.

რეალურად ბუნდოვანია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, შეფასებისა და აღრიცხვის კრიტერიუმები, გაურკვეველია "ძეგლის" სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელი ნიშნები. არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმები, რეგულაციები და რეჟიმები. აქედან გამომდინარე უცნობია რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტისათვის თუნდაც "ძეგლის" სტატუსის მინიჭება ან/და მისი პასპორტიზაცია.

რეალურად, წინასწარ დაგეგმილი სამუშაო გეგმა ან/და გრაფიკი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის თუ აღრიცხვის კუთხით, ასევე მიზნობრივად ამ სამუშაოზე მიმაგრებული ჯგუფი ან სპეციალისტი, სამინისტროში ამჟამად განსაზღვრული არ არის[51].

---

[47] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 1. ტრადიციული რეწვის სექტორის იურიდიული ბაზის კვლევის ანგარიში. ყიფიანი გ. გვ 2. 2013

[48] ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონი

[49] ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე7 მუხლი

[50] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 1. ტრადიციული რეწვის სექტორის იურიდიული ბაზის კვლევის ანგარიში. ყიფიანი გ. გვ 2. 2013

[51] 2013 წელს საქართველოს ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და "კულტურის და მენეჯმენტის ლაბორატორიისა" და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეიქმნა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კანონპროექტი. აღნიშნული კანონპროექტის სამუშაო ჯგუფის წევრი იყო ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის თანამშრომელი და აღნიშნული კვლევის თანაავტორი ანა შანშიაშვილი, რამაც, თავის მხრივ, საშუალება შექმნა კვლევის შედეგად

სახელმწიფო დაფინანსების კუთხით თუ შევაფასებთ, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ძალზე მწირად მოიხსენიება.

| |
|---|
| საქართველოს კანონი "2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ", 8.3<br>"კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)"<br>მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა; |

ეს ჩანაწერი ძალზედ ზოგადია, ამასთან, მასში არ არის გამიჯნული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა/პასპორტიზაციისათვის გამოყოფილი სახსრები, მათი ოდენობა ან შეფარდება. შესაბამისად, რა დაფინანსება გამოიყოფა სწორედ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვისათვის სრულიად გაუგებარია, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ პროგრამით გათვალისწინებული სუფსიდია მხოლოდ მატერიალური მემკვიდრეობის აღრიცხვას მოხმარდეს, ან სულაც ამ პროგრამის სხვა მუხლების დასაფინანსებლად იქნას გამოყენებული, სადაც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ნომინალურადაც არ ფიგურირებს.

ამავე კანონის მუხლ 8.3.2 გაწერილ პროგრამაში "კულტურული მემკვიდრეობის დაცვა" (კოდი 33 04 02) არსებული ჩამონათვალი ძირითადად მატერიალურ მემკვიდრეობაზეა ორიენტირებული, მაშინ როდესაც არამატერიალური ძეგლები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

| |
|---|
| კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)<br>საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების (ისტორიული დასახლებებისა და ქალაქების), კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია;<br>მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და მათი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;<br>სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია;<br>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მდგომარეობის კონტროლის, პრევენციული კონსერვაციისა და რისკისათვის მზადყოფნის მიზნით ეფექტიანი მექანიზმების შექმნა;<br>ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შექმნის მიზნით კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის შევსება;<br>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია მომავალი თაობებისათვის შესანარჩუნებლად და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად;<br>კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება; |

---

შემუშავებული რეკომენდაციების კანონპროექტში ინტეგრირებისა. მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მექანიზმების განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე, (თუ პირველი დაცვაში მეტწილად გულისხმობს ადმკვეთ ღონისძიებებს, მეორე შემთხვევაში ძირითადი დაცვის მექანიზმი განათლების სტიმულირებასა და სხვა ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებაში მდგომარეობს), კანონპროექტი ითვალისწინებს "კულტურული მემკვიდრეობის კანონში" ცვლილებას და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კანონის ცალკე გამოყოფას. ამჟამად, მიმდინარეობს კანონის სამუშაო ვერსიის განხილვა სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებთან.

ქვეყნის ფარგლების გარეთ არსებულ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

ზემოხსენებული ჩანაწერების გარდა სხვა პროგრამული დაფინანსებები კულტურის დარგში ზოგად ხასიათს ატარებს და ამ სფეროს ყველა დარგს აერთიანებს. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, პოპულარიზაციის, ხელშეწყობის, მითუმეტეს ტრადიციული რეწვის სფეროს განვითარება/წახალისების კუთხით ბიუჯეტში პროგრამული დაფინანსება განსაზღვრული არ არის.

ტრადიციული რეწვის დაფინანსები წყაროების შეზღუდვა ასევე განპირობებულია ქველმოქმედების შესახებ კანონის, კულტურის დაფინანსებისთვის დაბეგვრის განსაკუთრებული რეჟიმების არარსებობით, რაც ფაქტიურად ბლოკავს ბიზნეს სექტორიდან კულტურაში და მათ შორის ტრადიციულ რეწვაში სახსრების შემოდინებას.

კიდევ ერთი ნორმატიული აქტი საქართველოს სამართლებრივ სივრცეში, სადაც დაფიქსირებულია „ტრადიციული რეწვა“ არის 2010 წლის 25 ივნისის საქართველოს მთავრობის №172 დადგენილებით „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ„ - დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია, სადაც „ხალხური რეწვა“, როგორც კულტურული ტურიზმის შემადგენელი ერთ-ერთი სეგმენტი სტრატეგიულ მიმართულებად არის მიჩნეული და აღიარებულია სახელმწიფოს ვალდებულებების მისი განვითარების ხელშეწყობის კუთხით.

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია, მუხლი 5.2.
5.2. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
3. საჭიროა, შემუშავდეს შესაბამისი მექანიზმები ტურიზმის სექტორის დივერსიფიცირებისა და შიდა ტურიზმის განვითარების მიზნით, რომლებიც ხელს შეუწყობს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითა-რებას ქვეყანაში, მათ შორის:
– კულტურული ტურიზმი (ისტორია, ხუროთმოძღვრება, ხელოვნება, ხალხური რეწვა, რელიგიური ტურები);

ამ ჩანაწერის მიუხედავად რაიმე მოქმედებები ან სახელმწიფო აქტივობა „ხალხური რეწვის“ წახალისების, მხარდაჭერის ან განვითარების კუთხით ჯერ არ დაფიქსირებულა.

## 8.3. ადამიანური რესურსები

### 8.3.1. <u>შრომითი რესურსები</u>

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ტრადიციულ რეწვაში ჩაბმული ადამიანური რესურსების შეფასება. როგორც მეთოდოლოგიის აღწერისას აღინიშნა, საველე სამუშაოების წარმოებას წინ უსწრებდა სექტორის წინასწარი შეფასება და ერთიანი საწყისი ბაზის შექმნა, რომელშიც შევიდა 1178 ინდივიდი და 37 საწარმო. დაკავშირება მოხდა ინდივიდების 43%-თან და საწარმოთა 85%-თან. კვლევის მსვლელობისას გამოიკვეთა ორი ტენდენცია:

ვინაიდან არსებული ბაზები შედგენილი იყო სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დროის სხვადასხვა მონაკვეთში და განსხვავებული მიზნებისთვის, გაერთიანებულმა ბაზამ მოიცვა ოსტატების ფართო სპექტრი, რომელთა ნაწილი სცდებოდა წინამდებარე კვლევისთვის შემუშავებულ ჩარჩოს. კერძოდ ვერ აკმაყოფილებდა “ტრადიციული რეწვის” მიღებულ დეფინიციას ან არ ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას. არავალიდურ კონტაქტთა კიდევ ერთ

ნაწილს წარმოადგენდნენ ერთეულები, რომლებმაც შეწყვიტეს ტრადიციულ რეწვაში თავიანთი საქმიანობა და უახლოეს მომავალში არ აპირებდნენ მის განახლებას. სულ არავალიდური კონტაქტები შეადგენდა დაკავშირებულთა 13.44%. (იხ. გრაფიკი 2.). საწარმოების წინასწარი ბაზა შედარებით ზუსტი აღმოჩნდა, არავალიდურთა რიცხვი ამ კატეგორიაში მხოლოდ 6.6%-ს შეადგენდა.

**გრაფიკი 2. დაკავშირებულ პირთა ვალიდურად და არავალიდურად განაწილება**




მეორე ტენდენცია იყო ახალი "სახელების" გამოვლენა. საველე სამუშაოების წარმოებისას ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დამატებითი გამოკითხვა ბაზაში არარეგისტრირებული პირების მოსაძიებლად. უხეში დაშვებით, ამ გზით გამოვლინდა დაახლოებით ოსტატთა 10% და საწარმოთა 5%.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საველე სამუშაოების წინ, დაზუსტებული ბაზების უქონლობის გამო ვერ მოხერხდა შერჩევის ჩარჩოს განსაზღვრა, რის გამოც ჩატარებულ გამოკითხვას რეპრეზენტატიულად ვერ მივიჩნევთ. თუმცა, კვლევამ მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი და პირველადი ბაზის 44.6%, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები ვალიდურია გამოკითხვის მიღმა დარჩენილი სიმრავლისთვისაც. ამ მოსაზრებას ამყარებს გამოკითხვის შემდეგ, 2013 წლის განმავლობაში ჩატარებული თვისობრივი კვლევის შედეგად მიღებული სურათიც.

ტრადიციული რეწვა, მისი სპეციფიკიდან და, ასევე, საქართველოში არსებული დარგობრივი და ორგანიზაციული სტრუქტურიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს დიდ "დამსაქმებელს". გამოკითხული ოსტატების უმეტესობა (84%) მუშაობს მარტო, დამხმარეების გარეშე და მხოლოდ 16% სარგებლობს სხვა პირების ანაზღაურებადი შრომით. "ინდივიდუალურ დამსაქმებელთა" 76.7% ასაქმებს სამ ადამიანზე ნაკლებს და მხოლოდ 23% სამზე მეტ ადამიანს.

სფეროში მოღვაწე საწარმოებიც ძირითადად მცირე ზომისაა. მათ უმეტესობაში (85.7%) მხოლოდ 6-10 დასაქმებულია, ხოლო 14.3% ასაქმებს 10-დან 15-მდე ადამიანს. (იხილით გრაფიკი 3)

სამწუხაროდ, კვლევის დროს ყურადღება არ გამახვილებულა საწარმოების თუ ინდივიდუალური მეწარმეების მიერ დასაქმებულთა შესასრულებელ სამუშაოზე, რაც არ იძლევა მათი კვალიფიკაციის განსაზღვრის საშუალებას.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციული რეწვის ინდივიდუალური ოსტატების რაოდენობა საქართველოში დღეისათვის დაახლოებით 960

შეადგენს, ხოლო საწარმოთა რაოდენობა 40-მდეა. მათ მიერ დასაქმებულთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 540-ია, შესაბამისად, ტრადიციული რეწვის პროდუქციის შექმნაში სულ ჩაბმულია დაახლოებით 1500 ადამიანი.

**გრაფიკი 3 ტრადიციული რეწვის საწარმოთა პროცენტული განაწილება დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით**




როგორც ვხედავთ, მდიდარი ტრადიციების და სექტორის დიდი პოტენციალის მიუხედავად ტრადიციულ რეწვაში დასაქმებულთა საერთო რიცხვი საქართველოს შრომითი რესურსების მხოლოდ 0.07% შეადგენს. თუმცა აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ვერ მოხერხდა ტრადიციული რეწვის "მომსახურე" დარგებში დასაქმებულთა რაოდენობის შეფასება. მიზეზებზე, რომლებიც განაპირობებს ტრადიციული რეწვის მოკრძალებულ როლს საქართველოს ეკონომიკაში, მომდევნო თავებში უფრო დეტალურად იქნება საუბარი.

წინა პერიოდის სტატისტიკური მასალის უქონლობის გამო შეუძლებელია მსჯელობა დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკაზე. საბჭოთა პერიოდში არსებული ტრადიციული რეწვის გაერთიანება "სოლანი"-ის გენ. დირექტორ ზურაბ უგულავასთან სიღრმისეული ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მხოლოდ ამ გაერთიანებაში გასული საუკუნის 80-იან წლებში დასაქმებული იყო 7000 ადამიანი, რაც თითქმის 4.5-ჯერ აღემატება სექტორში დღეს დასაქმებულთა რიცხვს. ეს მონაცემი საგულისხმოა, თუმცა, არ წარმოადგენს რეალურ შესადარებელ სიდიდეს, რადგან შეუძლებელია შეფასდეს "სოლანი"-ს მიერ გამოშვებულ პროდუქციაში ტრადიციული რეწვის რეალური წილი, იმ განსაზღვრებით, რომელსაც წინამდებარე კვლევა ეყრდნობა. ამასთანავე საბჭოთა ეკონომიკა, მისი მართვის მოდელიდან გამომდინარე, ობიექტურად არ ასახავდა და არ პასუხობდა არსებულ მოთხოვნას. შესაბამისად, ცალკეული სფეროების განვითარება ხდებოდა ხელოვნურად, სახელმწიფო სუბსიდირების გზით, რაც შეუძლებელს ხდის სისტემის გარეთ დარგის განვითარების ტენდენციის დადგენას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტრადიციულ რეწვაში ჩაბმული პირების ანალიზი წლების მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რომ 2006 წლამდე დარგისადმი ინტერესი მცირდებოდა, მაგრამ ბოლო 5 წლის განმავლობაში ტრადიციულ რეწვაში ჩაბმული ოსტატების პროცენტულმა წილმა 23.3%-ს მიაღწია, რაც 5.2% -ით აღემატებოდა წინა პერიოდის მაჩვენებელს. საწარმოთა შემთხვევაში მუდმივი მატების ტენდენცია გამოვლინდა, თუმცა 2007-2012 წლების პერიოდში ეს ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და 53.3% შეადგინა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული პიკი გარკვეულწილად 2008-2009 წლებში საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებლის მკვეთრ ზრდას (13.3%-დან 16.9%-მდე) (ცხრილი 3) უკავშირდება, ვინაიდან, სფერო ტრადიციულად წარმოადგენს დამატებითი შემოსავლის წყაროს და მცირე საწყისი დანახარჯების გამო ხშირად თვითდასაქმების ყველაზე ხელმისაწვდომ საშუალებას. ამ პერიოდში ტრადიციულ რეწვაში ჩაბმული ოსტატების 67.8% სწორედ ეკონომიკურად ყველაზე აქტიურ (26-55 წელი) ასაკობრივ ჯგუფზე მოდის.

**გრაფიკი 4. გამოკითხულთა შორის ტრადიციულ რეწვაში ჩაბმული ოსტატების და საწარმოთა განაწილება სტაჟის მიხედვით**




ასევე სავარაუდოა, რომ რეწვაში "ახალმოსულთა" პროცენტულ მატებაზე გარკვეული გავლენა იქონია ტრადიციული რეწვის პროდუქციაზე გაზრდილმა მოთხოვნამ, რაც განპირობებული იყო ერთის მხრივ საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ზრდით და, შესაბამისად, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის მცირედ ამაღლებით (გრაფიკი 5) და მეორეს მხრივ – შემოსული უცხოელი ტურისტების, რეწვის პროდუქციის ერთ-ერთი მთავარი მომხმარებლის - რაოდენობის მკვეთრი მატებით. (ცხრილი 3)

საწარმოების შემთხვევაში თითქმის 40%-იანი მატების დამატებითი წამახალისებელი პირობა იყო კანონმდებლობის გასამარტივებლად გატარებული ფართო რეფორმები, რომლის შედეგად საქართველოში არაფორმალური სექტორის სიდიდე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა. აღურიცხავი წარმოების წილმა 2004 წლის 32%-დან 2010 წელს 22%-მდე დაიკლო. ყველა ეს რეფორმა მიმართული იყო ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისკენ, ისეთი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნისკენ, რომელიც ლეგალურ ბიზნესს წაახალისებდა[52].

**ცხრილი 3. დასაქმება და უმუშევრობა[53]**

| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი** | 2023.9 | 2021.8 | 1965.3 | 1917.8 | 1991.8 | 1944.9 | 1959.3 | 2029.1 |
| **დასაქმებული, ათასი კაცი** | 1744.6 | 1747.3 | 1704.3 | 1601.9 | 1656.1 | 1628.1 | 1664.2 | 1724.0 |

[52] ტრადიციული რეწვა საქართველოში სექტორის კომპლექსური კვლევა. დანართი 3. ტრადიციული რეწვის სექტორის ეკონმიკური კვლევის ანგარიში. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი 2013

[53] სტატისტიკის სამმართველოს ვებ-გბვერდი http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **უმუშევარი, ათასი კაცი** | 279.3 | 274.5 | 261.0 | 315.8 | 335.6 | 316.9 | 295.1 | 305.1 |
| **უმუშევრობის დონე, პროცენტებში** | 13.8 | 13.6 | 13.3 | 16.5 | 16.9 | 16.3 | 15.1 | 15. |

**გრაფიკი 5. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური მინიმალური ხელფასი საქართველოში[32]**



ცხრილი 4. შემოსული ტურისტების დინამიკა წლების მიხედვით[54]

| წლები | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტურისტების რაოდენობა | 559,753 | 763,231 | 1,051,749 | 1,290,108 | 1,500,049 | 2,031,717 | 2,822,363 | 4,389,256 |

### 8.3.2. <u>სქესობრივ-ასაკობრივი, ეროვნული და სოციალური სტრუქტურა</u>

კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ტრადიციულ რეწვაში ქალების პროცენტული წილი უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი. მათზე მოდის დარგში დასაქმებულთა 62.3% მაშინ, როდესაც ქალები მთელი მოსახლეობის 52.3%-ს შეადგენენ. განვითარებადი ქვეყნებისგან განსხვავებით, მსგავსი დისბალანსი არც ქალების მაღალი უმუშევრობით არის განპირობებული, ვინაიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით უმუშევრობის დონე ქალებში უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცებში.

გრაფიკი 6 უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში[55]




მსგავსი განაწილება არ შეიძლება აიხსნას არც სფეროს სპეციფიკით, ვინაიდან საქართველოს ტრადიციული რეწვა საკმაოდ მრავალფეროვანია და აერთიანებს როგორც ქალების, ასევე მამაკაცების დასაქმების ტრადიციულ დარგებს. თუმცა, ტრადიციულ რეწვაში არსებული დაბალი შემოსავლები უდაოდ ამცირებს მამაკაცების ინტერესს სფეროსადმი და განაპირობებს ქალთა სიჭარბეს, ვინაიდან, როგორც წესი, საქართველოში ქალები მამაკაცებზე ხშირად არიან ჩაბმული მცირე დამატებითი შემოსავლის მომტან საქმიანობაში. აღნიშნული ტენდენციები კიდევ უფრო განმტკიცდა პოსტ-საბჭოთა პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობაში ქალთა როლის გააქტიურებით. აქტიურ მოსახლეობაში თვითდასაქმებულთა პროცენტული განაწილების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით თვითდასაქმებულ ქალთა პროცენტი ქალთა სამუშაო ძალაში 1998-2012 წწ. თითქმის მუდმივად უსწრებს კაცების მაჩვენებელს (გრაფიკი 7).

[54] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებგვერდი http://gnta.ge/stats/portal/
[55] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo

**გრაფიკი 7. თვითდასაქმებულთა პროცენტი აქტიურ მოსახლეობაში (სამუშაო ძალა) განაწილება ქალებსა და კაცებში[56]**




განსხვავებულია ქალთა და მამაკაცთა დასაქმების სურათი ტექნოლოგიური ჯგუფების მიხედვით. როგორც გრაფიკი 8-ზე და 9-ზე ჩანს, ტექსტილი ნათლად არის გამოკვეთილი როგორც "ქალთა დარგი", ხოლო ხის და ლითონის დამუშავება როგორც "მამაკაცთა დარგები". მინანქრის დამუშავებასა და კერამიკაში სქესობრივი განაწილება მეტ-ნაკლებად თანაბარია.

**გრაფიკი 8. ქალების დასაქმება ტექნოლოგიური ჯგუფების მიხედვით**




[56] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo

**გრაფიკი 9. კაცების დასაქმება ტექნოლოგიური ჯგუფების მიხედვით**




### 8.3.3. ასაკობრივი სტრუქტურა

ტრადიციული რეწვის ასაკობრივი სტრუქტურა ძირითადად ემთხვევა საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სტრუქტურას, თუმცა არის რიგი განსხვავებული ტენდენციები. ტრადიციული რეწვის ოსტატებში ყველაზე აქტიურად 36-45 წლამდე (25.9%) და 45-55 წლამდე (26.7 %) ასაკობრივი ჯგუფებია წარმოდგენილი, რაც ჯამურად 10.79%-ით მაღალია ამ ჯგუფების წილზე საქართველოს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობში. 35 წლამდე ასაკის და 56 წელზე ხანდაზმულთა ასაკობრივ ჯგუფებში შეიმჩნევა მცირე "ჩამორჩენა" საქართველოს საშუალო მაჩვენებლებთან – შესაბამისად, 5.9% და 5%. თუკი ამ ტენდენციებს დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციული რეწვა საკმაოდ მნიშვნელოვანია ყველაზე აქტიური ასაკის წარმომადგენელთა დასაქმებისთვის, ხოლო ახალგაზრდების ინტერესი შედარებით მცირეა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მამაკაცებში მაღალია 56-65 და >66 ასაკობრივი ჯგუფების წილიც, შესაბამისად 26.24% და 14.18% მაშინ, როდესაც ქალებში ამ ასაკობრივ ჯგუფებზე მხოლოდ 9.44% და 4.29% მოდის. აღნიშნული გარემოება სავარაუდოდ 56 წელზე ზემოთ მამაკაცებში თვითდასაქმების გაზრდილი აუცილებლობით არის განპირობებული.

### 8.3.4. ეროვნული სტრუქტურა

კვლევის შედეგად მიღებული სურათის შესაბამისად ტრადიციული რეწვის ოსტატთა ეროვნული სტრუქტურა ერთგვაროვანია. გამოკითხულთა 97.8% ქართველია, 0.8% რუსი, 0.8% სომეხი და 0.27% ოსი. აღსანიშნავია რომ გამოკითხული სომეხი ოსტატების შემთხვევაში მკვეთრად იყო გამოხატული მათთვის ტრადიციული ტექნიკის (ქვაზე კვეთა, ხეზე ჭრა) და დიზაინის გამოყენება. გაერთიანებულ ბაზაში ასევე ფიგურირებდნენ აზერბაიჯანელი ოსტატები, თუმცა წინასწარი კონტაქტით გამოვლინდა, რომ ისინი არ ხვდებოდნენ წინამდებარე კვლევისთვის შემუშავებულ ჩარჩოში. სავარაუდოა, რომ კვლევის მიღმა დარჩა ეროვნული უმცირესობების ვალიდური ოსტატების ნაწილი. შესაბამისდ, მომავალ კვლევებში ეროვნულ სტრუქტურის დაზუსტების მიზნით სასურველი იქნებოდა დამატებითი წყაროების მოძიება ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა გამოსავლენად.

**გრაფიკი 10. ტრადიციული რეწვის ოსტატთა ასაკობრივი სტრუქტურა**




**გრაფიკი 11 საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ასაკობრივ ჭრილში**



### 8.3.5. სოციალური სტრუქტურა

კვლევის დროს გამოკითხულთა მიღმა დარჩა ოსტატთა სოციალური მდგომარეობა. მართალია სტატისტიკური მონაცემების უქონლობის გამო ძნელია შეფასების გაკეთება, მაგრამ საველე მუშა ჯგუფის დაკვირვებით შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ტენდენცია:

- ტრადიციულ რეწვაში, თვითდასაქმების მიზნით, ხშირად ერთვებიან დიასახლისები, უმუშევრები და პენსიონერები.
- ტრადიციული რეწვა გარკვეულ როლს თამაშობს შეზღუდული უნარების მქონე, იძულებით გადაადგილებულ პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებაში. მათი ჩართვა ძირითადად ამ ჯგუფებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე ხდება.

### 8.3.6. ძირითადი მიგნებები და პრობლემები

საქართველოში ტრადიციული რეწვის პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული. ამჟამად სფეროში დასაქმებულია დაახლოებით 1500 ინდივიდი, რაც საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 0.07%-ს შეადგენს;

ტრადიციული რეწვა გამოირჩევა ქალთა აქტივობით, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია დარგში დაბალი შემოსავლებით და საქართველოში ქალთა აქტიური როლით თვითდასაქმებაში;

ცალსახად იკვეთება სფეროთი ახალგაზრდების დაბალი დაინტერესება, რაც ტრადიციული რეწვის რიგი დარგების "დაბერებას" (განსაკუთრებით კაცების დასაქმების დარგები) იწვევს, აფერხებს თაობიდან თაობაზე ცოდნის გადაცემას და ტრადიციული ტექნიკების დაკარგვის საშიშროებას ქმნის.

ტრადიციული რეწვის ეროვნული სტრუქტურა ძირითადად ერთგვაროვანია, ქართველები შეადგენენ 97.8%, თუმცა ეროვნული სტრუქტურა დაზუსტებას მოითხოვს

ტრადიციული რეწვა საქართველოში არასამთავრო ორგანიზაციების მიერ მას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შეზღუდული უნარების მქონე, იძულებით გადაადგილებულ პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებაში.

## 8.4. რეგიონალური გავრცელება

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი პრობლემა მისი უთანასწორო გეოგრაფიული განაწილებაა – რეგისტრირებულ კომპანიათა 45% თბილისში მდებარეობს. ეს ტენდენცია ტრადიციულ რეწვაშიც შეინიშნება, თუმცა ნაკლებ ძლიერად. კვლევაზე დაყრდნობით სექტორის გეოგრაფიული განაწილება შეიძლება შემდეგნაირად შეფასდეს:

ინდივიდუალურ ოსტატთა დიდი ნაწილი, დაახლოებით 26%, თბილისში ცხოვრობს, თუმცა მოსახლეობაში ოსტატთა პროცენტული შემადგენლობით თბილისს საშუალო მაჩვენებელი აქვს. ამ მაჩვენებლის სიდიდით გამოირჩევა რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და გურია, ასევე მცხეთა-მთიანეთი, აჭარა და სამცხე-ჯავახეთი. ნათელია, რომ საქართველოში ტრადიციულ რეწვის ძირითადი "მიზიდულობის" არეალები მთიანი რეგიონებია, რაც უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მთიანეთში ტრადიციების სიძლიერით არის განპირობებული.

რაც შეეხება საწარმოებს, მათი რიცხვი თავისთავად ძალზე მცირეა და განზოგადების გაკეთება რთულია. შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულ საწარმოთა დაახლოებით 26% განლაგებულია თბილისში, ხოლო დანარჩენი თითქმის თანაბრადაა განაწილებული ქვეყნის სხვა მხარეებზე.

**გრაფიკი 12. ტრადიციული რეწვის ოსტატთა პროცენტული მაჩვენებელი მთლიან მოსახლეობაში რეგიონების მიხედვით**



მართალია ტრადიციული რეწვა, როგორც თვითდასაქმების და დამატებითი შემოსავლის წყარო, განსაკუთრებით "მიმზიდველი" უნდა იყოს სოფლის მოსახლეობისთვის, მაგრამ ოსტატების გამოკითხვის ანალიზი აჩვენებს, რომ ოსტატთა მხოლოდ 28% არ ცხოვრობს ურბანულ ზონაში, მაშინ როდესაც მთლიანად მოსახლეობის 46.8% სოფლის მოსახლეა. ეს, სხვა მიზეზებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია დისტრიბუციის არხების არარსებობით (იხ. თავი 8.8.6), რაც სოფლის მოსახლეობისთვის ნაწარმის ბაზარზე მოხვედრას ძალიან აძნელებს და შესაბამისად, აფერხებს მათ ჩაბმას ამგვარ ეკონომიკურ საქმიანობაში.

ტრადიციული რეწვის გეოგრაფიულ განაწილებაში ასევე შეიძლება აღინიშნოს საქართველოს მხარეების მიერ მათთვის ისტორიულად დამახასიათებელი დარგების შენარჩუნება. ასე მაგალითად, მთიან რაიონებში: სვანეთი, აჭარა, რაჭა კვლავ დომინირებს ხის დამუშავება, იმერეთში ფართოდ არის გავრცელებული კერამიკის წარმოება და ა.შ.

### 8.4.1. <u>ძირითადი მიგნებები და პრობლემები</u>

ტრადიციული რეწვის რეგიონალური განვითარება შედარბით თანაბარია, თუმცა მოსახლეობაში ტრდიციულირ რეწვის ოსტატების წილით გამოირჩევა რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და გურია, ასევე მცხეთა-მთიანეთი, აჭარა და სამცხე-ჯავახეთი. ნათელია, რომ საქართველოში ტრადიციულ რეწვის ძირითადი "მიზიდულობის" არეალები მთიანი რეგიონებია

განუვითარებელი ინფრასტრუქტურის გამო ტრადიციული რეწვა ვერ ასრულებს თავის როლს რეგიონების და, კერძოდ, სასოფლო დასახლებების განვითარებაში, რაზედაც მეტყველებს მისი კონცენტრაცია ურბანულ ზონაში (მწარმოებელთა 72%).

## 8.5. მწარმოებლების სტრუქტურა სამეწარმეო სტატუსის მიხედვით

კვლევამ დაადასტურა წინასაწარი მოლოდინი, რომ ტრადიციული რეწვის მწარმოებელთა უმეტესობა ინდივიდუალური პირია. ამასთან, მათი 65.8% არ არის დარეგისტრირებული საგადასახადო ბაზაში, 19.6% რეგისტრირებულია როგორც ინდ. მეწარმე, ხოლო 14.6% როგორც მეწარმე ფიზიკური პირი. რეგისტრაციის ასეთი დაბალი მაჩვენებელი, უპირველეს ყოვლისა, ოსტატებისთვის საგადასახადო უწყებასთან ურთიერთობის პრობლემურობით აიხსნება. ერთი მხრივ, მათ არ აქვთ სათანადო ცოდნა რეგისტრაციის აუცილებლობის, არსებული სტატუსების, შემდგომი ანგარიშგების სისტემის შესახებ, რაც, ხშირ შემთხვევაში, რეგისტრაციისადმი ერთგვარ შიშს და უნდობლობას იწვევს; მეორე მხრივ, რეგიონში მცხოვრები ოსტატებისთვის რეგისტრაციის და ანგარიშგების პროცედურა დამატებით გართულებულია საგადასახადო უწყების მათ დასახლებულ პუნქტში არარსებობით და ინტერნეტის ნაკლები ხელმისაწვდომობით. ფოკუს ჯგუფებში მუშაობისას ასევე გამოვლინდა, რომ ის ოსტატებიც კი, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან და ყოველწლიურად აწარმოებენ სათანადო ანგარიშგებას, ბოლომდე ვერ ერკვევიან არსებული სტატუსების უპირატესობებში და აღრიცხვის თუ ანგარიშგების ნიუანსებში.

აღსანიშნავია, რომ დარეგისტრირებულთა პროცენტული წილი მნიშვნელოვნად დიდია თბილისში. აქ ცხოვრობს დარეგისტრირებული ოსტატების 47.2%. ასევე მაღალია თბილისში მცხოვრები ოსტატების რეგისტრაციის მაჩვენებელიც - 49.5%. დედაქალაქის გარეთ სიტუაცია მკვეთრად იცვლება. აქ გამოკითხულ ოსტატთა მხოლოდ 26.7%-ია დარეგისტრირებული.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში ტრადიციულ რეწვაში ჩართული იურიდიული პირების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. საწყის ბაზაში მოცემული იყო 37 კონტაქტი, სულ გამოიკითხა 31.

სტატუსის თვალსაზრისით ორგანიზაციების უმეტესობა – 38.7% დარეგისტრირებულია როგორც ა(ა)იპი. ეს განპირობებულია იმით, რომ ტრადიციულმა რეწვამ მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰპოვა შეზღუდული შესაძლებლობების, იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების თანმდევ საქმიანობაში. შპს-ზე მოდის 35.5%, ხოლო 25.8%-ს ფაქტიურად არ გააჩნიათ სტატუსი, მაგრამ მიკუთვნებულ იქნენ იურიდიულ პირებს "გარეგანი ნიშნების" საფუძველზე. აქ ძირითადად შედის მონასტრებთან არსებული სახელოსნოები, სახელოვნებო სკოლებში არსებული წრეები და ა.შ.

### 8.5.1. <u>ძირითადი მიგნებები და პრობლემები</u>

სფეროს უმეტესი ნაწილი რეალურად აღურიცხავია, რაც ართულებს ეკონომიკური სტატისტიკის წარმოებას და ასევე, დარგის განვითარების ეკონომიკური გეგმისა და პროგნოზების გაკეთებას. ამის მიზეზებად შეიძლება დასახელდეს:

ა. ნაკლები გათვითცნობიერებულობა საგადასახადო სტატუსების და რეგისტრაციის აუცილებლობის/ფორმების შესახებ;

ბ. ბუნდოვანი და რთულად გასაგები საგადასახადო კოდექსი, რომელიც საგადასახადო უწყებასთან ურთიერთობის შიშსაც კი იწვევს.

გ. რეგიონებში, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ოსტატებისთვის საგადასახადო უწყებასთან ურთიერთობის დამატებითი სატრანსპორტო და დროის დანახარჯებთან კავშირი.

## 8.6. დარგობრივი სტრუქტურა

როგორც აღინიშნა, წინამდებარე კვლევა წარმოებდა წინასწარ იდენტიფიცირებული 10 ტექნოლოგიური ჯგუფის და 22 ტექნიკის მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რომ დღეისათვის საქართველოში ყველა მათგანი "ცოცხალია", თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს მათ გავრცელებაში. თუ ერთი ტექნიკა ფართოდ არის გავრცელებული და მისი თაობიდან თაობაზე გადაცემა აქტიურად მიმდინარეობს, მაგალითად თექა, ზოგიერი ტექნიკა ძალზე იშვიათად გვხვდება და გაქრობის სერიოზული საფრთხის წინაშე დგას, მაგ. მეაბრეშუმეობა (იხილეთ გრაფიკი 13)

### 8.6.1. <u>ტექსტილი</u>

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ტექნოლოგიურ ჯგუფს ტექსტილი წარმოადგენს. ის ყველაზე მრავალფეროვანია ქსოვილის დამუშავების ტექნოლოგიური ქვედარგების თვალსაზრისითაც, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია თელვა, დაზგაზე ქსოვა, ნაქარგობა, მოჩითული ქსოვილი, ჩხირითა და ყაისნაღით ქსოვა და კერვა. ყოველი მათგანი, თავის მხრივ, სხვადასხვა ტექნიკებისგან (მაგ. დაზგაზე ქსოვა: ფარდაგი, ხალიჩა, გობელენი და მრავალი სხვა) შედგება.

ტექსტილში გამოკითხულ ოსტატთა 49.07% მუშაობს. როგორც უკვე აღინიშნა, აღნიშნული ტექნოლოგიური ჯგუფი ძირითადად ქალების დასაქმებით ხასიათდება (99.06%). გეოგრაფიული განაწილების თვალსაზრისითაც ტექსტილი ერთ-ერთი ყველაზე თანაბრი განაწილებით ხასიათდება. თუმცა, გამოკითხულთა შორის ტექსტილით დაკავებული ოსტატების განსაკუთრებით მაღალი წილი გამოვლინდა თბილისში (43.03%). ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამეგრელო-ზემო სვანეთს (8.61%), მცხეთა-მთიანეთს (8.61%) და კახეთს (8.61%). სავარაუდოდ კახეთის პროცენტული წილი რეალურად უფრო მაღალია, ვინაიდან ალვანის მუნიციპალიტეტში (რომელიც ტრადიციულად ფარდაგების, ჩითების და ა.შ. ქსოვის ცენტრს

წარმოადგენს) გამოკითხულ ოსტატთა მონაცემები სტატისტიკურ ანალიზში არ ყოფილა გამოყენებული.

დიდია ტექსტილის პროცენტული წილი საწარმოთა შორის. სულ გამოკითხულ საწარმოთა 67% აწარმოებს ტექსტილის პროდუქციას, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ 20 საწარმოდან მხოლოდ ოთხია შპს. დანარჩენი მათგანი ა(ა)იპ ან მონასტერთან არსებული სახელოსნოებია.

**გრაფიკი 13. გამოკითხული ინდივიდუალური ოსტატების განაწილება ტექნოლოგიური ჯგუფების მიხედვით***




**შენიშვნა: ზოგიერთი ინდივიდი მუშაობს რამდენიმე ტექ. ჯგუფში. შესაბამისად ჯამური % 100-ს აღემატება*

**ცხრილი 5. ტექსტილში მომუშავე ოსტატთა % რეგიონში გამოკითხულთა შორის**

| მხარე | % | მხარე | % |
|---|---|---|---|
| თბილისი | 43.03 | სამეგრელო-ზემოსვანეთი | 8.61 |
| ქვემო ქართლი | 5.64 | აჭარა | 6.82 |
| სამცხე-ჯავახეთი | 6.53 | შიდა ქართლი | 6.82 |
| იმერეთი | 2.67 | მცხეთა-მთიანეთი | 8.61 |
| გურია | 1.78 | კახეთი | 8.61 |
| რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი | 0.88 | | |

პროდუქციის თვალსაზრისით ამ ჯგუფში ძირითადად იწარმოება ტანსაცმელი, აქსესუარები, ინტერიერის აქსესუარები (ფარდაგი, ხალიჩა, კომპოზიციები), სათამაშოები. სულ დაახლოებით 456 დასახელების ჯგუფი გამოიყო. ფასების თვალსაზრისით, ზოგად საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, პროდუქცია ნაკლები ფასისკენ მიისწრაფის. პროდუქციის კატეგორიების თითქმის 80% 50 ლარზე იაფია და მხოლოდ 3%-ია 500 ლარზე ძვირი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ხელთ არ არსებობს წინა წლების ანალოგიური მონაცემები, გარკვეული ტექნოლოგიების წილის ზრდა და ზოგიერთი მათგანის დაქვეითების ტენდენცია ნათელია. ამის საუკეთესო მაგალითად დღეისათვის **თელვის ტექნიკის** მაღალი პროცენტი შეიძლება მოვიყვანოთ.

*გრაფიკი 14. ტექსტილის ჯგუფში წარმოებული პროდუქციის განაწილება ფასების მიხედვით*




*გრაფიკი 15. ტექსტილში მომუშავე ოსტატთა განაწილება ტექნიკის მიხედვით*



### 8.6.2. <u>თელვა</u>

ბოლო 5-7 წლის განმავლობაში შეიმჩნევა თექის განსაკუთრებული პოპულარობა, რაც სხვადასხვა ფაქტორებით უნდა იყოს განპირობებული. ერთი მხრივ, ეს არის ინტერნეტში არსებული ფართო რესურსები, სხვა დარგებთან შედარებით თექის ტექნიკის სიმარტივე და ნაკლები შრომატევადობა, ხოლო მეორე მხრივ, ბოლო წლებში ქალების დასაქმებაზე ორიენტირებულ პროგრამებში თექის ტექნიკის სწავლების ჩართვა. შესამაბისად თექის ტექნიკაში ბევრი "ახალმოსული" ოსტატი მუშაობს: გამოკითხულთა 42% ხუთი ან ნაკლები წელია ჩართულია ტრადიციულ რეწვაში.

მნიშვნელოვანი დივერსიფიკაცია განიცადა პროდუქციამ, ტრადიციულ პროდუქციას სვანურ ქუდებს, ნაბდებს, ფარდაგებს დღეს თექის პროდუქციის მხოლოდ მცირე წილი უკავია (ავტორთა მხოლოდ 22% აწარმოებს ტრადიციული დიზაინის ნიმუშებს), ძირითადი ნაწილი კი თანამედროვე სამოსი და აქსესუარებია, კერძოდ: შარფები, ფაჩუჩები, თექის სათამაშოები, ყვავილები, სამკაული (მძივები, თმის სამაგრები და ა.შ.), რომელთაც ერთმანეთის მსგავსი, სტანდარტული დიზაინი გააჩნია.

მნიშვნელოვნად გამარტივდა თელვის ტექნიკა, რაც გამოიხატება ნაკეთობისთვის სიმყარის მისაცემად სახამებლის გამოყენებაში (ადრე ეს ხანგრძლივი თელვით მიიღწეოდა), და ასევე თექის სხვა ქსოვილებთან კომბინირებში.

თავისთავად პროდუქციის დივერსიფიკაცია, ისევე როგორც ტექნიკაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება დადებითი მოვლენაა, თუმცა თელვის შემთხვევაში ნაკლებად გამოცდილი კადრების, ახალი ტიპის პროდუქციის და გამარტივებული ტექნიკის გამოყენების ერთობლიობამ უმეტეს შემთხვევაში თექის პროდუქციის ზოგადი ხარისხი მნიშვნელოვნად გააუარესა.

თექის პროდუქციის მასობრივი ხასიათის მიუხედავად ქვეყნის მასშტაბით შემორჩენილია ტრადიციული ტექნილოგიები, მაგ. სვანეთში სვანური ქუდი, სამეგრელოში ნაბდების თელვის ტექნოლოგია, ასევე სტეფანწმინდაში, პანკისის ხეობასა და ალვანში ნაბდების, ქუდების, ფარდაგებისა და ცხენის ჩულების თელვა.

**ქეთევან ხატიაშვილი**
თექის სათამაშოები
თბილისი. ტელ.:597675863

## ჯარა ნიჟარაძე

სვანური ქუდების ოსტატი
ჟიბიანი, სოფ.უშგული, მესტიის მუნიციპალიტეტი
ტელ.: +995 790955991

სვანური ქუდების ოსტატი ჯარა ნიჟარაძე სვანეთის ულამაზეს სოფელში უშგულში ცხოვრობს. მან ქუდების დამზადება დედისგან ისწავლა. ოსტატი მისი ოჯახის მამაკაცებისთვის ბავშვობიდან ამზადებდა სვანურ ქუდებს.

*კარგად მოთელილი ქუდი წყლის დასალევად გამოიყენებოდა. ეს იყო სიმბოლო მაყვშის ძალაუფლებისა. სადღესასწაულოდ თეთრ ქუდს ხმარობდნენ, შავს — სამგლოვიაროდ, ხოლო რუხს — ყოველდღიურ ცხოვრებაში.*

## ლია და გულნაზ ქოთილაიძეები

თექის ოსტატები

გულნაზ და ლია ქოთილაიძეები სოფელ ლალისყურში ცხოვრობენ. უკვე 13 წელია ერთობლივად მუშაობენ თექაზე და ნარუქზე. დები ქოთილაიძეები თექისგან და ნარუქისგან დეკორატიული კედლის პანოებს, შარფებს, სანათებს, ფარდაგებს და ინტერიერის გასაფორმებელი აქსესუარებს ქმნიან. მათი ნამუშევრები თავშეკავებული ფერებით, ზომიერი კომბინაციით და შესრულების მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

*ჩვენი ნამუშევრების დიზაინი ერთი შეხედვით თანამედროვეა, მაგრამ ყველაფერი მაინც ჩვენი ფესვებიდან მოდის. თექაზე მუშაობას სანამ დავიწყებდით სოფელში მცხოვრებ ხელსაქმეში გამოცდილი ქალბატონებისგან მივიღეთ ცოდნა ქართული ტრადიციული ორნამენტის შესახებ. დღეს რასაც ვაკეთებთ, ალბათ ძველის განახლებას ვუწოდებდი.*

ძირითადი მასალა კვლავ მატყლია, როგორც ადგილობრივი წარმოშობის, ისე იმპორტირებული (მირინოსი). თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა ხშირად "საფუძვლად" გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ქსოვილი, რომელზეც ითელება მატყლი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ამ დარგში შეეხო მხოლოდ გამოყენებულ მასალას (მერინოსი, ქიმიური საღებავები) და არა აღჭურვილობას. გამოკითხულ ოსტატთაგან თელვის პროცესში არც ერთი მათგანი არ იყენებს მექნიკურ დანადგარებს, თუმცა მაგალითად ნეპალში ფართოდ გამოიყენება მარტივი ხელის პრესები, რომლებიც მაღალ ხარისხთან ერთად მნიშვნელოვნად ამცირებენ შრომის დანახარჯებს.

თექის პროდუქციაში დიდი ადგილი უჭირავს სათამაშოებს, რომლებიც ასევე მეტწილად ერთმანეთის მსგავსია, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, რომლებიც მაღალი ხარისხითა და სათამაშოების დიზაინის ორიგინალურობით ხასიათდება.

### 8.6.3. <u>ნაქარგობა</u>

ტექსტილის ტექნოლოგიური ქვედარგებიდან, გავრცელების თვალსაზრისით მეორე ადგილზე ნაქარგობაა. შეიძლება ითქვას, რომ ნაქარგობაში თექის მსგავსი რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა. ამ დარგის პროდუქციის ფუქნციონალური ჯგუფები ძირითადად კვლავ ტანსაცმელი, აქსესუარები (ქუდები, სამაჯური, თავსამკაული, ა.შ.), საეკლესიო და საოჯახო ნივთებია. (სუფრები, ხელსახოცები). მართალია გვხვდება ფუნქციონალური ინოვაციები (მაგ. მობილური ჩასადებები), მაგრამ პროდუქციის რეალური გამრავალფეროვნება არ შეიმჩნევა.

თუმცა გამოკითხულ ოსტატთა 85% ტრადიციული დიზაინით მუშაობს, უნდა აღინიშნოს, რომ ნაქარგობაში ფაქტიურად დაკარგულია საქართველოს რეგიონალური განსხვავებები. ჭარბობს ფშავ-ხევსურეთისთვის ტიპური ჯვრული ნაქარგობა, შესაბამისად სხვა რეგიონების დამახასიათებელი თავისებურებები ნაკლებად არის წარმოდგენილი. ხევსურული ორნამენტით ფორმდება მამაკაცის ქუდები, მანდილები, ჩანთები, ქისები, სამაჯურები, თავსამკაული. მიუხედავად აღნიშნული პოპულარობისა, ხევსურული სამოსისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება: ნაქარგობის, ჩანაჭრულის (აპლიკაციის) და წვრილი მძივის კომბინაცია, რასაც ემატება თავად ნაქარგობის განსხვავებული ტექნიკების გამოყენება, თანამედროვე ნაწარმში მხოლოდ ჯვრული ნაქარგობითაა ჩანაცვლებული, რაც მნიშვნელოვნად აღარიბებს მათ დიზაინს.

როგორც აღინიშნა, ძირითადად გამოიყენება ჯვრული ნაქარგობა, მაშინ როდესაც წყლით, ოქრომკერდით ქარგვა შედარებით იშვიათია. ოქრომკერდის ტექნიკა ძირითადად გამოიყენება საეკლესიო დანიშნულების ნივთების მოსართავად, იშვიათად სამკაულის ან აქსესუარების გასაფორმებლად.

ბაზარზე არსებული ნაქარგი პროდუქციისთვის ასევე დამახასიათებელია ფუნქციური კატეგორიების და მათი ფორმების სტანდარტულობა, მაგალითად, ჩანთების, საფულეების და სხვა ნივთების ტიპური ფორმა, რომელიც ნაკლებად არის ტრადიციული, თუმცა ამვადროულად ვერც თანამედროვე ბაზრის მოთხოვნას აკმაყოფილებს (მაგალითად. ჩანთის ზომა, ფორმა, შესაკრავი, საკიდი. ა.შ.).

ისევე, როგორც თექის ნაწარმში, ნაქარგ პროდუქციაშიც ხშირად ვხვდებით დაბალი ხარისხის ნამუშევრებს, რაც გამოიხატება ფერადოვანი შეხამებების სიჭრელეში. ეს ერთი მხრივ, განპირობებულია იმპორტირებული საქარგავი ძაფების პალიტრით, რომელიც განსხვავდება ტრადიციული ბუნებრივი საღებავებით მიღებული თავშეკავებული ფერადოვნებისგან, მეორე მხრივ შრომის ეკონომიის მიზნით გვირიტის ზომის გაზრდით, რაც ასევე დაბლა სწევს პროდუქციის დონეს.

საქარგავ საფუძვლად გამოყენებული კანვის შეზღუდული არჩევანის გამო, თითქმის უცვლელად დომინირებს შავი ფონი, რომელიც ტრადიციულია, თუმცა ძველ ნამუშევრებში ასევე გვხვდება ლურჯის, შინდისფრის, ღვიძლისფრის სხვადასხვა ტონების ფონად გამოყენება, რასაც იშვიათად

ვნახავთ თანამედროვე პროდუქციაში. ყოველივე ეს გარკვეულწილად ხელს უწყობს პროდუქციის სტანდარტიზაციას.

უაღრესად შრომატევადი საქმიანობის გამო, ნაქარგი ხარისხიანი პროდუქცია საკმაოდ ძვირად ღირებულია. გაუთვითცნობიერებელი მყიდველისთვის გაწეული შრომის სათანადო დაფასება რთულია, რაც საბოლოო ჯამში მათი რეალიზაციის პრობლემას ქმნის.

### 8.6.4. ქსოვა

ტექსტილში მომუშავე ოსტატების 19% მოდის ქსოვაზე. პროდუქციის უმეტესობა ჩხირებით არის შესრულებული, დაახლოებით 20% ყაისნაღით ნაქსოვია. ფუნქციონალური ჯგუფებიდან ბაზარზე ძირითადად აქსესუარებია (ქუდები, შარფები, წინდები, ჩითები) წარმოდგენილი. ნაქსოვ პროდუქციაში ჭარბობს შერეული დიზაინის ნაწარმი (48%), მაშინ როდესაც ტრადიციულ დიზაინზე – 38%, ხოლო თანამედროვეზე მხოლოდ 14% მოდის. შერეული დიზაინის ნამუშევრების სიჭარბე სავარაუდოდ ბოლო წლებში თანამედროვე დიზაინის ნაქსოვ ქუდებზე და შარფებზე გაჩენილი მოთხოვნის შედეგია. ტრადიციული ნიმუშები – წინდები, ჩითები კვლავ უცვლელი სახით გვხვდება, თუმცა წინდების შემთხვევაში, უცხოელი მომხმარებლის გემოვნებაზე მორგებული უფრო მკვეთრი ფერების შემოსვლა შეიმჩნევა. გამოყენებული მასალა ძირითადად შალის ძაფია, თუმცა არის ბამბის და ხელოვნური ძაფებიც.

**მარინა იჭირაული**, ჩითების ოსტატი
ახმეტის რ-ნი, სოფ. ქვ. ალვანი
ტელ.: +995 555464472

ადგილობრივი წარმოების ძაფების სიმწირის გამო საქსოვ მასალად ძირითადად გამოიყენება შემოტანილი ძაფები, რაც კიდევ უფრო მეტად აძვირებს საბოლოო პროდუქციის ფასს.

საქართველოს მასშტაბით ოსტატების მხრიდან მატყლისგან ძაფის დამზადების მხოლოდ ერთეული შემთხვევაღა გვხვდება.

### 8.6.5. დაზგაზე ქსოვა

დაზგაზე ქსოვა ძირითადად ფარდაგების, ხალიჩების და გობელენის ქსოვით არის წარმოდგენილი. ეს მიმართულება მნიშვნელოვნად "დასუსტდა" 90-იანი წლების შემდეგ, როდესაც გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მოხდა არსებული ფაბრიკების დახურვა. დღეისათვის ტექსტილში მომუშავე გამოკითხულ ოსტატთა 10.5%-ი დაკავებულია დაზგაზე ქსოვით. მეტწილად იქსოვება ფარდაგები და გობელენები. ამასთან აღსანიშნავია, რომ გობელენის ქსოვით ძირითადად სპეციალური განათლების მქონე ოსტატები არიან დაკავებულნი, ხოლო ფარდაგებს ხალხური რეწვის ოსტატები და მათი მოწაფეები ქმნიან. სავარაუდოდ სწორედ ამიტომ ფარდაგებში და ხალიჩებში ტრადიციული ორნამენტები და დიზაინი ჭარბობს, ხოლო გობელენში – თანამედროვე.

საქართველოში მეხალიჩეობის ტრადიციები შემორჩენილია ახალციხეში, ალვანში, დედოფლისწყაროში, დუშეთსა და სიღნაღში ფუნციონირებს ხალიჩების მცირე ფაბრიკები და სახელოსნოები.

ფუნქციურად დაზგაზე ნაქსოვი ფარდაგების გარდა ვხვდებით ამავე ქსოვილისგან შეკერილ ჩანთებსა და აქსესუარებს (დედოფლისწარო), რომელთა დიზაინიც სხვადასხვა მასალების კომბინაციით არის გამდიდრებული.

**მარიამ ჟუჟუნაძე**
**(მარო ბებო)**

ქსოვის ოსტატი
მისამართი:სოფ. მუსხი,
ახალციხის მუნიციპალიტეტი
ტელ: +995 599321432; +995 790284877

სოფელ მუსხში ჯერ კიდევ შემორჩენილია მეხალიჩეობის უძველესი ტრადიციები, რომლის მატარებელიც ცნობილი ოსტატი მარიამ ჟუჟუნაძეა (მარო ბებო).

მარო ბებო წარმოშობით ასპინძის რაიონიდან არის. მატყლი და ძაფი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ოსტატი გლეხის ოჯახში დაიბადა, დაამთავრა სკოლა, საექთნოზე უნდოდა უმაღლესში ჩაბარება მაგრამ ვერ მოხვდა.

*„სოფელში რძის პროდუქტების აღმრიცხველად ვმუშაობი. 1955 წელს გავთხოვდი გარიგებით და 40 წელი ჩემს ქმართან ერთად ვიცხოვრე. ქსოვა ბიცოლებისგან ვისწავლე. თავიდან მატყლის ჩეჩვას მავალებდნენ, მოგვიანებით ქსოვაც ვისწავლე. ომის დროს ძირითადი შესამოსელი მატყლისგან იკერებოდა, ომის დასრულების შემდეგ კი როდესაც ტანსაცმლის ქარხნული წარმოება დაიწყო მეტი მატყლი დარჩა სოფელში და დედამ გადაწყვიტა ფარდაგების ქსოვა დაგვწყო. ამ დროს სკოლაშიც ვსწავლობდი, სკოლის მერე კი ზოგჯერ ღამის სამ საათამდე დაზვასთან ვიჯექი და ვქსოვდი. თავიდან ხალიჩის შუა ნაწილს დედა ქსოვდა კიდეებს კი მე. ძველ ფარდაგებს ეხლაც რომ ვუყურებ ზუსტად ვიცი რა ნაწილია მასში ჩემი. მას მერე, მთელი ცხოვრების მანძილზე ვქსოვ. ბავშვი რომ გამიჩნდა აკვანი ფეხზე მქონდა გამობმული და ისე ვქსოვდი.“*

მარო ბაბოს სახელოსნოში სასწავლებელია, სადაც სოფლის ახალგაზრდები სწავლობენ ხალიჩების ხსოვას. *ერთი ოცნება მაქვს ჩემი სიკვდილის შემდეგ ეს სკოლა მაინც არსებობდეს, სხვა მიზანი არ მაქვს*

მარო ბებო თავისი კუთხის ცოცხალი განძია, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებაში.
მისი ფარდაგების ფასი საშუალოდ 600 ლარიდან იწყება, ხალიჩების ფასი კი 1500 ლარიდან.

## არტ სტუდიო „ფესვები“

ხელმძღვანელი: ნინო ბახუტაშვილი
მისამართი: 9 ძმის ქუჩა № 18,
ქ. დედოფლისწყარო
ტელ/თელ: +995 555 561494
ელ-ფოსტა: ***ninobaxuta@mail.ru***

არტ-სტუდიო „ ფესვები“ 2005 წელს დაარსდა დედოფლისწყაროში. სახელოსნოს საქმიანობის მთავარი მიზანი თავიდანვე იყო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით ტრადიციული ქიზიყური ხელსაქმის აღდგენა-განვითარება და ადგილობრივი ქალბატონების საქმიანობაში აქტიური ჩართვა იყო. თითოეული მონაწილე მოკლე დროში დაეუფლა ფარდაგისა და გობელენის ქსოვის სხვადასხვა ტექნიკას, თექის მოთელვას, მისგან სხვადასხვა აქსესუარის დამზადებას. ამ სამუშაო-სასწავლო პროცესს ქალბატონი ნინო ბახუტაშვილი ხელმძღვანელობს, რომელიც ქმნის დიზაინს და სახელოსნოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს.

ფესვები“ სახელოსნოების ერთ-ერთ იმ მცირე რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც ბუნებრივი საღებავებით ღებვის დიდი გამოცდილება აქვს. ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით მათ აღადგინეს ღებვის ტრადიციული მეთოდი,როლებიც პრაქტიკულად დაკარგული იყო.
სახელოსნოში იქსოვება ფარდაგები, ხურჯინები, ჩანთები და სხვა. ნამუშევრების დიზაინი ტრადიციულია, გამოყენებულია ქართული ორნამენტი, ფერები და ფერთა კომბინაციები. ამავე დროს, სახელოსნოში თანამედროვე მოთხოვნილებებს ადაპტირებული კოლექციაც იქმნება, სადაც ფერები უფრო ნათელია, დიზაინი კი მეტად ესადაგება ყოველდღიურ ცხოვრებას.

სახელოსნოში მისული სტუმარს საშუალება აქვს იხილოს ნამუშევრის შექმნის სრული პროცესი ძაფების ღებვიდან დაწყებული მისი ქსოვით დასრულებული.

საქართველოში ტრადიციულად ხდებოდა დაზგაზე ბამბის, შალის, აბრეშუმის, სელის ქსოვილის ქსოვა. სამწუხაროდ დღეისათვის მხოლოდ ერთეული შემთხვევებია დაფიქსირებული, რაც ფაბრიკული ქსოვილის მრავალფეროვნების და ხელმისაწვდომობის პირობებში ხელით ნაქსოვ ქსოვილზე დაბალი მოთხოვნითაა განპირობებული. ფაქტიურად დაკარგვის პირას არის მეაბრეშუმეობის ტრადიცია, რომელიც საქართველოში V საუკუნეებიდან დასტურდება. [57] გამოკითხული ოსტატებიდან მხოლოდ 2-ს ჰყავს აბრეშუმის ჭია და თავისი მოხმარებისთვის იღებს მცირე რაოდენობით აბრეშუმის ძაფს.

თუმცა, შესაბამისი რეკლამის და სწორი ნიშის მოძებნის შემთხვევაში ხელით ნაქსოვ ქსოვილს შესაძლოა მნიშვნელოვანი პერსპექტივები ჰქონდეს.

### 8.6.6. <u>მოჩითული ქსოვილი</u>

მოჩითული ქსოვილი დღეს საქართველოსთვის ნაკლებად ტრადიციული ბატიკითაა წარმოდგენილი. ბატიკა საქართველოში 90-იან წლებში აბრეშუმის მოჩითვასთან ერთად გახდა პოპულარული. როგორც სხვა მრავალ დარგში, გამოკითხულთა შედარებით დიდი პროცენტი (50%-ზე მეტი) თბილისზე მოდის. პროდუქციის დიზაინის 81% შერეულია და მხოლოდ ოსტატების 3.8% თვლის, რომ ტრადიციულ დიზაინში მუშაობს. დღეს ძირითადად გავრცელებულია ბატიკის ცივი და ცხელი ტექნიკა.

იშვითობაა ტრადიციული ხის საჩითავი ყალიბებით გაფორმებული ქსოვილები. ამ მხრივ აღსანიშნავია ბოლო წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიის ინიციატივა, რომლის ბაზაზე განხორცელებული კვლევების შედეგად მოხდა მოჩითული ქსოვილის და კერძოდ ტრადიციული ლურჯი სუფრის დამზადების ტექნოლოგიის აღდგენა და სახელოსნოს შექმნა, რომელიც ტრადიციული ნეგატიური ტექნიკით მოჩითულ ლურჯ სუფრებს ამზადებს.

გვხვდება კომპიუტერული ბეჭდვით შესრულებული ლურჯი სუფრებიც, რომლებიც ტექნიკის სრული მექანიზაციის გარდა, ხელოვნური ქსოვილის და ანაბეჭდის დაბალი ხარისხით გამოირჩევა.

**სამოსელი პირველი**
"სამოსელი პირველი"

მომხმარებელს ქართულ ტრადიციულ სამოსს სთავაზობს, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით არის შექნილი.
კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეროვნული სამოსის (როგორც ქალის, ისე მამაკაცის) და აქსესუარების წარმოებას, როგორებიცაა ჩოხის მასრები, ხანჯლები და სატევრები, ქალისა და მამაკაცის სარტყელები, საფულეები, ქისები, ქალისა და მამაკაცის ეროვნული სამოსის შესატყვისი ჩექმა, ფეხსაცმელი თუ მრავალი სხვა.

[57] *(თამარ ბრეგაძე; გამა რადიაციის გავლენა თუთის აბრეშუმმხვევიას ცხოველმყოფელობაზე. დისერტაცია http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000177/tamar%20bregadze%20disertacia.pdf).*

მოჩითული ქსოვილის პროდუქცია წარმოადგენილია შარფებით, კედლის პანოებით, ინტერიერის აქსესუარებით, ლურჯი სუფრებით. საინტერესო პრაქტიკას წამოადგენს კავშირი თანამედროვე მოდის ინდუსტრიასთან კერძოდ, დარგის მიერ ქსოვლის დამზადება თანამედროვე სამოსის შესაქმნელად. მართალია მსგავსი კავშირები დღეისათვის გამონაკლისის ხასიათს ატარებს, მაგრამ შეიძლება განხილულ იქნას როგორც განვითარების ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად, არა მარტო მოჩითული ქსოვილისთვის, არამედ რეწვის სხვა დარგებისთვისაც. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მოჩითულ ქსოვილის პროდუქცია არასკმარისად იყენებს მის ხელთ არსებულ ფუნქციონალური მრავალფეროვნების შესაძლებლობებს.

### 8.6.7. <u>კერვა</u>

მიუხედავად იმისა, რომ კერვა საყოფაცხოვრებო დონეზე ყველაზე გავრცელებული დარგია ტრადიციულ რეწვაში მას საკმაოდ მცირე ადგილი უკავია. ტექსტილის ჯგუფში კერვა მოჩითულ ქსოვილთან ერთად ყველაზე ნაკლებად გავრცელებულია. გამოკითხულ ოსტატთა მხოლოდ 8% არის დაკავებული კერვით. ამ კატეგორიაში შევიდა ტრადიციული სამოსის კერვა და ისეთი ნაწარმი, რომელშიც წამყვანი როლი სხვა ტექნიკას არ ეკუთვნის. მაგ. ქვილთი (ჩანაჭრები), შეკერილი სათამაშოები/თოჯინები და აქსესუარები, სადაც წამყვანი ნაქარგობა არ არის.

ქვილთის პროდუქცია საკმაო პოპულარობით სარგებლობს ოსტატებს შორის. პროდუქციის ხარისხი და დიზაინი კერვაშიც საკმაოდ მერყეევია, მაღალმხატვრული ნამუშევრებიდან საკმაოდ დაბალი დონის ნაწარმამდე.

გამოიყენებული ქსოვილი საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა მეტწილად გამოიყენება იმპორტირებული მასალები.

### 8.6.8. <u>ღებვა</u>

ნატურალური საღებავებით ღებვა (ტუტისღებვა) კვლევაში არ არის გამოყოფილი ცალკე ტექნიკად, ვინაიდან გამოკითხვებმა აჩვენეს რომ, რომ ოსტატების განსაზღვრული რაოდენობა ნედლეულის ნატურალური საღებავებით ღებვის ტექნოლოგიას ფლობენ და პრაქტიკაში იყენებენ მაგრამ ძირითადად მხოლოდ პირადი პროდუქციის შესაქმნელად და არა შეღებილი ნედლეულის დამოუკიდებლად რეალიზაციის მიზნით. როგორც წესი თელვის, დაზგაზე ქსოვის ოსტატები, და შედარებით იშვიათად მქსოველები, მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის ღებავენ ნედლეულს, და უკვე მზა პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ; თუმცა ინტერვიუების დროს ბევრჯერ აღინიშნა, რომ ნატურალური ღებვა ძალზე შრომატევადია, დროის დიდ დანაკარგებთან არის დაკავშირებული, და რომ მისაღები ფასის შემთხვევაში ისინი მზად იქნებოდნენ უკვე მზა ნატურალურად შეღებილი ნედლეული შეეძინათ.

### 8.6.9. <u>კერამიკა</u>

კერამიკაში გამოკითხულ ოსტატთა 8.75%-ია დაკავებული, რომლებშიც ქალების და კაცების წილი დაახლოებით თანაბარია. მიუხედავად სტატისტიკური მასალის არარსებობისა შეიძლება ითქვას, რომ კერამიკული წარმოება საბჭოთა პერიოდის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა, ვინაიდან ფუნქიონირება შეწყვიტა კერამიკულმა ქარხნებმა თბილისში, მცხეთაში, იყალთოში, ზუგდიდში.

დღეისათვის კერამიკული წარმოებით გამოირჩევა თბილისი, სადაც გამოკითხულ ოსტატთა დაახ. 12%-ია კერამიკით დაკავებული. ამავე დროს დედაქალაქში ცხოვრობს გამოკითხულ კერამიკოსთა 46%. მაღალია კერამიკოსთა რაოდენობის მაჩვენებელი იმერეთში - 19% და 14% (ვინაიდან კვლევის დროს ვერ მოხდა შროშის რაიონის სრულად დაფარვა, სავარაუდოდ, ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღალია). ასევე მცხეთა-მთიანეთში - (მცხეთა) 17% და 11%; კახეთში (თელავი, იყალთო) კერამიკული წარმოება შედარებით "დაკნინებულია" და ფაქტიურად დანარჩენი რეგიონების თანაბარია.

**გრაფიკი 16. გამოკითხულ კერამიკოსთა განაწილება მხარეების მიხედვით**




ძირითადად ვხვდებით ჩამოსხმულ ან ჩარხზე ამოყვანილ პროდუქციას, იშვიათად პრესით ან ხელით ნაძერწ ნაწარმს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქვევრის დამზადების ტექნოლოგია. აღსანიშნავია რომ ბოლო დროისთვის საქართველოში სულ რამდენიმე ქვევრის ოსტატი იყო დარჩენილი და დარგი დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. თუმცა, ორგანიზაცია Living Roots-ის დამფუძნებელთან, ქ-ნ ია თაბაგართან (იგი მრავალი წელია მუშაობს საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარებაზე, ქვევრის ღვინის პოპულარიზაციასა და აღიარებაზე) სიღრმისეულ ინტერვიუში აღნიშნა რომ 2013 წელს იუნესკოს მიერ „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდისთვის“ მსოფლიო არამატერიალური მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭებამ და “ქვევრის ღვინის” პოპულარიზაციის მიმდინარე კამპანიამ უკვე გამოიღო შედეგი ქართული არამატერიალური კულტურის მემკვიდრეობის ამ ნაწილის გადარჩენისთვის. დღეისათვის გაზრდილია მოთხოვნა ქვევრებზე არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ გაჩნდა უცხოური შეკვეთებიც, რაც ამ ხელობის შენარჩუნების დიდ იმედებს იძლევა. განვითარების ამ ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში აღნიშნული პრაქტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დაკარგვის საფრთხის წინაშე მყოფი დარგების გადარჩენისთვის საპოპულარიზაციო კამპანიის მნიშვნელობის წარმატებული მაგალითი.

ამ ტექნოლოგიური ჯგუფის გამორჩეული მახასიათებელია მაღალი სპეციალური განათლების მქონე პირების პროცენტული წილი. პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელში შეძენილი ცოდნის მქონეთა ოდენობა გამოკითხულ ოსტატებში 80%-ს აღემატება, მაშინ როდესაც ზოგადად ტრადიციული რეწვისთვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 32%-ია.

ეს გარემოება განაპირობებს კერამიკული ნაწარმის შედარებით მაღალ ხარისხს, თუმცა აღნიშნული პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული პროდუქციის ფუნქციის და დიზაინის დივერსიფიკაციაში.

კერამიკის პროდუქციას ძირითადად ტრადიციული ფორმების და დანიშნულების ჭურჭელი წარმოადგენს, რომელშიც ტრადიციულად ღვინის ჭურჭელს წამყვანი ადგილი უკავია. გვხვდება მცირე ზომის სუვენირები (მაგნიტები, დოქები ა.შ.), შედარებით მცირეა სახლის აქსესუარები და სხვა ნაწარმი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოსტატთა მხოლოდ 14% მიიჩნევს თავის პროდუქციას ტრადიციულ დიზაინად და 86% შერეულად.

**გრაფიკი 17. კერამიკოს ოსტატთა**
**განაწილება ცოდნის შეძენის გზების მიხედვით**




კერამიკაში, სხვა დარგებთან შედარებით მეტად შეიმჩნევა გასხვავება თბილისსა და რეგიონებს შორის პროდუქციის ხარისხსა და დიზაინში. რეგიონებში მეტად არის გავრცელებული მოუჭიქავი კერამიკა (კახეთი, შროშა), ხარისხი ძირითადად დაბალი და საშუალო. ჭარბობს ტრადიციული ფორმები (ღვინის ჭურჭელი, კეცები, ქვევრები, თონეები).

ამ მხრივ გამორჩეულია გორი, სადაც ერთეულის სახით, მაგრამ შენარჩუნებულია გორისთვის ტიპიური მოჭიქული კერამიკა. მზადდება ღვინის ჭურჭელი, მარნები, რომელთაც სხვადასხვა ტრადიციული ანტროპომორფული და ზოომორფული ფორმები აქვს.

თბილისური პროდუქცია ძირითადად საშუალო და მაღალი ხარისხისაა, უმეტესწილად მოჭიქული. მართალია აქაც სჭარბობს ტრადიციული ფორმები, მაგრამ ბოლო წლებში შეიმჩნევა გამრავალფეროვნების ტენდენცია და საერთაშორისო ბაზრის მიმდინარეობების გათვალისწინების მცდელობა. გვხვდება თანამედროვე ჭურჭლის (ყავისა და ჩაის ნაკრებები და სხვა.) წარმოების შემთხვევები.

პროდუქციის ტიპის მხრივ კერამიკულ პროდუქციაში რამდენიმე ძირითადი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს.

- ხალხური საწყისების კერამიკა, რომელიც ტრადიციული ფორმებს იმეორებს, თუმცა მათ შორისაც არსებობს განსხვავებები ხარისხისა და დიზაინის დონის თვალსაზრისით (გორის კერამიკა, შროშის, კახური მოუჭიქავი კერამიკა)
- სამუზეუმო ასლების თემაზე, ან მათი მოტივებით შთაგონებული კერამიკული ნაწარმი (შავპრიალა კერამიკის ასლები, კოლხური ცულებისა და ბრინჯაოს ბალთებისა და სარტყლები ორნამენტით გაფორმებული კერამკული სუვენირები და სხვა)
- თანამედროვე ჭურჭელი, ტრადიციული ორნამენტებით
- დაბალი ხარისხის კიჩიზაციისკენ მიდრეკილი სუვენირული პროდუქცია
- მაღალი ხარისხის და ფუნქციური სუვენირები

გამოკითხულ ოსტატებში გამოვლინდა 80-მდე დასახელების პროდუქცია. მათი 80%-ზე მეტი 50 ლარზე ნაკლები ღირებულებისაა. შესაბამისად ზოგად სურათთან შედარებით კერამიკული ნაწარმში საკმაოდ მაღალია 50 ლარზე ძვირი ღირებულების პროდუქციის წილი.

გამოყენებულ მასალებში ძირითადად გამოიყენება ადგილობრივი თიხა. აღსანიშნავია, რომ ოსტატებს პრობლემები ექმნებათ ნედლეულის მოპოვებაზე. არსებული კარიერებიდან თიხის მოპოვება, მისი დამუშავება და რეალიზაცია ლეგალურად არ მიმდინარეობს, შესაბამისად, თიხის შესყიდვის კანონიერი გზები ძალზე შეზღუდულია. კერამიკოსთა უმეტესობას უწევს უკანონი გზებით მოიპოვოს მასალა, რაც თავის მხრივ, დიდ პრობლემას უქნის დარგის შემდგომ განვითარებას.

## გიორგი ტატულაშვილი

*კერამიკოსი*
*გორი, ნინოშვილია ქ. 10*
*ტელ: +995 599 275568, +370 27 0029*
*ელ-ფოსტა: ანნა.ტატულაშვილი@gmail.com*

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში განსაკუთრებით ცნობილი იყო გორის მოჭიქული კერამიკა, რომელიც გამოირჩეოდა სტილის მრავალფეროვნებით. აქ მზადდებოდა როგორც ყვითელჭიქურიანი მწვანე საღებავებით მოხატული კერამიკა, ისე მოიასამნისფერო ჭიქურზე მწვანე საღებავებით შესრულებული ორნამენტული სახეები.

სწორედ ამ ტრადიციების გამგრძელებელი, ქალაქ გორში მცხოვრები ოსტატი გიორგი ტატულაშვილია. ხელობა წინაპრებისგან ისწავლა . ხალხურ კერამიკაზე მუშაობდნენ მისი ბაბუა და მამა. წლების წინ ბატონი გიორგის სახლი გორში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. მის სახელოსნოში XIX საუკუნის შეშის ღუმელია შემორჩენილი, რომელიც მის ბაბუას ეკუთვნოდა. ტატულაშვილების კერამიკა განთქმული იყო გორში და საპატიო სტუმრები ყოველთვის მათი სახელოსნოს დასათვალიერებლად მიჰყავდათ მასპინძლებს.

ბატონი გიორგის მოჭიქული ჭურჭელი მრავალფეროვანია. ამზადებს ფიალებს, დოქებს, სამქვევრებს, ჯამებს, სამაწვნე ქილებს და სხვა ღვინის თუ საყოფაცხოვრებო ნივთებს. გამორჩეულია მისი თეთრ ჭიქურიანი ჭურჭელი, რომელზეც ცისფერი საღებავებით მცენარეული ორნამენტია დატანილი

ცხრილი 6 პროდუქციის განაწილება ფასების მიხედვით

| პროდუქციის ფასი | % განაწილება კერამიკულ ნაწარმში | % განაწილება მთლიანად რეწვაში |
|---|---|---|
| <20 | 44.58 | 32.9% |
| 21-50 | 37.35 | 28.9% |
| 51-100 | 8.43 | 13.0% |
| 101-500 | 7.23 | 16.4% |
| 501-1000 | 2.41 | 4.0% |
| >1000 | | 4.6% |

კვლევის დროს გამოვლინდა, რომ კერამიკაში არსებობს განვითარების რეალური პოტენციალი და შესაზლებელია მოხდეს საწარმოთა რაოდენობის ზრდა უახლოვეს მომავალში. აღნიშნული, სხვა მაჩვენებლებთან ერთად, მნიშვნელოვნად იქნება განპირობებული ქართული სპირტიანი სასმელების (ღვინო, ჭაჭა) ექსპორტის ზრდით, ვინაიდან ღვინის სასაჩუქრე პროდუქციისთვის ხშირად სწორედ კერამიკული ჭურჭელი გამოიყენება. ასევე მნიშვნელოვანი წვლილი კერამიკული საწარმოების განვითარებაში შესაძლოა ქონდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციაში ადგილობრივი კერამიკული კრამიტის გამოყენებას.

### 8.6.10. <u>მინანქარი</u>

როგორც აღინიშნა მინანქრის ტექნოლოგიის აღდგენა საქართველოში მეოცე საუკუნის ბოლოს მოხდა, რეწვის ოსტატებში კი განსაკუთრებული პოპულარობა ბოლო 10 წლის განმავლობაში მოიპოვა. ამ დარგში მომუშავე ოსტატთა 70%-ის სტაჟი 10 წელზე ნკლებია და მათ 32%-ს მინანქარზე მუშაობა სხვა ოსტატისგან აქვთ ნასწავლი. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს მინანქრის გავრცელების და პროდუქციის თავისებურებებს.

გეოგრაფიული განაწილების თვალსაზრისით მკვეთრად არის გამორჩეული მინანქრის კონცენტრაცია ქალაქებში (გამოკითხულ ოსტატთა 44% თბილისში, ხოლო 91% ურბანულ ზონაში ცხოვრობს), რაც ლოგიკურია შედარებით "ახალი" დარგისთვის. ამ ტექნოლოგიურ ჯგუფში გამოიყო 3 ტექნიკა: ჭედური, ტიხრული და ფერწერული მინანქარი. 46 გამოკითხულ ოსტატთაგან 43 მუშაობს ტიხრულ მინანქარში, 9 ოსტატი ფერწერულში და მხოლოდ 2 ოსტატი ჭედურში (შენიშვნა: ზოგიერთი ოსტატი 2 ან 3 ტექნიკას ფლობს).

პროდუქციაში ფუნქციონალური თვალსაზრისით სჭარბობს სამკაულები, შედარებით მცირე რაოდენობაა კომპოზიციები. სულ გამოვლინდა 120-მდე დასახელების პროდუქცია. მინანქრის პროდუქციისთვის დამახასიათებელია შერეული დიზაინის სიჭარბე – ოსტატთა 62.2% თავისი ნამუშევრებს სწორედ ამ კატეგორიას აკუთვნებს. სავარაუდოდ, ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მინანქრის განსაკუთრებულ პოპულარობას საქართველოში.

ფუნქციონალური დანიშნულებიდან, გამოყენებული მასალებიდან (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, მინანქარი) და თავად ტექნოლოგიის შრომატევადობიდან გამომდინარე მინანქრის პროდუქციის ღირებულება საშუალო მაჩვენებლებზე მაღალია (იხილეთ ცხრილი 7)

*ცხრილი 7. პროდუქციის განაწილება ფასების მიხედვით*

| პროდუქციის ფასი | % განაწილება მინანქრის ნაწარმში | % განაწილება მთლიანად რეწვაში |
|---|---|---|
| <20 | 23.58 | 32.9% |
| 21-50 | 22.64 | 28.9% |
| 51-100 | 18.87 | 13.0% |
| 101-500 | 23.58 | 16.4% |
| 501-1000 | 4.72 | 4.0% |
| >1000 | 6.60 | 4.6% |

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მინანქრის პროდუქციის საშუალო ფასი საკმაოდ მაღალია, დაახლოებით 280 ლარი.

ბოლო წლებში მინანქრის პროდუქციის პოპულარობა გამოწვეულია, როგორც მინანქრის სამკაულის დიდი მოწონებით ადგილობრივ და უცხოელ მომხმარებელთა შორის, ისე დასაქმებაზე ორიენტირებულ სპეციალურ კურსებში მინანქრის სწავლების ჩართვით. თუმცა, ამავდროულად, ყოველივე ამან შექმნა ხარისხის პრობლემაც, რომელიც ნაკლებად გათვითცნობიერებული მყიდველისთვის შესაძლოა ყურადღების მიღმა დარჩეს.

ამასთან მინანქრის ოსტატების უმეტესობა არ ფლობს ოქრომჭედლობის ტექნიკებს, შესაბამისად, ხდება ნამუშევრებისთვის ფორმების შეკვეთა, ან მზა ფორმებს შეძენა, რაც გარკვეულწილად მინანქრის პროდუქციის სტანდარტიზაციას იწვევს.

### 8.6.11. <u>ხის დამუშავება</u>

როგორც კვლევამ აჩვენა ხის მხატვრული დამუშავება დღესაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. მასზე მოდის ოსტატთა 22.81%. ეს დარგი საკმაოდ განსხვავდება ტრადიციული რეწვის სხვა დარგებისგან თავისი გეოგრაფიული განაწილებით და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურით.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ხის დამუშავებაში მაღალია სოფლის მოსახლეობის წილი – 38% მაშინ, როდესაც ტრადიციული რეწვის საერთო საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 28%-ია. შედარებით მცირეა თბილისის წილი (13.95%) გამოკითხულ ხის ოსტატებს შორის, ისევე როგორც ხის დამუშავებით დაკავებულთა წილი თბილისში მცხოვრებ ოსტატებში (9.5%). მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი რაჭა-ლეჩხუმისთვის 64.71%-ს აღწევს. ამ რეგიონზე მოდის გამოკითხულ ხის ოსტატთა 12.8%, თუმცა, სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი გაიზრდება ლეჩხუმის სრული მონაცემების ანალიზისას. ხეზე კვეთის ოსტატთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოდის ასევე იმერეთზე და სამცხე-ჯავახეთზე (იხ. ცხრილი).

როგორც მოსალოდნელი იყო, ხის დამუშავება ხასიათდება მამაკაცების მაღალი პროცენტული შემადგენლობით - 89.5%. მაშინ როდესაც, საშუალოდ ტრადიციული რეწვაში მამაკაცების წილი მხოლოდ 37.7%-ია. ასაკობრივი თვალსაზრისით ყველაზე დიდი რაოდენობა 46-55 წლამდე ასაკობირივ ჯგუფზე მოდის - 25.58%. საკმაოდ დაბალია ახალგაზრდათა წილი, 35 წლამდე ოსტატებზე მოდის მხოლოდ 20.93%. ასაკობრივ სტრუქტურასთან ერთად თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხის დამუშავებაში განსაკუთრებით მაღალია დიდი "სტაჟის" მქონე ოსტატთა რაოდენობა და ძალზე მცირეა ახალმოსულთა წილი, შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგში დაბერების რეალური ტენდენცია შეიმჩნევა.

**გრაფიკი 18. გამოკითხული ხის ოსტატების რეგიონალური განაწილება**




**გრაფიკი 19. ხის ოსტატების განაწილება სტაჟის მიხედვით**




ამავე დროს აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ, როგორც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, ხეზე კვეთაში განსაკუთრებით მაღალია იმ ოსტატების წილი, რომლებმაც ცოდნა "არაფორმალური განათლების" გზით მიიღეს (თვითნასწავლი, სხვა ოსტატისგან და მემკვიდრეობით: ჯამში 62%). შესაძლოა სწორედ ეს განაპირობებს ხეზე კვეთის პროდუქციის ისეთ თავისებურებებს, როგორიცაა ტრადიციული დიზაინის მაღალი % (46.51%) და თანამედროვე დიზანის უმნიშვნელო წილი (8.14%) ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ძირითადად იწარმოება ავეჯი, საყოფაცხოვრებო ჭურჭელი, საეკლესიო ნივთები, მცირეა სამკაულის და დეკორატიული ნივთების წილი. მნიშვნელოვანი წილი უჭირავს საეკლესიო დანიშნულების ხეზე ნამუშევრებს. მათ შორისაა ეკლესიების კარებები, კანკელები, ანალოდიები, ხატები, ჯვრები და სხვა. აღსანიშნავია ტრადიციული ავეჯის წარმოება, რაც ძირითადად მოიცავს სკამ-ლოგინებს, სკამებს, საკარცხულებს, საჯალაბოებს, სამფეხა სავარძლებს, დაბალ ტაბლა მაგიდებს, სკივრებს და სხვა.

## სოფელი მარადიდი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

სოფელი მარადიდი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჭოროხის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ამ ლამაზ სოფელში აკვნების კეთება უძველესს ტრადიციას წარმოადგენდა. თითქმის ყოველ ოჯახში მამაკაცი ამ საქმით იყო დაკავებული. მაგრამ აკვანმა თავისი ფუნქცია თანამედროვე ცხოვრებაში დაკარგა და სოფლის მოსახლეობა ნელ-ნელა ანებებს თავს აღნიშნულ საქმიანობას.

ახმედ სვანიძე: □ ერთხელ მამაჩემა აკვანი მოიტანა სახლში შევხედე დავინტერესდი და მამას ვთხოვე ესწავლებინა ჩემთვის□

ქემალ ბედინაძე: □ 30 წელია აკვნებს ვამზადებ. ტრდიციის მიხედვით აკვნის არც დაწვა არც გადაგდება არ შეიძლება. აკვნების კეთება მამა-პაპიდან მოდის და მეც ჩემს შვილებს ვასწავლე რომ არ დაიკარგოს და შენარჩუნდეს.

ალიკ დიდმანიძე □ აკვნების კეთება ბიძაშვილმა მასწავლა, დღესაც ვაკეთებ, რადგან ეს არის ის საქმე რომელიც განსაკუთრებით მიყვარს.

სოფელი მარადიდის სტუმრობა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მოგზაურზე. აქ მოსულ სტუმარს ლამაზი ბუნება და ადგილობრივი მეაკვნეების სახელოსნოები დახვდება.

## ზაზა გათენაშვილი

*ხეზე კვეთის ოსტატი*

*მისამართი: დევნილთა დასახლება,*

*ქ. 14, ბინა 8, წეროვანი, მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტი*

*ტელ/ თელ: +995 593650894*

ზაზა გათენაშვილი წეროვანში დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს და მრავალი წელია ქართულ ტრადიციულ ავეჯს, ხის სკივრებს, ლარნაკებს, ნიღბებს და საყოფაცხოვრებო ნივთებს ამზადებს. მისი ხის ნამუშევრები ტრადიციული ქართული ხალხური ორნამენტების

და ფორმების გამოყენებით არის შექმნილი და ამავე დროს ოსტატის თვითმყოფადი ხელწერით გამოირჩევა.

*ვცხოვრობდი ახალგორში, ხეზე კვეთა მამამ მასწავლა, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ასწავლიდა და დღესაც ასწავლის ბავშვთა სახლში□* – ამბობს ბატონი ზაზა..– *მამის სწავლების შემდეგ ათი წელი სხვა ოსტატთან ვიარე და გავიორმაგე ცოდნა. დღეს თავად მყავს მოსწავლეები. მუშაობის პროცესში ძველ ქართულ ორნამენტებს და მუზეუმში დაცული ექსპონატების ნიმუშებს ვიყენებ. ადრე თუ კატალოგების მიხედვით ვმუშაობდი დღეს იმდენად გამჯდარი მაქვს ქართული ორნამენტები, რომ ყოველგვარი ჩანახატის გარეშე ვმუშაობ.□*

აღნიშნული ტექნოლოგიური ჯგუფის მცირე ნაწილს წარმოადგენს ტრადიციული ხუროობაც, რაც გულისხმობს ჭვირული აივნების, სახლების მშენებლობას და ზოგადად, ტრადიციული ხის ხალხურ არქიტექტურასთან დაკავშირებულ ცოდნას (რაჭა, სამეგრელო და სხვა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეს ელემენტი რთულად იდენტიფიცირებადია, რადგან ოსტატთა უმეტესობა, დღეისათვის მოთხოვნის კლებასთან ერთად, ამ მიმართულებით აღარ მუშაობს, თუმცაღა ფლობს აღნიშნულ უნარებს. შესაბამისად, წინამდებარე კვლევაში, სადაც ვალიდურობა განისაზღვრებოდა პროდუქციისა და ბიზნეს აქტივობის მიხედვით, მრავალი ასეთი ოსტატი ვერ მოხვდა, იმდენად რამდენადაც ამჟამად მხოლოდ სადურგლო საქმით არის დაკავებულნი.
ხის პროდუქციაში ცალკე ჯგუფს ქმნის ტრადიციული მუსიკალური ინსტრუმენტები, რომელთა უმეტესობაც ხისგან მზადდება: ჩონგურები, ფანდურები, სალამურები. მათი ძირითადი მომხმარებელი ფოლკლორული ანსამბლები და ზოგჯერ უცხოელი ტურისტებიც არიან. ამ მხრივ, უნდა გამოიყოს ბოლო დროს ბაზარზე გაჩენილი ხის მინიატურული საკრავები, რომლებიც სასუვენირო ხასიათისაა.

ფასის თვალსაზრისით, 50 ლარამდე პროდუქციის რაოდენობა საშუალოსთან შედარებით მცირეა. განსაკუთრებით მაღალია 1000 ლარზე ძვირიანი ნივთების წილი, რასაც ტექნოლოგიური ჯგუფის პროდუქციის ფუნქციონალური კატეგორიების თავისებურება, კერძოდ ავეჯის მნიშვნელოვანი წილი, განაპირობებს.

**ცხრილი 8. ხის ნამუშევრების განაწილება ფასის მიხედვით**

| ღირებულება ლარებში | % განაწილება ხის პროდუქციაში | % განაწილება მთლიანად რეწვაში |
|---|---|---|
| <20 | 26.98 | 32.9% |
| 21-50 | 20.63 | 28.9% |
| 51-100 | 14.29 | 13.0% |
| 101-500 | 20.63 | 16.4% |
| 5001-1000 | 5.82 | 4.0% |
| >1000 | 11.64 | 4.6% |

ხის დამუშავებაში ძირითადი გამოვლენილი პრობლემები ნედლეულის მოპოვებას შეეხება. ვინაიდან ხის ჭრა მკაცრად კონტროლირებად სფეროს წარმოადგენს, ხშირად ოსტატებს არ აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ მათთვის გამოსადეგი ერთიანი ხის მასალა. კვლევის დროს გამოვლინდა, რომ სწორედ ამ მიზეზით რაჭაში ფაქტიურად აღარ მზადდება ტრადიციული ხის საწნახელები (ხორგოები), რომელთა დამზადებისთვის გამოიყენებოდა ერთიანი თხილის მერქანი. შესაბამისად ეს ტრადიცია დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას.

ხის დამუშავებაში გამოიკვეთა დაკარგვის წინაშე მდგომი კიდევ ორი მიმართულება, თუმცა ამ შემთხვევაში აღნიშნული ფუნქციის მოძველებით არის გამოწვეული. აღნიშნული დარგებია აკვნების და ნავების დამზადება. აკვნების დამზადებით განსაკუთრებით გამოირჩევა სოფელი მარადიდი (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) სადაც კვლევის დროს გამოკითხულ იქნა აკვნების დამზადებით დაკავებული 3 ოსტატი. თუმცა ცნობილია, რომ XX საუკუნის II ნახევარში მთელი სოფელი ამ ხელობით ირჩენდა თავს. შეიძლება ითქვას, რომ ხდება არა მხოლოდ აკვნის დამზადების ტექნიკის, არამედ თავად სოფლისთვის შემოსავლის წყაროს და უნიკალობის დაკარგვაც.

ცალკე უნდა აღინიშნოს ჩიჩილაკის დამზადების ტექნოლოგია, რომელიც ძირითადად გურიაშია გავრცელებული. საახალწლოდ ჩიჩილაკის პოპულარობა ამ ტრადიციის შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, თუმცა მეჩიჩილაკე ოსტატები არცთუ ხშირია.

### 8.6.12. ლითონის დამუშავება

ლითონის დამუშავება ჩართული ოსტატების რაოდენობის მიხედვით მთლიანი ტრადიციული რეწვის 10.88% შეადგენს. როგორც მოსალოდნელი იყო ლითონის დამუშავებით დაკავებულ ოსტატთა 85.4% მამაკაცია. ასაკობრივი სტურქტურა, მართალია ძირითადად ემთხვევა ტრადიციული რეწვის ზოგად სურათს - წამყვანი ადგილის 36-45 და 46-55 ასაკობრივ ჯგუფებს ეკუთვნის (გამოკითხულთა 31.7% და 24.4%) - მაგრამ, რეწვაში დაკავებულ მამაკაცთა ასაკობრივ სტურქტურასთან შედარებით, დარგის მნიშვნელოვანი სიახალგაზრდავე შეიმჩნევა, ვინაიდან 55 წელს ზემოთ ჯგუფზე მხოლოდ 24.1% მოდის მაშინ, როდესაც ზოგადად მამაკაცებისთვის ეს მაჩვენებელი 40.6%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა 48.9% უკვე 20 წელზე მეტია მუშაობს. მათ შორის არც ერთი ოსტატს არ აქვს 6 წელზე ნაკლები სტაჟი. ეს ცალსახად მიუთითებს 90-იანი წლების ბოლოს საქართველოში ლითონის დამუშავების აღმავლობაზე.

მხარეების მიხედით ლითონის დამუშავება ყველაზე მეტად გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში და სამცხე-ჯავახეთში, რაზეც მიუთითებს ტრადიციულ რეწვაში ჩართულთა შორის ლითონის დამუშავების ოსტატების მაღალი პროცენტრული წილი (იხ. გრაფიკი 19).

**გრაფიკი 20. ლითონის დამუშავების ოსტატთა რეგიონალური განაწილება**




რაჭა-ლეჩხუმი ასევე ლიდერობს 1 სულ მოსახლეზე ლითონის დამუშავებაში ჩაბმულთა % რაოდენობით (0.0078%) და 6-ჯერ აღემატება თბილისის (0.0012%) მაჩვენებელს. ლითონის დამუშავების კერებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოფ. ღები (ონის რაიონი). მათი პროდუქცია ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მოხმარებისაა და არ წარმოადგენს სასაჩუქრე ბაზრის ნაწილს, თუმცა როგორც სამჭედლო საქმის მოქმედი ცენტრი ის უმნიშვნელოვანესია არამატერიალური კულტურული მეკვიდრეობის თვალსაზრისით.

ლითონის დამუშავებაში ცოდნის გადაცემის პროცენტული განაწილება ემთხვევა ტრადიციული რეწვის ძირითად ტენდენციებს. ყველაზე მაღალი პროცენტი თვითნასწავლ ოსტატებზე მოდის (26.83%), თუმცა მაღალია საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნასწავლთა ჯამური მაჩვენებელიც (43.9%)

ტექნიკის თვალსაზრისით გამოკითხულ ოსტატთა 68% ფლობს ჭედურობას, 39% საიუველირო საქმეს და 10% ჩამოსხმას. თუმცა პროდუქცია არ გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. ძირითადად წარმოდგენილია სამკაულები, იარაღი (ხანჯლები, დანები), საეკლესიო ნივთები. ფაქტიურად არ გვხვდება საოჯახო დანიშნულების ნივთები, გამონაკლისია ლითონის ავეჯი. დიზაინის თვალსაზრისით ავტორთა 46% თავის პროდუქციას ტრადიციულად მიიჩნევს, 43% – შერეულად და მხოლოდ 11% – თანამედროვედ. ფასის თვალსაზრისით ლითონის პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ღირებულებით. 50 ლარზე ნაკლები ღირებულებისაა პროდუქციის სახეობების 33.33%, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი საშუალოდ რეწვისთვის 61.8%-ს შეადგენს.

**ცხრილი 9. ლითონის დამუშავების პროდუქციის**

**განაწილება ფასის მიხედვით**

| ღირებულება ლარებში | % განაწილება ლითონის დამუშავებაში | % განაწილება მთლიანად რეწვაში |
|---|---|---|
| <20 | 16.13 % | 32.9% |
| 21-50 | 17.20% | 28.9% |
| 51-100 | 15.05% | 13.0% |
| 101-500 | 31.18% | 16.4% |
| 501-1000 | 9.68% | 4.0% |
| >1000 | 10.75% | 4.6% |

ლითონის ნაწარმში შეიძლება გამოვყოთ რამოდენიმე ძირითადი ჯგუფი:

- მეიარაღეობა, რომელიც საკმაოდ პოპულარულია, მათ შორის ახალგაზრდებში. ეს ძირითადად მოიცავს დანების, ხმლების, ხანჯლების ჭედვას და მხატვრულ დამუშავებას. ზოგიერთი ოსტატი მხოლოდ მჭედელია, ამ შემთხვევაში მათი ნაწარმის მხატვრულად გაფორმებას სხვა ოსტატები ასრულებენ.
- სამეურნეო დანიშნულების ნაწარმი, რომელიც სოფლებში შემორჩენილი ხალხური ხელოსნობის ტრადიციებით საზრდოობს. ამ მხრივ გამორჩეული მჭედელთა სოფელი – ღები.
- სამკაული, რომლის მხატვრული გაფორმებისთვის გამოიყენება ფილიგრანი, (გრეხილი), სევადა, იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება ცვარას ტექნიკით შერულებული ნიმუშები.
- სამუზეუმო ასლები, რომლებიც თანამედროვე ტრადიციული რეწვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ეს ძირითადად წინაქრისტიანული ლითონმქანდაკებლობის ნიმუშებია, რომლებიც სხვადასხვა მუზეუმების კოლექციებში ინახება. აღნიშნული პროდუქცია ასევე ხასიათდება ხარისხის განსხვავებული დონით. თუ ზოგიერთი ნამუშევარი, შესრულების მაღალი ხარისხით და შესაბამისად, მაღალი ფასით ხასიათდება, დაბალფასიანი პროდუქცია, რომელშიც ხშირად გამოყენებულია იაფფასიანი მასალები, (წვრილი მძივი, ბიჟუტერია), დაბალი ხარისხით გამოირჩევა.
- კიჩიზაციისკენ მიდრეკილი მელხიორის დეკორატიული სუვენირები, იარაღი, თასები, ყანწები, და სხვა.
- ჭედურობა, რომელიც ძირითდად საეკლესიო ნივთებისთვის გამოიყენება, ხატები ეკლესიების კარებები და სხვა. აღნიშნული დარგი შუა საუკუნეების ჭედური ხელოვნების ნიმუშების იკონოგრაფიასა და ორნამენტულ სახეებს იყენებს. ამავე ტექნოლოგიით სრულდება დეკორატიული კომპოზიციები, რომლებიც ხშირად საბჭოთა პერიოდში ეროვნულ მოტივებზე შექმნილი კომპოზიციების ტრადიციებს აგრძელებს.

ამ ტექნოლოგიურ ჯგუფის პრობლემებს შორის შეიძლება დავასახელოთ ძვირფასი ლითონების ქვეყნიდან გატანასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ოქრომჭედელთა ნამუშევრების ექსპორტს.

### 8.6.13. ქვა/ძვალი

ქვის დამუშავებას ტრადიციული რეწვის სექტორში 3.98% უჭირავს, რაც ამ მიმართულებით მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის განსაკუთრებით დაბალია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც ხეზე კვეთას, ქვის დამუშავებასაც ფართო გამოყენება აქვს საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში. ამდენად, ქვაზე კვეთის ოსტატების შრომა ხშირად შეწირულობაა, რაც ვერ ჩაითვლება ბიზნეს აქტივობად, რომელიც, როგორც არაერთხელ აღინიშნა, კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენდა. ასევე, აღნიშნულ ტექნოლოგიურ ჯგუფთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ქვაზე კვეთის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ქანდაკება, რომელიც, როგორც სახვითი ხელოვნების დარგი არ შედიოდა წინამდებარე კვლევის ფარგლებში, (გარკვეული გამონაკლისების გარდა, როდესაც მცირე პლასტიკის ნიმუშები აშკარა "ხალხური" საწყისებითაა ნასაზრდოები).

ნახევრადძვირფასი ქვების დამუშავების მხრივ უნდა აღინიშნოს გლიპტიკა,

რომელიც ძვირფას ლითონში ჩასმული კამეებისა და ინტალიოებით შემკული სამკაულისა და მინიატურული საეკლესიო ნივთების, მცირე ზომის ხატების და სანაწილეების სახით გვხვდება.

**გიორგი იაკობაშვილი**

*გლიპტიკის ოსტატი*

*მისამართი: ნუცუბიძის III მკრ, I კვარტ., X კორპუსი, ბინა № 8, თბილისი,*

*ტელ: +995 593338157*

საქართველოში გლიპტიკა, ძვირფასს ქვაზე კვეთის ხელოვნება უძველესი დროიდან არის ცნობილი.

თანამედროვე გლიპტიკის ოსტატთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია გიორგი იაკობაშვილის შემოქმედებას. ბატონი გიორგი მრავალი წელია ძვირფასს და ნახევრად ძვირფასს ქვეზე კვეთის ხელოვნებით არის დაკავებული და ძირითადად საეკლესიო თემაზე მუშაობს. ის ამზადებს ხატებს, პატარა ზარდახშებს, ზარებს ბიბლიური სიუჟეტებით, ჯვრებს და ასევე კამეებს.

*17 წლიდან ვმუშაობ ამ სფეროში. თავდაპირველად ქანდაკებაზე ვსწავლობდი და შემდეგ ნელ-ნელა გლიპტიკამ დამაინტერესა – ამბობს ბატონი გიორგი – ძირითადად საეკლესიო ნივთებზე ვმუშაობ. ტრადიციული თემატიკა წამყვანია ჩემს ნამუშევრებში. მაგრამ ვფიქრობ, რომ მაინც თავისუფალი ვარ შემოქმედებითად და თითოეული ნამუშევარისადმი ჩემეული მიდგომა და ხედვა მაქვს ყოველთვის.*

ოსტატის ნამუშევრები მაღალი მხატვრული ღირებულებით და შესრულების განსაკუთრებული ოსტატობით გამოირჩევა. თითოეული ნამუშევარი დამოუკიდებელი ხელოვნების ნიმუშია.

ნახევრადძვირფასი ქვების დამუშავებაში შეიძლება გამოიყოს გიშრის მხატვრული დამუშავება ტყიბულის რაიონში, სადაც გიშერში ვერცხლისა და ოქროს ინკრუსტაციით ფორმდება და საკმაოდ ორიგინალური ნამუშევრები იქმნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივად არსებული გიშრის რესურსების მიუხედავად, ნედლეულის მომპოვებელი ინდუსტრიის არარსებობის გამო ოსტატებს მასალის მოპოვების კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნებათ.

ამ დარგში ცალკე აღნიშვნის ღირსია ქვის კეცების დამზადება. კვლევის დროს გურიის რეგიონში გამოვლინდა ორი ოსტატი, რომლებიც აგრძელებს ქვის კეცების დამზადებას, რაც, თავის მხრივ, ამ ხელობის დაკარგვის რეალურ საფრთხეზე მიუთითებს.

### 8.6.14. <u>მინა, ტყავის და ქაღალდის დამუშავება</u>

მინის, ტყავის და ქაღალდის დამუშავება ქართულ ტრადიციულ რეწვაში დღეისათვის ძალზედ მწირად არის წარმოდგენილი. ამ დარგში მუშაობს გამოკითხულ ოსტატთა შესაბამისად 0.53%, 1.86% და 0.53%. შესაბამისად ძალზე მცირეა გამოკითხულ ოსტატთა აბსოლუტური რაოდენობა (შესაბამისად 2, 7 და 2), რის გამოც რაოდენობრივი მაჩვენებლების ილუსტრირების გარეშე წარმოვადგენთ ძირითად დაკვირვებებს.

**მინა** მნიშვნელოვან კრიზისს განიცდის, რაც პირველ ყოვლისა განპირობებულია ამ დარგის ინფრასტრუქტურული სისტემის რღვევით და ტექნოლოგიური სირთულეებით. მოითხოვს რა მაღალ ტემპერატურას, როგორც წესი ნამუშევრები იქმნებოდა არა ინდივიდუალურ სახელოსნოებში, არამედ მინის საწარმოებში არსებულ ღუმელებში. ამჟამად მინის საწარმოების რაოდენობა მცირეა, აღნიშნული კავშირების დარღვევის, ოსტატებს აღარ მიუწვდებათ ხელი ღუმელებზე და შესაბამისად ვეღარ ქმნიან ნამუშევრებს. არგის აღორძიენის სუსტი მცდელობებია თბილისის სამხატვრო აკადემიის სასწავლო ბაზაზე, ტუმცა საერთო ჯამში ეს მინის განვითარების ზოგად სურათს ვერ ცვლის.

**ტყავის დამუშავება.** მიუხედავად იმისა, რომ ტყავის დამუშავება და შემდგომი გამოყენება ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს (იკერება ფეხსაცმელი, ჩანთები) ტრადიციული ტექნოლოგიებისა და დიზაინის გამოყენება საკმაოდ იშვიათია.

ამ მიმართულებით ძირითადად ვხვდებით აქსესუარების – სამკაულის, თმისამაგრების, ჩანთებისა და საფულების გაფორმებას.

ტრადიციული რეწვის სხვა დარგებს **წნულს, ქაღალდის, რქის** და სხვა მასალათა დამუშავებას მცირე ნაწილი უჭირავს. რქისგან როგორც წესი, მზადდება ტრადიციული ყანწები, რომელიც პოპულარული სასმისი და სასუვენირე პროდუქციაა.

**წნული** პროდუქცია ძირითადად მოიცავს კალათებს, გოდრებს, გიდელს, დეკორატიულ ვაზებს და ა.შ. წნული ნაწარმის მნიშვნელოვანი ცენტრები გვხვდება ქართლში, იმერეთში, გურიასა და აჭარაში. ის იწარმოება, როგორც პირადი მოხმარებისთვის, ისე შემდგომი რეალიზაციის მიზნით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რეწვის ეს დარგი სათანადო ბიზნეს მიდგომის და მარკეტინგის პირობებში მნიშვნელოვანი პოტენციალის მატარებელია.

### 8.6.15. <u>ძირითადი მიგნებები და პრობლემები</u>

1. დღეისათვის საქართველოში პრაქტიკირებს ქვეყნისათვის დამახასიათებელი ტრადიციული რეწვის ყველა ძირითადი ტექნოლოგიური ჯგუფი
2. ტექსტილი ტრადიციულ რეწვის დარგებში ყველაზე გავრცელებულია, მასზე მოდის გამოკითხულ ოსტატთა 49.07%. დანარჩენი დარგების განაწილება შემდეგია: კერამიკა 8.75, მინა 0.53, მინანქარი 11.94, ხის დამუშავება 22.81, ტყავის დამუშავება 1.86, ქაღალდის დამუშავება 0.53, ლითონის დამუშავება 10.88, ქვის/ძვლის დამუშავება 3.98, შერეული 2.92, სხვა 1.06.

3. დარგები მნიშვნელოვნად განსხვავდება სქესობრივი სტრუქტურით. კაცების მაღალი % წილი აღინიშნება ლითინოს (85.4%) და ხის დამუშავებაში (85.5%), ქალები ჭარბობს ტექსტილში (99.06%)
4. დარგებში ოსტატთა დაბერების ტენდენცია შეიმჩნევა ხის დამუშავებაში, სადაც 35 წლამდე ასაკის ოსტატთა % მხოლოდ 20.93%-ია და ასევე მცირეა ახალმოსულთა წილი
5. გამოვლინდა დაკარგვის წინაშე მდგომი ტრადიციები: აკვნების, ნავების, ქვის კეცების დამზადება, მეაბრეშუმეობა, სელის ქსოვილის წარმოება, ტოლის ქსოვა. ამ მიმართულებით მხოლოდ ერთეული ოსტატები არიან შემორჩენილნი. ხელშეწყობას საჭიროებს ასევე ქვევრების, საწნახელების დამზადება. ტექსტილიდან შედარებით მცირედ არის წარმოდგენილი წყლით, ოქრომკერდით ქარგვა.
6. გამოვლინდა ტრადიციული რეწვის რიგი დარგების აღდგენის წარმატებული მაგალითები: ლური სუფრა, მინანქარი, ბატიკა.
7. რიგ დარგებში, კერძოდ ქარგვაში, კერამიკაში შეიმჩნევა რეგიონალური ავთენტურობის განმანსხვავებელი ნიშნების წაშლა, რაც ერთფეროვანს ქმნის ტრადიციული რეწვის პროდუქციის ბაზარს
8. ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული დარგების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ნედლეულის ხელმისაწვდომობა, რაც ზოგადად ინფრასტრუქტურის გაუმართაობით და/ან, ერთი მხრივ მოპოვებითი დარგების (მაგ. გიშრის) არასათანადო მუშაობით და მეორეს მხრივ დაწესებული შეზღუდვებით (მაგ. ხის ჭრა) არის გამოწვეული.

## 8.7. სახელოსნოები და დანადგარები

ტრადიციული რეწვის თითქმის ყველა დარგი პროდუქციის წარმოებისთვის საჭიროებს სათანადოდ აღჭურვილ სახელოსნოს. ტექნოლოგიური ჯგუფების მიხედვით სამუშაო პირობები და შესაბამისად სახელოსნოების ტექნიკური მოთხოვნები ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგალითად, როგორც კვლევამ დაადასტურა, კერამიკის, მინის, ლითონის, ხის ოსტატებს აუცილობლად ესაჭიროებათ დამოუკიდებელი სამუშაო ფართი, მაშინ როდესაც მინანარქრის ოსტატების ნაწილი სპეციალური სახელოსნოს გარეშე, სახლში მუშაობს. ყველაზე ნაკლებად სახელოსნოს პრობლემა ტექსტილის ქვედარგებს (ქარგვა, ჩხირზე ქსოვა) აქვთ. როგორც აღინიშნა, ტექსტილის ტექნოლოგიურ ჯგუფში ძირითადად დიასახლისი ქალები არიან დასაქმებულნი, რომლებიც საოჯახო საქმის პარალელურად სახლებში მუშაობენ. რაც შეეხება ფარდაგების, ან სხვა მსგავსი დიდი ზომის პროდუქციის სახელოსნოებს, ისინი, ძირითადად ამ დარგში მოღვაწე ორგანიზაციების, საგანმანათლებლო სკოლების, ან სხვა კერძო თუ პროფესიული სასწავლებლების ბაზებით სარგებლობენ (მაგ. საპატრიარქოს სამრევალო).

შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელოსნოების კლასიფიკაცია შემდეგნაირადაა შესაძლებელი:

- სახელოსნო, რომელიც ოსტატის ბინაში ან სახლშია.
- საზიარო, კერძო სახელოსნო, რომლებშიც ერთი დარგის რამოდენიმე ოსტატი მუშაობს
- სახელმწიფო დაწესებულებებთან არსებული სკოლა-სახელოსნოები, მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან (თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია), მუნიციპალურ სახელოვნებო სკოლებთან. ამავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ საპატრიარქოს სამრევლო სკოლებთან არსებული სახელოსნოები.
- სხვადასხვა არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შექმნილი სახელოსნოები
- ორგანიზაციებისა და საწარმოების სახელოსნოები

კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ოსტატების უმეტესობა 60.76% სახლში მუშაობს. საკუთარი სახელოსნო გააჩნიათ ოსტატების 33.51% პროცენტს. ასევე ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ 3% ქირაობს ფართს სახელოსნოსთვის.

სახელოსნოები მრავალფეროვანია, როგორც ტექნოლოგიური, ისე ინფრასტრუქტურული მოწყობის თვალსაზრისით. თუ მათი ერთი ნაწილი (საკმაოდ მცირე) სათანადოდ არის აღჭურვილი, მეორე ნაწილი დიდი პოტენციალის მიუხედავად, საჭიროებს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას – დანადგარების განახლებას, ფართის ოპტიმალურ ათვისებას, ინტერიერის სათანადო განახლება-გაფორმებას.

ტრადიციული რეწვის წარმოების განვითარებას ხელს უშლის იარაღებისა და დანაგდარების არასრულყოფილად გამოყენების პრობლემაც. რაც განპირობებულია უმეტესწილად სახსრების უქონლობით, მაგრამ ასევე ტექნოლოგიური ინოვაციის მნიშვნელობის არასათანდოდ გააზრებით. ხშირას ოსტატები არ არიან ინფორმირებულები იმ ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ, რაც წუნდებული პროდუქციის მინიმალიზაციას და შრომის ეკონომიის წყაროდ შესაზლებელია იქცეს. რიგ შემთხვევებში, კი ამ ტექნოლოგიებზე წვდომაც არის გართულებული.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ტრადიციული რეწვის სახელოსნოებისთვის გამოყოფილი საჯარო სივრცეების ნაკლებობა, მაგალითად ქვეყნის მასშტაბით ქალაქის თუ სოფლების ისტორიულ ნაწილში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმებთან და სხვა დაწესებულებებთან ამგვარი სივრცეების არ არსებობა, რაც თავის მხრივ, გაზრდიდა მათ ტურისტულ პოტენციალს, მეორე მხრივ კი ტრადიციული რეწვის ცენტრების ეკონომიკური მდგრადობის და, ამავდროულად, ტრადიციული ცოდნისა და უნარების შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნებოდა.

**გრაფიკი 21. სახელოსნოების განაწილება ტიპოლოგიის მიხედვით**



თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით არსებობს წარმატებული მაგალითებიც, კერძოდ სახელოსნოების, რომლებიც ამაჟამად მოქმედ ტურისტული მარშრუტებშია ჩართული და ტრადიციული რეწვის ოსტატებისა და ორგანიზაციებისთვის ალტერნატიული შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. მსგავი წარმატებული მაგალითი საერთაშორისო პრაქტიკაშიც არაერთია, რაც მიუთითებს, რომ სახელოსნოების ინფრასტრუქტურის გამართვამ და მათი (ისევე, როგორც ღვინის მარნების მოწყობა და ე.წ. "ღვინის გზის" მარშრუტში ჩასმა) ტურისტულ მარშრუტებთან დაკავშირებამ, შესაძლოა, საგრძნობლად გაზარდოს ტრადიციული რეწვის ოსტატებისა და ორგანიზაციების შემოსავლები, როგორც ტურისტული ჯგუფების მასპინძლობითა და ტრადიციული ტექნოლოგიური პროცესის დემონსტრირებით, ისე მათი პროდუქციის ადგილზე მარკეტინგის თვალსაზრისით.

## 8.8. პროდუქცია, დისტრიბუცია, ბაზარი, მომხმარებელი, გაყიდვები

ტრადიციული რეწვის ბაზრის კვლევა რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა. შესწავლილ იქნა წარმოებული პროდუქცია, მისი კატეგორიები, ხარისხი, ფასთა განაწილება, ასევე გაყიდვების არხები და მომხმარებელი.

ასევე გაყიდვების არხების დადგენის მიზნით, მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელდა სავაჭრო ობიექტების ტიპოლოგიის დადგენდა და მათთვის კითხვარის შემუშავება, რომელიც კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი იყო.

ხოლო ტრადიციულ რეწვაზე არსებული მოთხოვნის შეფასების მიზნით ჩატარდა ადგილობრივი მომხმარებლის და უცხოელი ტურისტების გამოკითხვა. ამავე დროს გაყიდვების რაოდენობის, ადგილის და ძირითადი არხების საკვლევი კითხვები ჩართული იყო ოსტატების და საწარმოების კითხვარებში.

### 8.8.1. <u>პროდუქცია</u>

წარმოებული პროდუქციის და სავაჭრო ობიექტებში არსებული ასორტიმენტის ანალიზმა აჩვენა, რომ ტრადიციული რეწვის ბაზარზე დღეს დაახლოებით 500-მდე დასახელების პროდუქტია წარმოდგენილი, რომლებიც შეიძლება შემდეგ ძირითად ფუნქციონალურ კატეგორიად დაჯგუფდეს:

აქსესუარები, სამკაულები, ჭურჭელი, ინტერიერის აქსესუარები, რელიგიური დანიშნულების ნივთები, ავეჯი, თოჯინა/სათამაშო, მუსიკალური საკრავები, იარაღი, სამოსი, დეკორატიული კომპოზიციები, ხალიჩა/ფარდაგი, სუვენირი, სხვა.

გამოკითხულ ოსტატთა ყველაზე დიდი კატეგორია - 27.93% აქსესუარებს აწარმოებს, მეორე ადგილზეა სამკაულები (12.4%). 5%-ზე ნაკლებია ხალიჩის/ფარდაგის, იარაღის, მუსიკალური საკრავების, სათამაშოების, სამოსის და ავეჯის მწარმოებელ ოსტატთა რიცხვი. დანარჩენი კატეგორიები 5-10%-იან მონაკვეთში თავსდება.

პროდუქციაში ჭარბობს შერეული დიზაინის მქონე ნამუშევრები - გამოკითხულ ოსტატთა 47.3%; თავის ნამუშევრებს ტრადიციულ დიზაინს აკუთვნებს ოსტატთა 36% და მხოლოდ 16.7% თანამედროვეს, თუმცა სავაჭრო ობიექტებში მეტი აქცენტი ტრადიციულ დიზაინზე კეთდება. მაღაზიების ასორტიმენტის ანალიზმა აჩვენა, რომ პროდუქციის 60%-ზე მეტი ტრადიციული დიზაინის ნამუშევრები გამოკითხული მაღაზიების 53%-შია წარმოდგენილი, შერეული დიზანის – მხოლოდ ობიექტების 28.1%-ში, ხოლო თანამედროვე – მხოლოდ 9.4%-ში.

**გრაფიკი 22. ტრადიციული რეწვის პროდუქციის განაწილება ფუნქციონალური ჯგუფების მიხედვით**




ტექნიკის თვალსაზრისით ორივე შემთხვევაში ტრადიციული ტექნოლოგიები ლიდერობს: გამოკითხულ ოსტატთა 77.6% და სავაჭრო ობიექტების 81.3% (60%-ზე მეტი პროდუქცია), რაც წარმოებულ პროდუქციასა და ადგილობრივ ბაზარზე არსებულ მოთხოვნას შორის შესაბამისობაზე მიუთითებს. მაგრამ, მეორე მხრივ, რეწვის საუკეთესო ნიმუშად უცხოელი ტურისტების 55.7% და ადგილობრივი მომხმარებლის 43.5% საიუველირო ნაწარმს და მინანქარს ასახელებს, პროდუქციას სადაც ყველაზე მეტად ჭარბობს შერეული დიზაინის ნივთები (მინანქრის შემთხვევაში 62.2%). ეს გამოწვეულია მომგებიანი თანხვედრით - ერთი მხრივ სამკაულზე თანამედროვე ყოფაში არსებული მაღალი მოთხოვნით (მინანქრის პროდუქციის უდიდეს ნაწილს სწორედ მინანქრის სამკაული წარმოადგენს, რომელიც ამ დარგის აღორძინების შემდეგ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს), როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ მომხმარებელთა შორის, ხოლო მეორე მხრივ ამ კატეგორიის პროდუქციაში თანამედროვე ტენდენციების მეტი გათვალისწინებით. ამავე დროს პროდუქციის უპირატესობად საკმაოდ ცოტა რესპოდენტი მიიჩნევს ინოვაციურობას (ადგილობრივების 5.4%, უცხოელების 3.2%), განსხვავებულობას (ორივე შემთხვევაში 0.5%) და ექსკლუზიურობას (ადგილობრივების 0.5), ანუ ფაქტორებს, რომელბიც დღევანდელი მყიდველისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და შენაძენის გაკეთების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივს წარმოადგენს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტრადიციული რეწვის პროდუქციაში "სუვენირიზაციის" ტენდენცია, რის გამოც მეტი აქცენტი კეთდება მათ დეკორატიულ, "სასაჩუქრე" ფუნქციაზე, ხოლო ნაკლები გამოყენებით მხარეზე, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს ადგილობრივი მომხმარებლის არჩევანს. მწარმოებლები არ ითვალისწინებენ ადგილობრივი და უცხოელი მყიდველების სხვადასხვა მოთხოვნებს: ადგილობრივი მყიდველი უცხოელი ტურისტისგან განსხვავებით ნაკლებად ყიდულობს სუვენირს პირადი მოხმარებისთვის, ასევე ნაკლებად აწუხებს ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა მისთვის მეტი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ფუნქციურობას, ინოვაციურობას, თანამედროვე ადამიანის

ცხოვრების წესთან შესაბამისობას. თუმცა წარმატებული მაგალითები (მაგ. მინანქირს სამკაული) ნათლად მიუთითებს, რომ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში ქართული ტრადიციული რეწვის პროდუქციამ შესაძლებელია დიდი პოპულარობის მოპოვოს ადგილობრივ მომხმარებელში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ უცხოელ ტურისტზე ორიენტირებული პროდუქცია თავისთავად განაპირობებს გაყიდვების სეზონურობას და როგორც მწარმოებლისთვის, ასევე შუალედური რგოლისთვის არასტაბილურ შემოსავალს.

აღნიშნულზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ტრადიციული რეწვის პროდუქციის შემდგომი განვითარება უნდა მოხდეს ტრადიციებთან არსებული მჭიდრო კავშირის შეინარჩუნების, მაგრამ ინოვაციური მიდგომების შემოტანის, თანამედროვე გემოვნების და ფუნქციაზე მოთხოვნის შესაბამისად დიზაინის დივერსიფიკაციის მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია პროდუქციის დივერსიფიკაცია ადგილობრივი მომხმარებლის

### 8.8.2. ხარისხი

ქართული ტრადიციული რეწვის პროდუქციის ხარისხში მნიშვნელოვანი განსხვავებები შეიმჩნევა. ექსპორტიორების, საბითუმო შემსყიდველების, აგენტების, ასევე სერტიფიცირების რაიმე სისტემის არარსებობის პირობებში ოსტატები ფაქტიურად არ აწყდებიან იმ რგოლებს, რომლებიც ტრადიციული რეწვის პროდუქციის ხარისხის კონტროლს ახორციელებენ. მეტ-ნაკლებად ეს ფუნქცია ნაკისრი აქვთ მაღაზიებს, თუმცა უმეტეს მათგანში ხარისხის კონტროლს დიდი ყურადღება არ ექცევა.

ლოგიკურია, რომ მსგავს სისტემაში ტრადიციული რეწვის პროდუქციის ხარისხი საკმაოდ მერყევია. ოსტატების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ გრძნობს ხარისხის სტანდარტის დაცვის აუცილებლობას, რასაც ადასტურებს ადგილობრივი მომხმარებლის (32.1%) და უცხოელი ტურისტის (8.8%) კვლევაში დაბალი ხარისხის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელება.

### 8.8.3. ფასი

ტრადიციული რეწვის ფასები განსხვავდება და მოიცავს ყველა კატეგორიის პროდუქციას დაწყებული იაფიანი სასუვენირო ნაწარმიდან დამთავრებული ექსკლუზიური ძვირადღირებული ნივთებით. თუმცა დარგის და მომხმარებლის სპეციფიკიდან გამომდინარე პროცენტულად იაფი კატეგორიის პროდუქცია სჭარბობს. ამ კატეგორიაში შედის სუვენირები (ხშირად იაფფასიანი და საკმაოდ უხარისხო) და ყველაზე დიდი ფუნქციური კატეგორიის – აქსესუარების შედარებით იაფი ნაწილი. წარმოებული სახეობების 32.9%-ი 20 ლარამდე ღირებულებისაა, ხოლო კიდევ 28.9% 20-დან 50 ლარამდე.

**ცხრილი 10. პროდუქციის განაწილება ფასის მიხედვით**

| ღირებულება ლარებში | % განაწილება ტრადიციული რეწვის პროდუქციაში |
|---|---|
| <20 | 32.9% |
| 21-50 | 28.9% |
| 51-100 | 13.0% |
| 101-500 | 16.4% |
| 501-1000 | 4.0% |
| >1000 | 4.6% |

აღნიშნული მიუთითებს, რომ არსებული ხარისხის, დიზაინის, ცნობადობის, პოპულარობის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით ტრადიციული რეწვის მწარმოებლების მიერ დაწესებული ფასები მომხმარებლისთვის მაღალია, მიუხედავად იმისა რომ პროდუქციის ნაწილი, გაყიდვის პირდაპირი არხების საშუალებით, თავად მწარმოებლის ფასში იყიდება, ხოლო ნაწილი მხოლოდ ერთი რგოლის – მაღაზიების ფასნამატით (30-დან -50% მდე).

ცხადია, რომ ქართული ტრადიციული რეწვის პროდუქციის თვითღირებულება ვერ გაუწევს კონკურენციას განვითარებად ქვეყნებს, სადაც მუშახელის ღირებულება ძალზე დაბალია. მაგარამ, ამავე დროს, სფეროში მოღვაწე ოსტატების კოოპერაციის, მომიჯნავე დარგებთან თანამშრომლობის გზით შესაძლებელია ნედლეულზე დანახარჯების შემცირება.

არსებულ ვითარებაში დიდ მნიშვნელობას იძენს ქართული ტრადიციული რეწვის ბრენდირება, საზოგადოებაში მისი პოპულარობის და პრესტიჟულობის ამაღლება, რაც გაზრდის ტრადიციული რეწვის ფასეულობას.

### 8.8.4. <u>შეფუთვა და წარდგენა</u>

დღეისათვის საქართველოში ტრადიციული რეწვის პროდუქციის  უმეტესობას, როგორც წესი, არ გააჩნია საცალო შეფუთვა და მსოფლიოში მიღებული სტანდარტის მიხედვით შედგენილი თამხლები ინფორმაცია

თამნხლები ინფორმაციის მთავარი ფუნქცია:

(ა) მომხმარებლის ინფორმირება პროდუქციის დამზადების ადგილის, მასალის და მოხმარების შესახებ;

(ბ) ინფორმაციის მიწოდება პროდუქციის კულტურული კონტექსტის, ისტორიის და იმ ხალხის შესახებ, ვის მიერაც არის დამზადებული პროდუქცია

(გ) პროდუქციის ზომისა და ფერის განსაზღვრა.

არსებული საერშათორისო სტანდარტის მიხედვით თანმხლები ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:

(ა) <u>პროდუქციის ფუნქციის, ისტორიულ-კულტურული კონტექსტის აღწერა-დახასიათებას;</u>

(ბ) <u>პროდუქტის</u> მასალის/ზომის დახასიათებას; (საღებავები, დამღები ძვირფასი ლითონები: ოქრო და ვერცხლი ა.შ)

(ც) მოხმარების წესის შესახებ ინფორმაციას (გარეცხვის, გაშრობის და გაუთავების ინსტრუქციები);

(დ) <u>საინფორმაციო იარლიყი</u> პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (სათამაშოები, საღებავები, ქიმიკატები...); ხანძრის დროს რისკი,

(ე) ავტორის/ორგანიზაციის სახელს, საკონტაქტო ინფორმაციას და დამზადების ქვეყნის მინიშნებას.

თანმხლები ინფორმაციის მეშვეობით პროდუქციის ღირებულება მატულობს, ვინაიდან მომხმარებლისთვის ნათელი ხდება მისი კულტურული ღირებულება და ტრადიციული ფუნქციური და სიმბოლური დატვირთვა.

შეფუთვა პროდქუციის ბრენდირების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რაც ასევე იგნორირებულია მრავალი ოსტატის მიერ.  თუმცა ადგილობრივი მომხმარებლის 15% და უცხოელი ტურისტის 11.5% შეფუთვას ქართული ტრადიციული რეწვის პროდუქციის მთავარ ნაკლად მიიჩნევს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია წარდგენა-ექსპონირების საკითხი, რომელიც მარკეტინიგის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ ასპექტის არასათანადო აღქმას ვაწყდებით არა მხოლოდ ცალკეული ოსტატების, არამედ მაღაზიების, განსაკუთრებით კი სუვენირების სალონების

შემთხვევაში, სადაც გარდა იმისა, არ არის პროდუქციის ხარისხის კონტროლი, ექსპოზიციაც სრულიად შემთხვევით, ქაოტურ ხასიათ ატარებს.

**ისტორიალი**

**თბილისი, ნიკო ნიკოლაძის 7,**

**ტელ. +995322931335**

ბრენდი□ ისტორიალი□ მომხმარებელს სთავაზობს ქართული ოქრომჭედლობის უძველესი და უნიკალური ნიმუშების მიხედვით შექმნილ სამკაულის და მცირე პლასტიკის, სუფრის აქსესუარების, კერამიკის და ტრადიციული ხალხური რეწვის ნიმუშების ფართო არჩევანს. კოლექციაში წარმოდგენილ ყოველ ნივთს ახლავს შეფუთვა და ინფორმაცია, რომლის მეშვეობითად გაეცნობით მოტივების უძველესი ორიგინალების ისტორიას.

### 8.8.5. <u>მომხმარებელი</u>

მომხმარებლის თვალთახედვის კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ადგილობრივი მომხმარებლის და უცხოელი ტურისტის კითხვარი. ვინაიდან კვლევის პირველადი მიზანი ტრადიციული რეწვის რესურსების და მწარმოებელთა შესწავლა იყო, კვლევის რესურსების დაზოგვის მიზნით, მომხმარებლების კვლევა მცირე მასშტაბით ჩატარდა და ძირითადი ტენდენციების დადგენით შემოიფარგლა. კვლევის პროცესში გამოკითხულ იქნა 101 ადგილობრივი მომხმარებელი და 150 უცხოელი ტურისტი. მართალია არ განხორციელებულა წინასწარი შერჩევა, მაგრამ საველე ჯგუფის მიერ ინტერვიუები ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ტრადიციული რეწვის სავაჭრო ობიექტთან და ფესტივალებსა თუ ბაზრობებზე, სადაც ამ დარგით დაინტერესებული მომხარებელი იყო წარმოდგენილი.

როგორც მოსალოდნელი იყო ტრადიციული რეწვის მომხმარებელთა უმეტესობა ქალია, მათი წილი ადგილობრივ მომხმარებლებში 73.3% ხოლო ტურისტებში 62.9%. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ყველაზე აქტიური ორივე შემთხვევაში 26-35 და 46-55 ჯგუფების წარმომადგენლები არიან.

**ცხრილი 11. მომხმარებლის ასაკობრივი სტრუქტურა**

| ასაკობრივიჯგუფი | ადგილობრივიმომხმარებელი % | ტურისტი % |
|---|---|---|
| <18 | 6.9 | 4.5 |
| 19-25 | 20.8 | 10.1 |
| 26-35 | 25.7 | 22.5 |
| 36-45 | 13.9 | 20.2 |
| 46-55 | 23.8 | 22.5 |
| 56< | 8.9 | 9.0 |

უცნაურია ადგილობრივ მომხმარებლებში 36-45 ასაკობრივი ჯგუფის ძალზე მცირე პროცენტი - 13.9%. სამწუხაროდ, მომხმარებელთა შორის არ ჩატარებულა კვლევა მათი ტრადიციულ რეწვასთან დამოკიდებულების შესახებ, ამიტომ რთულია ამ სურათის ახსნა არსებული მონაცემებით.

ზოგადი ტენდენციით უცხოელი ტურისტი მეტს ხარჯავს ტრადიციული რეწვის ნიმუშებზე ვიდრე ადგილობრივი მომხმარებელი. მაგალითად 50 ლარზე ნაკლები ღირებულებისას ყიდულობს ქართველთა 48.5% მაშინ როდესაც უცხოელებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 22.7%-ია. ხოლო 500 ლარამდე ხარჯავს ადგილობრივის მომხმარებლის 95% და უცხოელის 70.5. შესაბამისად 500 ლარზე ძვირადღირებულ კატეგორიაში უცხოელი ტურისტები ჭარბობენ. თუმცა არსანიშნავია, რომ ადგილობრივი მომხმარებელის მეტი პროცენტი იძენს ნიმუშებს 101-200 და 201-500 ლარის კატეგორიაში, რაც ვფიქრობთ რომ მიუთითებს ადგილობრივი მომხმარებელში არსებულ პონტენციალზე, რაც არ არის გამყარებული სათანადო ასორტიმენტით, ვინაიდან დარგში არსებული ზოგადი აღქმით ტრადიციულირ ეწვის ძირითად მომხმარებელს უცხოლებეი წარმოადგენენ რაც თავის გავლენას ახდეს წარმოებული პროდუქციის ფუნქციონალურ დანიშნულებაზე და დიზაინზე.

**გრაფიკი 23. უცხოელი ტურისტის და ადგილობრივი მომხმარებლის მიერ ტრადიციული რეწვის პროდუქციაზე დახარჯული თანხების განაწილება**



მართალია კვლევამ მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლები მოიცვა, მაგრამ ოსტატების გამოკითხვამ ცხადყო, რომ რეწვის დღევანდელ ბაზარზე ასევე არსებობენ კორპორატიული კლიენტები. მართალია ოსტატთა მხოლოდ 13.7% ყიდის თავის პროდუქციას ამ კატეგორიაზე, მაგრამ კორპორატიული კლიენტები მეტად თანამშრომლობენ საწარმოებთან და სავაჭრო ობექტებთან. შესაბამისად იზრდება მათი წილიც – საწარმოებისთვის 28.61% ხოლო სავაჭრო ობიექტისთვის 37.5%, თუმცა ყველა შემთხვევაში კორპორატიულ მყიდველზე გაყიდული პროდუქცია როგორც წესი 20% ზღვარში ექცევა.

**ცხრილი 12. ოსტატის, საწარმოს და სავაჭრო ობიექტის გაყიდვების სტრუქტურა მომხმარებლების მიხედვით**

| გაყიდვების % | ადგილობრივიმომხმარებელი | | | ტურისტი | | | კორპორატიულიკლიენტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ოსტატი | საწარმო | სავაჭრო ობიექტი | ოსტატი | საწარმო | სავაჭრო ობიექტი | ოსტატი | საწარმო | სავაჭრო ობიექტი |
| | % | | | % | | | % | | |
| 0 | 11.2 | 20.0 | 9.36 | 34.4 | 45.7 | 9.38 | 86.4 | 71.39 | 62.5 |
| 20%-მდე | 10.93 | 20.0 | 34.38 | 12.8 | 8.6 | 25.84 | 8.27 | 11.43 | 34.38 |
| 40%-მდე | 18.67 | 17.1 | 9.38 | 10.4 | 8.6 | 5.84 | 1.87 | 8.57 | 3.13 |
| 60%-მდე | 18.13 | 11.4 | 21.88 | 24.53 | 25.7 | 4.16 | 1.33 | 5.71 | |
| 80%-მდე | 10.93 | 11.4 | 12.50 | 13.87 | 8.6 | 2.50 | 0.8 | | |
| 100%-მდე | 30.13 | 20.0 | 8.93 | 4 | 2.9 | 4.16 | 1.33 | 2.9 | |

გამოკითხვის შედეგად ასევე გაანალიზებული იქნა მოთხოვნა სხვადასხვა ტიპის პროდუქციაზე. გამოკითხვამ აჩვენა, რომ როგორც ადგილობრივი მომხმარებლელში (32.6%), ასევე უცხოელ ტურისტებში (32.4%) ყველაზე დიდი პოპულარობით სამკაული სარგებლობს. მას მნიშვნელოვნად ჩამორჩება სუვენირები, შესაბამისად 19% და 18.9%. ძალაინ მცირეა მოთხოვნა ავეჯზე (ამ კატეგორიის ძირითადი მყიდველი კორპორტაიული კლიენტებია (ძირითადად საზოგადოებრივი კვების ობიექტები, რომელთა გამოკითხვა არ მომხდარა) და იარაღზე.

მოთხოვნა-მიწოდების ანალიზისთვის შედარებულ იქნა ოსტატების მიერ წარმოებული ფუნქციური ჯგუფების პროცენტი და მათზე არსებული მოთხოვნა. მართალია ეს მონაცემები პროდუქციის თითოეულ ჯგუფში გაყიდვების და წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი მაჩვენებლების გარეშე არ იძლევა ნათელ სურათს, მაგრამ საგულისხმოა მნიშვნელოვანი განსხვავება სამკაულის და აქსესუარების ჯგუფებში. თუ პირველ შემთხვევაში სამკაულის წარმოებაში ჩართულია ოსტატების მხოლოდ 13.59%, ხოლო სამკაულზე მომხმარებლის მოთხოვნა ბევრად მეტი - 32 %-ია, აქსესუარების შემთხვევაში სურათი საპირისპიროა, ოსტატების მიერ წარმოებული აქსესუარების პროცენტი - 27.95%, მნიშვნელოვნად აღემატება მასზე არსებულ მოთხოვნას, რომელიც მხოლოდ 8.5 %-ია.

მიწოდება-მოთხოვნაში არსებული ხარვზები გამოვლინდა სავაჭრო ობიექტების გამოკითხვაშიც. მათი 28% აღნიშნავს, რომ ბოლო წლის განმავლობაში შექმნიათ დეფიციტი ტრადიციული რეწვის ამა თუ იმ პროდუქციაზე, რაც თავის მხრივ, მიუთითებს მწარმოებელსა და რეალიზატორს შორის კოორდინაციის ნაკლებობასა და ზოგიერთი პროდუქციის შემთხვევაში წარმადობის დაბალ მაჩვენებეზე.

**ცხრილი 13. მწარმოებლის და მომხმარებლის პროცენტული განაწილება პროდუქციის ფუნქციონალური ჯგუფების მიხედვით**

| პროდუქცია | ოსტატების განაწილება ფუნქც. ჯგუფების მიხედვით % | ადგილობრივი მომხმარებელი % | ტურისტი % |
|---|---|---|---|
| აქსესუარი(ფეხსაცმელი, ქამარი, ჩანთა, ქისა) | 27.95 | 8.1% | 8.6% |
| სამკაული | 13.59 | 32.6% | 32.4% |
| იარაღი | 1.54 | 2.7% | 2.7% |
| მუსიკალურისაკრავი | 2.69 | 4.3% | 4.3% |
| ჭურჭელი | 8.21 | 7.1% | 7.0% |
| სათმაშო (თოჯინა, სხვა) | 4.10 | 7.6% | 7.5% |
| ტანსაცმელი | 4.10 | 10.9% | 10.8% |
| რელიგიური დანიშნულების ნაკეთობა | 5.13 | 3.8% | 3.8% |
| ავეჯი | 2.95 | 1.6% | 1.6% |
| სუვენირი | 11.54 | 19.0% | 18.9% |
| მიჭირსპასუხისგაცემა | | 2.2% | 2.2% |

### 8.8.6. <u>დისტრიბუცია</u>

კვლევის დროს ნათლად გამოვლინდა, რომ ტრადიციული რეწვაში არ არსებობს დისტირბუციის მექანიზმები. ოსტატები თავად ახდენენ სავაჭრო ობიექტებისთვის პროდუქციის მიწოდებას, რაც მათგან დამატებით დროით და ტრანსპორტირების დანახარჯებს მოითხოვს და ზღუდავს დისტრიბუციის არეალს. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემატურია რეგიონში მაცხოვრებლებისთვის, რომლებიც მეტად არიან მოშორებულნი ძირითად ბაზარს - თბილისს. შესაბამისად, ტრადიციული რეწვის პროდუქციის მიმოქცევა საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ შეზღუდულია. თბილისის გარეთ მცხოვრები ოსტატების მხოლოდ 30% აწვდის თავის ნამუშევრებს დედაქალაქს და თბილისელი ოსტატებისთვის მხოლოდ 17% აკეთებს ნამუშევრების რეალიზაციას რეგიონებში.

### 8.8.7. <u>გაყიდვების არხები</u>

ტრადიციული რეწვის ნაწარმის რეალიზაცია საქართველოში მიმდინარეობს გაყიდვების როგორც პირდაპირი გზით ოსტატი-საბოლოო მომხმარებელი, ასევე შუამავლის საშუალებით. სულ გამოკითხვისას დასახელდა გაყიდვის შემდეგი არხები:

პირდაპირი: (1) შეკვეთით; (2) სახელოსნო; (3) ღია ბაზრობა; (4) ფესტივალი, დღეობა; (5) ინტერნეტ გაყიდვები

არაპირდაპირი/შუამავლის საშუალებით: სხვადასხვა ტიპის მაღაზიები

როგორც კვლევამ აჩვენა, ოსტატების 57.6% თავიანთი ნამუშევრების 60%-ზე მეტის რეალიზაციას ერთი რომელიმე არხით ახდენს. ამავე დროს ოსტატთა 81.3% გაყიდვების მხოლოდ 3 ან ნაკლებ არხს მიმართავს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ოსტატები არსებული კომერციალიზაციის სისტემაში ვერ ახდენენ გაყიდვების არხების დივერსიფიკაციას. უფრო მეტიც, კითხვაზე რა გზებით ახდენთ თქვენი ნამუშევრების რეალიზაციას გამოკითხვის დროს 271-ჯერ დასახელდა გაყიდვის პირდაპირი არხები, ხოლო არაპირდაპირი - მხოლოდ 184-ჯერ. პირდაპირი არხებიდან წამყვანი როლი სახელოსნოებიდან (ოსტატების 56.09%) გაყიდვას უჭირავს. ამასთან ოსტატთა 21.9% თავის ნამუშევრების 80% სახელოსნოდან ყიდის. შეკვეთების % საკმაოდ დაბალია 9.23%, თუმცა გარკვეულწილად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამოკითხვისას სახელოსნოდან გაყიდვაში ზოგიერთი ოსტატი შეკვეთებსაც გულისხმობდა. სწორედ ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ოსტთა 34.5% 6 თვეში რამდენჯერმე მაინც იღებს შეკვეთას.

ცალკე სეგმენტს წარმოადგენს ღია ბაზრობები (მუდმივი) (12.8%), გამოფენა/გაყიდვები დღეობები და სახალხო დღესასწაულები (21.40%). ღია ბაზრობებიდან აღსანიშნავია მშრალი ხიდი (თბილისი), მეცნიერებათა აკადემიის მიმდებარე ტერიტორია (თბილისი), სვეტიცხოველის მიმდებარე ტერიტორია (მცხეთა), კერამიკასა და წნულზე სპეციალიზირებული შროშის ბაზრობა (იმერეთი). განსაკუთრებით დაბალია ინტერნეტ გაყიდვები, ამ არხით გამოკითხულ ოსტატთა მხოლოდ 1.1% სარგებლოს, მაშინ როდესაც მაგალითად დიდ ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი 35.3%.[58]

**გრაფიკი 24. გაყიდვების პირდაპირი არხები**




არაპირდაპირი არხებში მხოლოდ სხვადასხვა ტიპის სავაჭრო ობიექტები გამოვლინდა. არცერთხელ არ დასახელებულო საბითუმოდ მოვაჭრენი, შუამავლები ან სხვა მსგავსი რგოლები.

მაღაზიის ტიპის სავაჭრო ობიექტებში გამოიყო 5 ძირითადი ჯგუფი:

[58] Crafts in an Age of Change p. 26

(1) სუვენირების მაღაზიები – ობიექტები, რომლებიც დაბალი და საშუალო ღირებულების და ხარისხის პროდუქციას სთავაზობენ მომხმარებელს.

(2) სალონები – გამოირჩევიან შედარებით მაღალი ხარისხის პროდუქციით, რომელიც გათვლილია არა მხოლოდ ტურისტზე, არამედ ადგილობრივ მომხმარებელზეც

(3) მაღაზია/გალერეები – გალერეებთან არსებული მაღაზიები, რომლებიც უფრო მაღალმხატვრულ, მეტწილად შერეული და თანამედროვე დიზაინის პროდუქციას სთავაზობენ მომხმარებელს. ამავე კატეგორიას მივაკუთნეთ არტ-კაფეების სალონები.

**გრაფიკი 25.სავაჭრო ობიექტების ტიპოლოგია**




(4) სამუზეუმო მაღაზიები

(5) შერეული მაღაზიები (რომლებიც სხვა პროდუქციასთან ერთად რეწვის პროდუქციასაც ყიდიან).

(6) საეკლესიო მაღაზიები

კვლევის დროს გამოკითხული იქნა 32 მაღაზია, იხ. % განაწილება.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამუზეუმო მაღაზიების წილი რეალობაში მნიშვნელოვანდ დაბალია, ვინაიდან კვლევის დროს გამოკითხულ იქნა ამ ტიპის ობიექტების სვარაუდოდ 90%, მაშინ როდესაც დანარჩენი ტიპის მაღაზიების უხეში შეფასებით 70%. ასევე განმარტებას საჭიროებს საეკლესიო მაღაზიების დაბალი %. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ობიექტები საკმაოდ მრავლადაა საქართველოში, ისინი მეტწილად შემოტანილი პროდუქციით ვაჭრობენ და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ქართული ტრადიციული რეწვის პროდუქციით. ეჭვგარეშეა სუვენირების მაღაზიების ყველაზე მაღალი პროცენტული წილი. გამოკითხულ ოსტატთა უმეტესობა – 67% თავისი პროდუქციის გარკვეულ ნაწილს ამ ტიპის მაღაზიებში უკეთებს რეალიზაციას.

**გრაფიკი 26. გაყიდვების არაპირდაპირი არხები**



გეოგრაფიული განაწილების თვალსაზრისით მაღაზიების კონცენტრაცია თბილისშია, სადაც განლაგებულია გამოკითხულ ობიექტთა 60%. შემდეგ მოდის ბათუმი, მცხეთა და გორი.

### 8.8.8. ექსპორტი

საქართველოს ექსპორტში ტრადიციული რეწვის გამოყოფა პრაქტიკულად შეუძლებელია. მაშინ როდესაც ხელოვნების ნიმუშები ცალსახად არის გამოყოფილი სასაქონლო კოდებში. მაგალითად[59]:

| | |
|---|---|
| 9701 | სურათები, ნახატები და პასტელები, ხელით შესრულებული |
| 9702 | გრავიურების, ესტამპების და ლითოგრაფიების დედნები |
| 9703 | ქანდაკებების და სტატუეტების დედნები ნებისმიერი მასალისაგან |

ტრადიციული რეწვის შესაძლო პროდუქციის კატეგორიებში არ ხდება ხელით და მანქანით შესრულებული ნიმუშების გამიჯნვა. მით უმეტეს შეუძლებელია ტრადიციული რეწვის გამოყოფა თანამდროვე ხელსაქმისგან. მაგალითად[38]:

| | |
|---|---|
| 6001 | ხაოიანი ტილო ტრიკოტაჟისა, მანქანით ან ხელით ნაქსოვი |
| 6002 | სხვა ტრიკოტაჟის ტილო, მანქანით ან ხელით ნაქსოვი |
| 6004 | ტრიკოტაჟის ტილოები მანქანით ან ხელით ნაქსოვი, სიგანით 30 სმ-ზე მეტი, |

ექსპორტის შესახებ მწირი ინფორმაციის მოპოვებულ შესაძლებელი გახდა ჩატარებული კვლევის დროს. გამოკითხულ ოსტატთა მხოლოდ 5.8% აღნიშნა, რომ ნამუშევრებს ყიდის საზღვარგარეთ. მათი დაახლოებით 50% ნამუშევრებს საერთაშორისო ბაზრობებზე წარადგენს, რაც დღეისათვის საქართველოში არ წარმოადგენს სისტემატურ პრაქტიკას და, როგორც წესი, დროდადრო ხორციელდება სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ. როგორც წარმატებული პრაქტიკა შეიძლება აღინიშნოს 2007 წელს საქართველოს ტექსტილის ჯგუფის მონაწილეობა სანტა ფეს ბაზრობაზე, სადაც პირდაპირმა გაყიდვებმა 12000 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო შეკვეთების ოდენობამ 3000 აშშ დოლარი. [60] თუმცა გამოფენებზე და ბაზრობებზე წარმატებული მონაწილეობა მნიშვნალოვნად არის დაკავშირებული სისტმატურობასთან და თანმიმდევრულ პოლიტიკასთან.

შედარებით სტაბილურ ექსპორტს ეწევიან ოსტატები, რომლებიც საზღვარგარეთ ნამუშევრების რეალიზაციას ექსპატრიატი ახლობლების საშუალებით ახდენენ. აღნიშნული ოსტატები თავისი ნამუშევრების 60%-დან-100%-მდე ექსპორტზე ყიდიან. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ქართული ტრადიციული რეწვის პროდუქციის საექსპორტო ბაზრის მოძიება დღევანდელი მდგომარეობითაც არის შესაძლებელი, თუმცა საჭიროა ხელშემწყობი ღონისძიებები და ამ მიმართულებით კომერციული საქმიანობის წახალისება.

[59] საქარტველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo

[60] Baseline Survey to Evaluate Folk Art Development in Georgia. Art Gene. 2010. p. 11

### 8.8.9. ძირითადი მიგნებები და პრობლემები

1. საქართველოში ტრადიციულ რეწვას არ გააჩნია რაიმე სახის სადისტრიბუციო ქსელი რაც მნიშვნელოვნად ზრუდავ პროდუქციის მიმოქცევას ტერიტორიაზე
2. ტრადიციული რეწვის ბაზარზე დღეს დაახლოებით 500-მდე დასახელების პროდუქტია წარმოდგენილი. გამოკითხულ ოსტატთა ყველაზე დიდი კატეგორია - 27.93% აქსესუარებს აწარმოებს, მეორე ადგილზეა სამკაულები (12.4%).
3. პროდუქციაში ჭარბობს ტრადიციული ტექნოლოგიები – გამოკითხულ ოსტატთა 77.6% და შერეული დიზაინის მქონე ნამუშევრები - ოსტატთა 47.3%.
4. დიზაინს და ტრადიციებთან კავშირს ქართული ტრადიციული რეწვის ნიმუშების მთავარ ღირსებად მიიჩნევს ადგილობრივი მომხმარებელის შესაბამისად 22.7% და 37.3%, ასევე უცხოელი ტურისტების 30% და 27.3%
5. პროდუქციის უმეტესობა განიცდის ინოვაციურობის, დღევანდელ ყოფასთან მისადაგების დეფიციტს
6. პროდუქცია მეტწილად ორიენტირებულია უცხოელ მყიდველზე, რაც ზღუდავს მომხმარებლის კატეგორიებს და იწვევს გაყიდვების სეზონურობას
7. ტრადიციულ რეწვაში არ მოქმედებს ხარისხის კონტროლის რაიმე გამართული მექანიზმი, რაც პროდუქციის ხარისხში მნიშვნელოვან განსხვავებებს იწვევს
8. მომხმარებლის თვალსაზრისით პროდუქციის მაღალი თვითღირებულება წარმოადგენს ტრადიციული რეწვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას
9. ადგილობრივ ბაზარზე ძირითადი მომხმარებელს წარმოადგენენ ქალები (ადგილობრივი მომხმარებლის 73.3% და უცხოელი ტურისტის 62.9%) და 26-35 და 46-55 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები.
10. ოსტატების 81.3% გაყიდვების 3 ან ნაკლებ არხს მიმართავს, ამათან მეტად გამოიყენება გაყიდვების პირდაპირი არხები, რაც ერთი მხრივ დისტრიბუციის ქსელის არ არსებობით და მეორე მხრივ სავაჭრო ობიექტებთან თანამშრომლობისთვის საგადასახადო სტატუსის საჭიროება განაპირობებს.
11. ტრადიციული რეწვის საქართველოს ექსპორტში გამოყოფა ვერ ხერხდება სასაქონლო კოდებში მისი გამიჯნვის შეუძლებლობის გამო. მართალია ოსტატების 5.8% აღნიშნავს, რომ ნამუშევრების რეალიზაციას ექსპორტის გზით ახორციელებს, მაგრამ, როგორც წესი ეს არასტაბილური და წყვეტილი პროცესია.

## 8.9. შემოსავლები

როგორც უკვე აღინიშნა, ტრადიციული რეწვა ოფიციალურ სტატისტიკაში არ აისახება. ამგვარ ვითარებაში დარგში არსებული შემოსავლების და გაყიდვების შესახებ ინფორმაციის ერთადერთ წყაროს კვლევისთვის კითხვარების ანალიზი წარმოადგენდა.

ტრადიციული რეწვის გამოკითხული ოსტატების წლიური შემოსავალი ზოგადად 100 ლარიდან 50000 ლარამდე მერყეობს. ოსტატების ყველაზე დიდი კატეგორიის (31.9%) წლიური შემოსავალი 101-500 ლარამდეა, დაახლოებით 65%-ის საქართველოში მამაკაცის 2011 წლის საარსებო მინიმუმზე (1893 ლ. წელიწადში)[61] და თითქმის 90%-ის 2011 წლის საშუალო ხელფასზე (7632 ლ.) ნაკლები. მთლიანად რეწვისთვის საშუალო წლიური შემოსავალი 2820 ლარს შეადგენ. მაშინ როდესაც აშშ-ში 2001 წელს ტრადიციულ რეწვაში ჩართულ ოსტატთა საშუალო შემოსავალი ხარჯების გარეშე 50000 აშშ დოლარს შეადგენდა, რაც ქვეყანაში საშუალო შემოსავალს 26%-ით აღემატებოდა[62].

ამგვარი სიტუაციის მიზეზები გარდა უკვე განხილული საკანონმდებლო, ბაზრის, დისტრიბუციის და სხვა საკითხებისა, მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმ ფაქტით, რომ საქართველოში ტრადიციული რეწვას არც სახელმწიფო და არც საზოგადოება არ მიიჩნევს ეკონომიკის ერთ-ერთ დარგად და პოტენციალის მქონე ბიზნესად. ტრადიციული რეწვის დომინანტური აღქმა დაახლოებით ასეთია - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი, რომელიც დაცვას და შენარჩუნებას საჭიროებს. დარგი რომელიც ასევე წარმოადგენს დამატებითი მცირე შემოსვლის წყაროს. მეორადი და ჰობის ტიპის საქმიანობა. დიასახლისებისთვის გარკვეული შემოსავლის წყარო. მსგავსი დამოკიდებულება ჭარბობს არა მარტო საზოგადოებაში, არამედ თვით დარგშიც. მაგალითად გამოკითხული ოსტატების მხოლოდ 2.1% სარგებლობს ბუღალტრის მომსახურებით, რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ დარგს აკლია ბიზნეს მიდგომა. მაშინ როდესაც აშშ-ში ტრადიციული რეწვის სფეროს ბრუნვა 2001 წ. 13.8 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა და ერთ რიგში იდგა ისეთ დარგებთან როგორიცაა ფეხსაცმელების წარმოება- $41.6 მლრდ., ჟურნალები - $31.9 მლრდ., ტაქსების ბიზნესი $3.7 მლრდ., ავიაბილეთები - $29.5 მლრდ., თამბაქო - $ 2.4 მლრდ. [63].

არსებულ ვითარებაშიც კი ნავარაუდევი იყო, რომ განსხვავებები იქნებოდა სხვადასხვა მიდგომის მქონე ოსტატების შემოსავლაში. ვინაიდან განხორციელებული კვლევა არ მოიცავდა ოსტატების დამოკიდებულებების ანალიზის კომპონენტს, განმასხვავებელ ნიშნად მიჩნეულ იქნა საგადასახადო უწყებაში რეგისტრაცია, რაც ჩვენი აზრით გარკვეულწილად გულისხმობს ინდივიდის მიერ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას. გრაფიკი 27-ზე ნაჩვენებია წლიური შემოსავლები სხვადასხვა ჯგუფის ოსტატებისთვის. როგორც ვხედავთ, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი არის ტექსტილში, სადაც ოსტატების 80.1% დაურეგისტრირებელია. ამ ჯგუფში 5000 ლარზე ნაკლები მოდის ოსტატების 93.3%-ზე, მაშინ როდესაც რეგისტრირებული ოსტატებისთვის ეს მაჩვენებელი 78.7%, ხოლო დარეგისტირებული კაცი ოსტატებისთვის 68.2%.

თუ ტრადიციულ რეწვაში გრაფიკზე მოყვანილ შემოსავლების პროცენტულ განაწილებას ძირითად ტენდენციად მივიღებთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციულ რეწვაში დასაქმებული ოსტატების წლიური ბრუნვა 2.7 მილიონ ლარამდეა.

[61] საქართველოს სტატისტისკის ეროვნული სამსახური. http://geostat.ge/?action=page&p_id=178&lang=geo
[62] A report on traditional Crafts and Economic Developemnt in Michigan . 2006. p.19
http://www.craftworksmichigan.org/craftworksreport.pdf

[63] A report on traditional Crafts and Economic Developemnt in Michigan . 2006. p.19
http://www.craftworksmichigan.org/craftworksreport.pdf

**გრაფიკი 27. ტრადიციული რეწვის სხვადასხვა კატეგორიის ოსტატების განაწილება საშ. წლიური შემოსავლების მიხედვით**




მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს გამოკითხვებში მუდმივად იკვეთება რესპოდენტების მხრიდან შემოსავლების შემცირების ტენდენცია. შედარების მიზნით საშუალო შემოსავალის გაანგარიშება მოხდა მეორე მეთოდითაც. კერძოდ, გამოთვლილი იქნა წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის ღირებულება. ვინაიდან ტრადიციულ რეწვაში ნამუშევრები დიდ პარტიებად არ იწარმოება და, როგორც წესი, ოსტატების მიერ იქმნება რეალიზაციის მიხედვით, ყველაზე პესიმისტური პროგნოზით ნავარაუდევი იყო, რომ ოსტატი ყიდის დამზადებული პროდუქციის 60%-ს. ამ გზით მიღებული შედეგის მიხედვით საშუალო შემოსავალი შეადგენს დაახლოები 7300 ლარს, ხოლო ტრადიციული რეწვის ოსტატების მთლიანი ბრუნვა დაახლოებით 12 მლნ. ლარს.

საგულისხმოა რომ ოსტატების ძალზე მცირე ნაწილი აწარმოებს გაყიდვების და ხარჯების აღრიცხვას, რაც საკმაოდ ართულებს მათთვის შემოსავლების რეალური სიდიდის და მით უმეტეს სუფთა მოგების განსაზღვრავს. შესაბამისად, სექტორის სიდიდის დასაზუსტებლად მოყვანილი მონაცემები საჭიროებს შემდგომ გადამოწმებას და ინფორმაციის სხვადასხვა წყაროსთან შეპირისპირებას..

ნებისმიერ შემთხვევაში, დღეისათვის ტრადიციული რეწვაში შემოსავლების საშუალოდ დაბალი დონე ეჭვს გარეშეა, თუმცა სფეროში არსებული მდგომარეობის, საზოგადოებაში დამკვიდრებული დამოკიდებულების, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის არარსებობის, ბიზნეს მიდგომების ნაკლებობის ფონზე მდომარეობა, შესაძლოა, კიდევ უფრო მძიმე ყოფილიყო.

იურიდიული პირების შემოსავლებზე საუბარი რთულია რამდენიმე მიზეზის გამო. ამ კატეგორიაში გამოკითხული ერთეულებიდან საკმაოდ დაბალი პროცენტი (35.5%) იყო დარეგისტრირებული შპს-დ, დანარჩენი ორგანიზაციები წარმოადგენდნენ ა(ა)იპ ან დაურეგისტრირებელ ერთეულების, რომლებიც ფაქტიურად არ არიან თავიანთი არსით კომერციული ორგანიზაციები და ტრადიციულ რეწვას მისდევენ თავიანთი ბენეფიციარების დასაქმების ან მიმდინარე პროგრამების ფარგლებში. ამავე დროს ძალზე მცირე იყო გამოვლენილი ორგანიზაციების მთლიანი რაოდენობაც, რაც არ იძლევა მიღებული შედეგების განზოგადების საფუძველს. მაგალითისთვის, შეიძლება ითქვას, რომ გამოვლენილი წარმატებული საწარმოების წლიური ბრუნვა ნახევარ მილიონს აღემატება.

## 8.10.საგანმანათლებლო ბაზა საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი მიმოხილვა

ისტორიულად ინდუსტრია შეგირდობის (meisterchaft) ინსტიტუტზე დაყრდნობით განვითარდა. შესაბამისად, დღესაც შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო საქმიანობას, ფორმალურ და არაფორმალურ წავლებას განათლების ყველა დონეზე. ამ საკითხს შეეხო 2005 წლის ბელფასტის კონფერენცია, რომელზეც განხილული განათლების და სწავლების პრობლემები. აქვე გამოიკვეთა შემოქმედებითი ორიენტაციის მნიშვნელობა განათლების ყველა სფეროსთვის, ასევე საგანმანათლებლო სისტემაში შემოქმედებითი ინდუსტრიებისათვის საჭირო უნარების ჩართვის აუცილებლობა.

ასევე უნდა აღინიშნოს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის და შესაბამისად ტრადიციული რეწვის დაცვა-შენარჩუნების უპირველესი გზაც, სწორედ საგანმანათლებლო პროცესის და თაობიდან თობაზე გადაცემის უზრუნველყოფაა.

დღეისათვის საქართველოში ტრადიციული რეწვის სწავლება სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური გზებით მიმდინარეობს. თუმცა ამ სფეროში ცოდნის დამოუკიდებლად შეძენასაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ჩატარებული კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ დღევანდლამდე ოსტატების უმეტესობა სწორედ ამ გზით ჩაერთო ტრადიციულ რეწვაში (32.1%). ცოდნის გადაცემაში დაახლოებით თანაბარ როლს თამაშობდა ერთი მხრივ პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები (შესაბამისად 15% და 16.8%), მეორე მხრივ კი მემკვიდრეობითობა (14.2%) და სხვა ოსტატისგან (13.4) ცოდნის მიღება.

აღსანიშნავია რომ, დღეისათვის ეს ტენდენციები სავარაუდოდ იცვლება. გამოკითხული ოსტატების საკმაოდ დიდი ნაწილი - 31.3% ჩართულია სასწავლო პროცესში. თუმცა მათი უმეტესობა (30.8%) პროფესიულ სასწავლებლებში ასწავლის, 20.5% - შეგირდებს, და მხოლოდ 12% – საკუთარ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

ტრადიციული რეწვის სასწავლო დაწესებულები დღეისათვის მოიცავს: უმაღლეს სასწავლერბლებს, პროფესიულ სასწავლებლებს, სახელმწიფო დაწესებულებებთან არსებულ სკოლა-სახელოსნოებს, მუნიციპალურ სახელოვნებო სკოლებთან, საპატრიარქოს სამრევლო სკოლებთან არსებულ სახელოსნოებს. ასევე დასაქმებაზე ორიენტირებული პროფესიული გადამზადების სხვადასხვა კურსებს. აღნიშნულ ჯაჭვში ფაქტიურად არ არის ჩართული სკოლამდელი და საშუალო განათლების დაწესებულებები.

**გრაფიკი 28. გამოკითხული ოსტატების განაწილება მიღებული ცოდნის არხების მიხედვით**




სახელმწიფო უნივერსიტეტები (მაგ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია) არსებული დიზაინის ფაკულტეტი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- მხატვრული კერამიკა
- მხატვრული მინა
- ტექსტილის დიზაინი
- მოდის დიზაინი
- სამრეწველო დიზაინი
- ხის მხატვრული დამუშავების და ავეჯის დიზაინი
- სამკაული და ლითონის დეკორატიული პლასტიკა
- ლურჯი სუფრის კვლევითი ლაბორატორია

შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და დიზაინის გარდა სწავლების პროცესში ჩართულია ტრადიციული ტექნოლოგიებისა და დიზაინის სწავლებაც.

თუმცა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებში მიღებული პროფესიული ცოდნა განსხვავდება ხალხური ზეპირსიტყვიერი ტრადიციისაგან, რომელთან უფრო მჭიდრო კავშირიც მხოლოდ გაამდიდრებს დიზაინის კურსდამთავრებულ პროფესიონალებს.

როგორც კვლევამ აჩვენა, ტრადიციული რეწვის სწავლების მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს **მუნიციპალური სახელოვნებო სკოლები,** რომლებიც ქვეყნის მასშტაბით გვხვდება. სახვითი ხელოვნების გარდა მათ პროგრამაში ხშირად ვხვდებით ტექსტილის, ხეზე კვეთის, ლითონზე პლასტიკის, კერამიკის, მინანქრის სასწავლო კურსებს. აქვე უნდა აღინიშნოს,

რომ ეს კურსები ძირითადად მოზარდი ახალგაზრდობისთვისაა განკუთვნილი. აქვე უნდა აღინიშნოს სასკოლო პროგრამებშიც ოსტატების დასაქმებაც, თუმცა სამწუხაროდ ზოგიერთ შემთხვევაში პედაგოგების შერჩევისას არ არის გათვალისწინებული რეგიონში არსებული უფრო ღირებული ადამიანური რესურსების არსებობა, რაც თავის მხრივ საგანმანათლებლო და კულტურულ წრეებს შორის არაკოორდინირებული მოქმედების შედეგია.

ტრადიციული რეწვის სწავლების და გავრცელების თვალსაზრისით უნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს **საპატრიარქოს სამრევლო სკოლებთან და მონასტრებთან არსებულ სახელოსნოებს**, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში (ფოკანი, სნოს მინანქრის სახელოსნოები, ახალციხის სასულიერო სასწავლებელი, ვარძიის დედათა მონასტერის ქარგვის, მოხეური თექის და მრავალი სხვა სახელოსნო). ბუნებრივია, აღნიშნული საგანმანათლებლო ცენტრების უმთავრეს მიმართულებას საეკლესიო ხელოვნების განვითარება და მათი ტრადიციების გაგძელებაა (ოქრომკედით ქარგვა, ჭედური ხატები, ხის საეკესიო ნივთები, მინანქრის ხატები, ჯვრები და სხვა), თუმცა აქვე ვხვდებით ნაქარგობითა, მინანქრით, თექით შესრულებულ საერო ნამუშევრებსაც.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დასაქმებაზე ორიენტირებული **პროფესიული გადამზადების კურსები და არასამთავრობო ინიციატივები**, რომელთა მეშვეობითაც არაერთი "ახალი" ოსტატი შემატა სექტორს. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია თექის და მინანქრის ტექნოლოგიური ჯგუფები. აღნიშნულ კურსდამთავრებულთა მახასიათებელია ნამუშევრების შედარებით მასობრივი ხასიათი, დაბალი ხარისხი, თუმცა ბუნებრივია, გვხვდება გამონაკლისებიც. ასევე შეიმჩნევა ტენდენცია, რომ კურსდამთავრებულთა მხოლოდ მცირე პროცენტი აგრძელებს შემდგომში აღნიშნულ დარგში მოღვაწეობას. გვხვდება განსაკუთრებით წარმატებული შემთხვევებიც, როდესაც სახეზეა პროდუქციის ხარისხისა და დიზაინის დახვეწა და რეწვის შემოსავლის წყაროდ ქცევა.

ცალკე უნდა აღინიშნოს რეწვის მიმართულებით საზოგადოების გათვითცნობიერების აუცილებლობა, რომელიც ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული განათლების სფეროსთან. კვლევამ დაადასტურა, რომ ტრადიციული რეწვის პროდუქციის ხარისხის დაბალ დონეს ხშირად სწორედ საზოგადეობის გაუთვითცნობიერებლობა განაპირობებს, ამის მაგალითია ქიმიური საღებავებით შეღებილი თექის უხარისხო პროდუქცის მოზღვავება ბაზარზე.

მსგავსი პრობლემის წინააღმდეგ წარმატებულ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ იაპონიის პრეცედენტი, სადაც 2002 წლიდან კიოტოში ტრადიციული რეწვის სწავლება საშუალო სკოლაში ყველა დონეზე იქნა ინტეგრირებული. მასში 60 სკოლა და მეაბრეშუმეობისა და კერამიკის მრავალი ცნობილი ოსტატი ჩაერ[64]. საერთაშორისო პრაქტიკის კიდევ მრავალი პრეცედენტი მიუთითებს ტრადიციული რეწვის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის და ამავდროულად დასაქმების პოტენციის მქონე დარგის განათლების სფეროში ინტეგრაციის აუცილებლობაზე.

[64] www.web-japan.org/trends01/article/030221sci_r.html

**სათემო კავშირი „ნუკრიანის“ სახელოსნოები**

*სოფელი ნუკრიანი, სიღნაღის მუნიციპალიტეტი*

*კულტურის სახლის შენობა, 1 სართული*

*ტელ. (+995 77) 202 111*

ნუკრიანის“ სახელოსნოები სოფელ ნუკრიანში, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში - ქიზიყში მდებარეობს.

ნუკრიანის სახელოსნოები 2003-2005 წლებში დაარსდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სოფელ ნუკრიანის რამოდენიმე ქალბატონმა გაიარა სამკერვალო კურსები თბილისში, ხოლო ორგანიზაცია World Vision-მა „კავკასიური სახლის“ სოფელ ნუკრიანის ფილიალს 6 საკერავი მანქანა გადასცა საჩუქრად. ამის შემდეგ შეიქმნა სათემო კავშირიც, რომლის პროექტები ითვალისწინებდა ახალგაზრდებისთვის და ზრდასრულთათვის სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს.

კავშირის ბაზაზე ქვილთის, ქსოვის, ქარგვის და თელვის სახელოსნოები დაარსდა, სადაც სოციალურად დაუცველმა ქალბატონებმა დაიწყეს ხელობის შესწავლა/ სრულყოფა და შემდგომში მუშაობა. აქ მზადდება ქვილთის გადასაფარებლები, თექის პანოები, აქსესუარები და სხვა. სახელოსნოში შექმნილი ნამუშევრები გამოირჩევა სუფთა შესრულებით და დამუშავების მაღალი ხარისხით.

# 9. ტრადიციული რეწვის ძირითადი პრობლემები საქართველოში

წინამდებარე კვლევამ საქართველოში ტრადიციული რეწვის სექტორში არაერთი სრულიად განსხვავებული ტიპის პრობლემა გამოავლინა.

## 9.1. ორგანიზაციული სტრუქტურა

ვინაიდან ტრადიციული რეწვა კულტურის, ეკონომიკის, განათლების და გარემოს დაცვის სხვა მრავალი სამთავრობო თუ არასამთავრობო რგოლის საქმიანობასთან იკვეთება (იხ გვ 49) უმთავრეს პრობლემას ამ მიმართულებით წარმოადგენს არაკოორდინირებული მიდგომა. მაგალითად ვერ ვხდებით ეკონომიკური წახალისების სტრატეგიაში ტრადიციული რეწვის დარგის ინტეგრაციას ტრადიციული რეწვის ტურისტული პოტენციალის ამაღლებას, ტრადიციული რეწვის, როგორც რეგიონალური განვითარების რესურსის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებში ინტეგრაცის.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტში შტატის სიმცირე (ისევე, როგორც ამ მიმართულებით გამოყოფილი ბიუჯეტისა), რაც თავის მხრივ, ხელს უშლის უფრო მასშტაბური ღონისძიებების განხორციელებას.

არაკოორდინირებული მიდგომა ჩანს ადგილობრივი მთავრობების დონეზეც. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებთან არსებული კულტურის სამსახურები ფლობენ ინფორმაციას რეგიონებში მცხოვრებ ოსტატებზე, მათი ბაზები არასრულია. ასევე ხშირია კულტურის სამსახურის თანამშრომლების გაუთვითცნობიერება ტრადიციული დარგების ტექნოლოგიური ჯგუფებსა და სპეციფიკაში.

აქვე უნდა აღინიშნოს სახელმწიფო დონეზე ტრადიციული რეწვის და ზოგადად კულტურის სტატისტიკის წარმოების ზოგადი ხასიათი, რაც დროში სექტორში მიმდინარე ცვლიებების ანალიზის საშუალებას ზღუდავს.

ორგანიზაციული სტრუქტურის თავლსაზრისით პრობლემებს ვაწყდებით არასამთავრობო სექტორის დონეზეც. მიუხედავად ცალკეული კერძო ინიციატივებისა, ტრადიციული რეწვის ორგანიზაციებსა და ინდივიდებს შორის თანამშრომლობის შემთხვევები ძალზე იშვიათია. ეს, თავის მხრივ, იწვევს შრომითი და ფულადი დანახარჯების არაეკონომიურ ხარჯვას. არარსებობს მსგავსი კავშირები და ასოციაციები, რომელიც ცალკეულ ინიციატივებს კოორდინაციას გაუწევდა და სექტორის ინტერესებს დაიცავდა. გამოკითხულ ოსტატთა 85% საჭიროდ მიიჩნევს მსგავსი ასოციაციის არსებობას.

## 9.2. იურიდიული ბაზა

იურიდიული თვალსაზრისით, ტრადიციული რეწვის სფეროს პირველადი პრობლემა მისი იდენტიფიცირების საკითხია. "ტრადიციული რეწვის" ზუსტი დეფინიცია, მისი მახასიათებელი ნიშნები, საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება, შესაბამისად საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ამ დარგის განცალკევებულ რეგულირების სივრცეს გამოყოფა ფაქტიურად შეუძლებელია.

ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, ასევე ტრადიციული რეწვის სფეროში, რომლითაც დადგენილი იქნებოდა სახელმწიფოს დამოკიდებულება ტრადიციული რეწვის მიმართ.

ტრადიციული რეწვის სექტორის რეგულირდება დღეისათვის ხდება კულტურული მემკვიდრეობის კანონით, რომელშიც არამატერიალური მემკვიდრეობა მხოლოდ ზოგადი ჩანაწერის სახითაა შეტანილი. მისი სპეციფიკა კი, რომელიც სრულიად განსხვავდება მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მექანიზმებისგან არ არის გათვალისწინებული.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააღრიცხვო ბარათის ფორმა და ძეგლის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმები შემუშავებულია მატერიალური მემკვიდრეობის სპეციფიკის მიხედვით და ვერ პასუხობს აკმ-ს თავისებურებებს.

კიდევ ერთი ნორმატიული აქტი საქართველოს სამართლებრივ სივრცეში, სადაც დაფიქსირებულია „ტრადიციული რეწვა“ არის 2010 წლის 25 ივნისის საქართველოს მთავრობის №172 დადგენილებით „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ„ - დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია, სადაც „ხალხური რეწვა“, როგორც კულტურული ტურიზმის შემადგენელი ერთ-ერთი სეგმენტი სტრატეგიულ მიმართულებად არის მიჩნეული, თუმცა, რაიმე მოქმედებები ან სახელმწიფო აქტივობა „ხალხური რეწვის“ სექტორის წახალისების, მხარდაჭერის ან განვითარების კუთხით ჯერ არ დაფიქსირებულა.

არასრულყოფილია საქართველოს მუზეუმების კანონი, რომელიც შეუსაბამობაშია საქართველოს კანონთან "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ". კანონის ერთ-ერთი ხარვეზია მასში მოცემული რეგულაციების ბუნდოვანება და გაურკვევლობა, რაც შემდგომში მათი არაერთ მნიშვნელოვანი განმარტების საშუალებას იძლევა და მრავალ გართულებას იწვევს.

იურიდიული თვალსაზრისთ არასრულყოფილია ***საქართველოდან კულტურულ ფასეულობათა გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ საქართველოს კანონიც***, რომელში არსებული ჩანაწერის შესაბამისად, საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან მოითხოვონ "კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ნებართვა" ეთნოგრაფიულ მასალის გატანის შემთხვევში, რაც სრულიად ბუნდოვანია, რადგან მისი დეფინიცია საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს. თუმცა, აქვე განსაზღვრულია, რომ "კანონის მოქმედება არ ვრცელდება თანამედროვე სუვენირული ხასიათის ნაკეთობაზე, აგრეთვე სერიული და მასობრივი წარმოების კულტურული დანიშნულების ნივთზე", რაც ასევე ძალზე პირობითი განსაზღვრებაა და სუბიექტურ შეფასებებს ეფუძნება.[65]

გაურკვეველია განსაზღვრავს თუ არა ***"მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი"*** ტრადიციული რეწვას სამეწარმეო საქმიანობად. ვინაიდან მუხლი1 პუნქტის 3-ის მიხედვითაც სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების ***სახელოვნებო***, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა[66]; ამ ჩანაწერის შესაბამისად, "სახელოვნებო" საქმიანობა, ანუ ნებისმიერი შემოქმედებითი საქმიანობა, რომლის შედეგადაც იქმნება ცალკეული ნამუშევარი არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას და შესაბამისად არ საჭიროებს მის რეგისტრაციას, საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანას, ბუღალტერიის, დოკუმენტბრუნვის მოწესრიგებას და სალარო აპარატს.

ტრადიციული რეწვა საქართველოში არ სარგებლობს რაიმე სპეციულური დაბეგვრის სტატუსით. არსებული შეღავათიანი რეჟიმი – "მიკრო მეწარმე" ვერ პასუხობს ტარდიციული რეწვის სფეროს სპეციფიკას და ხშირ შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლების სანაცვლოდ უკეტავს ტრადიციული რეწვის ოსტატებს პროდუქციის გაყიდვის შუამავ რგოლებთან ურთიერთობის საშუალებას.

გამომდინარე იქიდან, რომ ტრადიციული რეწვა ოსტატებისთვის ხშირად მეორადი საქმიანობაა და ასევე, ვინაიდან, როგორც ხელოვანი ადამიანები, ისინი საკმაოდ შორს არიან ბიზნესისგან,

[65] კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 4.
[66] "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 1, პუნქტი 3

მათთვის საგადასახადოსთან ურთიერთობა სირთულეს წარმოადგენს და საჭიროებს დამატებით საკონსულტაციო მომსახურებას.

ტრადიციულ რეწვაზე ფაქტიურად ვერ ვრცელდება მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ან/და საკულტო-რელიგიური დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულებაზე დღგ-გან გათავისუფლება ჩათვლის უფლების გარეშე, რომელიც გათვალსიწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168 მუხლით

არ არსიებობს კულტურის სფეროში ფინანსების მოზიდვის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა შემოწირულობებსა და დაფინანსებაზე გადასახადების განსაკუთრებული დაბეგვრის რეჟიმები.

ტრადიციული რეწვის სექტორს, მისი ბიზნეს სფეროში დაბალი ინტეგრაციიდან გამომდინარე, ერთი მხრივ არ მიუწვდება ხელი საკრედიტო დაფინანსებაზე, მეორეს მხრივ კი სექტორათაშორისი დაფინანსები წყაროებზე.

კულტურის სფეროში არ არსებობს სპეციალიზირებული გრანტების გამცემი სახელმწიფო ფონდები. აღნიშნული საქმიანობა სამინისტროს და სააგენტოს პრეროგატივაშია, რაც ზღუდავს საგრანტო სახსრების წყაროებს, გარკვეულწილად ამცირებს განხორციელებული პროექტების რაოდენობას და ეფექტიანობას.

არ არის სრულყოფილი საავტორო უფლებების დაცვის და რეგისტრაციისათვის ტრადიციული რეწვის ნიმუშებისთვის საავტორო უფლებების მინიჭების კრიტერიუმები.

ტრადიციული რეწვის რიგი დარგებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს **ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან** დაკავშირებული საკითხები. ტრადიციული რეწვის სფეროსთვის ამ კუთხით რაიმე შეღავათები დაწესებული არ არის, რაც, ხშირ შემთხვევებში, ოსტატებისთვის ნედლეულის მოპოვებას უშლის ხელს და რიგ დარგებს დაკარგვის საშიშროების წინაშე აყენებს.

სახელმწიფო დაფინანსებაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ფაქტიურად არ არის ან ძალზე ბუნდოვნად არის გათვალისწინებული.

## 9.3. ადამიანური რესურსები

ტრადიციულ რეწვის პოტენციალი საქართველოში არ არის სრულად გამოყენებული. ამჟამად სფეროში დასაქმებულია დაახლოებით 1500 ინდივიდი რაც საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 0.07%-ს შეადგენს;

უმნიშვნელოვანეს პრობლემად იკვეთება ახალგაზრდების მცირე დაინტერესება, რაც ტრადიციული რეწვის რიგი დარგების "დაბერებას" (განსაკუთრებით კაცების დასაქმების დარგები) იწვევს, აფერხებს თაობიდან თაობაზე ცოდნის გავრცელბას და ტრადიციული ტექნიკების დაკარგვის საშიშროებას ქმნის.

## 9.4. რეგიონალური გავრცელება

ტრადიციული რეწვა განუვითარებელი ინფრასტურქტურის გამო ვერ ასრულებს თავის როლს რეგიონების, და კერძოდ სასოფლო დასახლებების განვითარებაში, რაზედაც მეტყველებს მისი კონცენტრაცია ურბანულ ზონაში (მწარმოებელათა 72%).

საქართველოს რეგიონებში აშკარად შეიმჩნევა ტრადიციული რეწვის წამახალისებელი პროგრამების და ინიციატივების ნაკლებობა

## 9.5. მწარმოებლის სტრუქტურა სამეწარმეო სტატუსის მიხედვით

სფეროს უმეტესი ნაწილი რეალურად აღურიცხავია, რაც ართულებს ეკონომიკური სტატისტიკის წარმოებას და ასევე დარგის განვითარების ეკონომიკური გეგმისა და პროგნოზების გაკეთებას. ამის მიზეზებად შეიძლება დასახელდეს: ა. ნაკლები გათვითცნობიერებულობა საგადასახადო სტატუსების და რეგისტრაციის აუცილებლობის/ფორმების შესახებ; ბ. ბუნდოვანი და რთულად გასაგები საგადასახადო კოდექსი, რომელიც საგადასახადო უწყებასთან ურთიერთობის შიშსაც კი იწვევს. რეგიონებში, გასაკუთრებით სოფლად მცხოვრები ოსტატებისთვის საგადასახადოსთან ურთიერთობის დამატებითი სატრანსპორტო და დროის დანახარჯებთან კავშირი.

## 9.6. დარგობრივი პრობლემები

### 9.6.1. <u>ტექსტილი</u>

ტექსტილის ჯგუფი, რომელიც, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ყველაზე დიდი კატეგორიას წარმოადგენს განსაკუთრებით განიცდის ხარისხის პრობლემას. ეს უპირველესად ეხება ბოლო დროს მასობრივად გავრცელებულ თექას, სადაც ხშირად ვხვდებით თელვის სახამებლის გამოყენებას (ადრე ეს ხანგრძლივი თელვით მიიღწეოდა) და ასევე თექის კომბინირებას სხვა, ხშირად ხელოვნურ და უხარისხო ქსოვილებთან.

ნაკლებად გამოცდილი კადრების მიერ ახალი ტიპის პროდუქციის და გამარტივებული ტექნიკის გამოყენებამ უმეტეს შემთხვევაში თექის პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვნად გააუარესა.

ნაქარგობის ტექნოლოგიურ ჯგუფში, სადაც ჭარბობს ფშავ-ხევსურეთისთვის ტიპური ჯვრული ნაქარგობა, შეიმჩნევა საქართველოს რეგიონალური განსხვავებების ნიველირება. ბაზარზე არსებული ნაქარგი პროდუქციისთვის ასევე დამახასიათებელია ფუნქციური კატეგორიების და მათი ფორმების სტანდარტულობა, ტიპიური ფორმები, რომელიც ნაკლებად არის ტრადიციული, თუმცა ვერც თანამედროვე ბაზრის მოთხოვნას აკმაყოფილებს.

ისევე, როგორც თექის ნაწარმში, ნაქარგ პროდუქციაშიც ხშირად ვხვდებით დაბალი ხარისხის ნამუშევრებს, რაც გამოიხატება ფერადოვანი შეხამებების სიჭრელეში. ეს ერთი მხრივ, განპირობებულია იმპორტირებული საქარგავი ძაფების პალიტრით, რომელიც განსხვავდება ტრადიციული ბუნებრივი საღებავებით მიღებული თავშეკავებული ფერადოვნებისგან, მეორე მხრივ  შრომის ეკონომიის მიზნით გვირისტის ზომის გაზრდით, რაც ასევე დაბლა სწევს პროდუქციის დონეს.

მკვეთრი ქიმირი ფერების და ხელოვნური ძაფის გამოყენება შეიმჩნევა ჩხირით ნაქსოვ პროდუქციაშიც, რაც დიდწილად აგდებს მათ ხარისხს.

მნიშვნელოვანი პრობლემაა ხელნაკეთი ძაფების და ტრადიციულ ბუნებრივ საღებავებში შეღებილი ნაწარმის დეფიციტი.

90-იანი წლების შემდეგ არსებული ფაბრიკების დახურვის შემდეგ საგრძნობლად დასუსტდა დაზგაზე ქსოვის ტექოლოგიური ჯგუფი, დღეისათვის ტექსტილში მომუშავე გამოკითხულ ოსტატთა 10.5%-ი დაკავებულია დაზგაზე ქსოვით.

საქართველოში ტრადიციულად ხდებოდა დაზგაზე ბამბის, შალის, აბრეშუმის, სელის ქსოვილის ქსოვა. სამწუხაროდ დღეისათვის მხოლოდ ერთეული შემთხვევებია დაფიქსირებული, რაც ფაბრიკული ქსოვილის მრავალფეროვნების და ხელმისაწვდომობის პირობებში ხელით ნაქსოვ ქსოვილზე დაბალი მოთხოვნითაა განპირობებული.

ფაქტიურად დაკარგვის პირას არის მეაბრეშუმეობის ტრადიცია, რომელიც საქართველოში V საუკუნეებიდან დასტურდება.

იშვიათობაა მოჩითული ქსოვილიც, რომელიც შეცვლილია კომპიუტერული ბეჭდვით შესრულებული ქსოვილებით, რომლებიც ტექნიკის სრული მექანიზაციის გარდა, ხელოვნური ქსოვილის და ანაბეჭდის დაბალი ხარისხით გამოირჩევა. ამასთან მოჩითული ქსოვილის არსებული პროდუქცია, ფუნქციონალური თვალსაზრისით, საკმაოდ მწირ ასორტიმენტს იძლევა.

### 9.6.2. <u>კერამიკა</u>

კერამიკის პრობლემებს შორის აღსანიშნავია მცხეთა-მთიანეთში - (მცხეთა) 17% და 11%; კახეთში (თელავი, იყალთო) კერამიკული წარმოების "დაკნინება".

ხარისხის თვალსაზრისით შეიმჩნევა გასხვავება თბილისსა და რეგიონებს შორის. ძირითადად, თბილისში ნაწარმოები პროდუქციის უფრო მაღალი ხარისხისაა, რეგიონებში კი ჭარბობს დაბალი ხარისხის კიჩიზაციისკენ მიდრეკილი სუვენირული პროდუქცია.

კერამიკის ტექნოლოგიური ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა ნედლეულის მოპოვება. არსებული კარიერებიდან თიხის მოპოვება, მისი დამუშავება და რეალიზაცია ლეგალურად არ მიმდინარეობს, შესაბამისად, თიხის შესყიდვის კანონიერი გზები ძალზე შეზღუდულია. კერამიკოსთა უმეტესობას უწევს უკანონო გზებით მოიპოვოს მასალა, რაც თავის მხრივ, დიდ პრობლემას უქნის დარგის შემდგომ განვითარებას.

### 9.6.3. <u>მინანქარი</u>

გეოგრაფიული განაწილების თვალსაზრისით მკვეთრად არის გამორჩეული მინანქრის კონცენტრაცია ქალაქებში (გამოკითხულ ოსტატთა 44% თბილისში, ხოლო 91% ურბანულ ზონაში ცხოვრობს).

ბოლო წლებში მინანქრის პროდუქციის პოპულარობამ, საგრძნობლად დააგდო პროდუქციის ხარისხი. ამასთან მინანქრის ოსტატების უმეტესობა ნამუშევრებისთვის შეკვეთილ ან მზა ფორმებს იყენებს, რაც მინანქრის პროდუქციის სტანდარტიზაციას იწვევს.

### 9.6.4. <u>ხის დამუშავება</u>

ხის ტექნოლოგიურ ჯგუფში საკმაოდ დაბალია ახალგაზრდათა წილი, 35 წლამდე ოსტატებზე მოდის მხოლოდ 20.93%.

აქვე უნდა აღინიშნოს, ტრადიციული ხეროობაც, რომელიც გაქრობის პირასაა, რადგან ოსტატთა უმეტესობა, დღეისათვის მოთხოვნის კლებასთან ერთად, ამ მიმართულებით აღარ მუშაობს, თუმცაღა ფლობს აღნიშნულ უნარებს.

ხის დამუშავებაში ძირითადი გამოვლენილი პრობლემები ნედლეულის მოპოვებას შეეხება. ვინაიდან ხის ჭრა მკაცრად კონტროლირებად სფეროს წარმოადგენს, ხშირად ოსტატებს არ აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ მათთვის გამოსადეგი ერთიანი ხის მასალა. ამ მიზეზით რაჭაში აღარ მზადდება ტრადიციული ხის საწნახელები (ხორგოები), რომელთა დამზადებისთვის გამოიყენებოდა ერთიანი თხილის მერქანი.

დაკარგვის პირასაა აკვნების და ნავების დამზადების ტექნოლოგიები.

### 9.6.5. <u>ლითონის დამუშავება</u>

ლითონის პროდუქცია არ გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. ძირითადად წარმოდგენილია სამკაულები, იარაღი (ხანჯლები, დანები), საეკლესიო ნივთები. ფაქტიურად არ გვხვდება საოჯახო დანიშნულების ნივთები, გამონაკლისია ლითონის ავეჯი. სამუზეუმო ასლები, რომლებიც თანამედროვე ტრადიციული რეწვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

დაბალი ხარისხით გამოირჩევა კიჩიზაციისკენ მიდრეკილი მელხიორის დეკორატიული სუვენირები, იარაღი, თასები, ყანწები, და სხვა.

ამ ტექნოლოგიურ ჯგუფის პრობლემებს შორის შეიძლება დავასახელოთ ძვირფასი ლითონების ქვეყნიდან გატანასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ოქრომჭედელთა ნამუშევრების ექსპორტს.

### 9.6.6. ქვაზე კვეთა

ქვაზე კვეთის ტექნოლოგიური ჯგუფის პრობლემებს შორის შეიძლება დასახელდეს ნედლეული პრობლემა. მაგ. ტყიბულში გიშრის რესურესების მიუხედავად, ნედლეულის მომპოვებელი ინდუსტრიის არარსებობის გამო ოსტატებს მასალის მოპოვების კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნებათ.

ამ დარგში ცალკე აღნიშვნის ღირსია ქვის კეცების დამზადება. კვლევის დროს გურიის რეგიონში გამოვლინდა ორი ოსტატი, რომლებიც აგრძელებს ქვის კეცების დამზადებას, რაც, თავის მხრივ, ამ ხელობის დაკარგვის რეალურ საფრთხეზე მიუთითებს.

### 9.6.7. მინა, ტყავი, ქაღალდი, წნული

დღეისათვის აღნიშნული დარგები ქართულ ტრადიციულ რეწვაში ძალზედ მწირად არის წარმოდგენილი.

მინა მნიშვნელოვან კრიზისს განიცდის, რაც პირველ ყოვლისა განპირობებულია ამ დარგის ინფრასტრუქტურული სისტემის რღვევით და ტექნოლოგიური სირთულეებით. მოითხოვს რა მაღალ ტემპერატურას, როგორც წესი ნამუშევრები იქმნებოდა არა ინდივიდუალურ სახელოსნოებში, არამედ მინის საწარმოებში არსებულ ღუმელებში. ამჟამად მინის საწარმოების რაოდენობა მცირეა, აღნიშნული კავშირების დარღვევის, ოსტატებს აღარ მიუწვდებათ ხელი ღუმელებზე და შესაბამისად ვეღარ ქმნიან ნამუშევრებს.

ტყავის დამუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ტყავის დამუშავება და შემდგომი გამოყენება ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს (იკერება ფეხსაცმელი, ჩანთები) ტრადიციული ტექნოლოგიებისა და დიზაინის გამოყენება საკმაოდ იშვიათია.

მოწნულ პროდუქციაში შეიმჩნევა ფუნქციის და დიზაინის ერთფეროვნება.

## 9.7. სახელოსნოები და დანადგარები

საქართველოს მასშტაბით სახელოსნოების მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროებს ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას – დანადგარების განახლებას, ფართის ოპტიმალურ ათვისებას, ინტერიერის სათანადო განახლება-გაფორმებას.

ტრადიციული რეწვის წარმოების განვითარებას ხელს უშლის იარაღებისა და დანაგდარების არასრულყოფილად გამოყენების პრობლემა, რაც განპირობებულია უმეტესწილად სახსრების უქონლობით, მაგრამ ასევე ტექნოლოგიური ინოვაციის მნიშვნელობის არასათანდოდ გააზრებით. ხშირად ოსტატები არ არიან ინფორმირებულები იმ ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ, რაც წუნდებული პროდუქციის მინიმალიზაციას და შრომის ეკონომიის წინაპირობაა.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ტრადიციული რეწვის სახელოსნოებისთვის გამოყოფილი საჯარო სივრცეების ნაკლებობა, მაგალითად ქვეყნის მასშტაბით ქალაქის თუ სოფლების ისტორიულ ნაწილში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმებთან და სხვა დაწესებულებებთან ამგვარი სივრცეების არ არსებობა, რაც თავის მხრივ, გაზრდიდა მათ ტურისტულ პოტენციალს.

## 9.8. პროდუქცია, დისტრიბუცია, ბაზარი, მომხმარებელი, გაყიდვები

საქართველოში ტრადიციულ რეწვის ბაზარზე არსებული პროდუქციის უმეტესობა განიცდის ინოვაციურობის, დღევანდელ ყოფასთან მისადაგების დეფიციტს.

ტრადიციულ რეწვაში არ მოქმედებს ხარისხის კონტროლის რაიმე გამართული მექანიზმი, რაც პროდუქციის ხარისხში მნიშვნელოვან განსხვავებებს იწვევს.

პროდუქცია მეტწილად ორიენტირებულია უცხოელ მყიდველზე, რაც ზღუდავს მომხმარებლის კატეგორიებს და იწვევს გაყიდვების სეზონურობას.

პროდუქციის მაღალი თვითღირებულება წარმოადგენს ტრადიციული რეწვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას.

საქართველოში ტრადიციულ რეწვას არ გააჩნია რაიმე სახის სადისტრიბუციო ქსელი, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს პროდუქციის მიმოქცევას.

დღეისათვის საქართველოში ტრადიციული რეწვის პროდუქციის უმეტესობას, როგორც წესი, არ გააჩნია საცალო შეფუთვა და მსოფლიოში მიღებული სტანდარტის მიხედვით შედგენილი თამხლები ინფორმაცია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია წარდგენა-ექპონირების საკითხი, რომელიც მარკეტინიგის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ ასპექტის არასათანადო აღქმას ვაწყდებით არა მხოლოდ ცალკეული ოსტატების, არამედ მაღაზიების, განსაკუთრებით კი სუვენირების სალონების უმეტეს შემთხვევაში, სადაც გარდა იმისა, არ არის პროდუქციის ხარისხის კონტროლი, ექსპოზიციაც სრულიად შემთხვევით, ქაოტურ ხასიათ ატარებს.

შეზღუდულია გაყიდვების არხები: ოსტატების 81.3% გაყიდვების 3 ან ნაკლებ არხს მიმართავს, ამათან მეტად გამოიყენება გაყიდვების პირდაპირი არხები, რაც ერთი მხრივ დისტრიბუციის ქსელის არ არსებობით და მეორე მხრივ სავაჭრო ობიექტებთან თანამშრომლობისთვის საგადასახადო სტატუსის საჭიროება განაპირობებს.

ტრადიციული რეწვის საქართველოს ექსპორტში გამოყოფა ვერ ხერხდება სასაქონლო კოდებში მისი გამიჯნვის შეუძლებლობის გამო.

არ არსობოს ტრადციიული რეწვის ექსპორტის განვითარების მიზანმიმართური პროგრამა. მართალია ოსტატების 5.8% აღნიშნავს, რომ ნამუშევრების რეალიზაციას ექსპორტის გზით ახორციელებს, მაგრამ, როგორც წესი ეს არასტაბილური და წყვეტილი პროცესია.

## 9.9. საგანმანათლებლო ბაზა, დაწესებულებები და მათი პრობლემები

ნიშვნელოვანია პრობლემაა ტრადიციული რეწვის ოსტატებსა და პროფესიულ წრეებს, მათ შორის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაწყვეტილი კონტაქტი.

აქვე უნდა აღინიშნოს სასკოლო პროგრამებშიც ოსტატების დასაქმებაც, თუმცა სამწუხაროდ ზოგიერთ შემთხვევაში პედაგოგების შერჩევისას არ არის გათვალისწინებული რეგიონში არსებული უფრო ღირებული ადამიანური რესურსების არსებობა, რაც, თავის მხრივ, საგანმანათლებლო და კულტურულ წრეებს შორის არაკოორდინირებული მოქმედების შედეგია.

ასევე აღსანიშნავია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ორიენტირებული [67], ან ტრადიციული რეწვის მიმართულების სახელმძღვანელოების არარსებობა.

[67] ამჟამად დამუშავების პროცესშია ICOMOS საქართველოს მიერ ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში შემუშავებული დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისთვის „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისტორიული ქალაქების დაცვა (შესავალი კურსი საშუალო და საბაზო კლასის მოსწავლეთათვის)“.

# 10. რეკომენდაციები

## 10.1. ორგანიზაციული სტრუქტურა

***სამთავრობო უწყებათშორისი თანამშრომლობა და საერთო სტრატეგია***

ტრადიციული რეწვის სექტორის განვითარებისთვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია აღნიშნული დარგის ერთი მხრივ, როგორც კულტურული ინდუსტრიების შემადგენელი ნაწილის, ხოლო მეორე მხრივ, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის დეკლარირება ქვეყნის კულტურის პოლიტიკაში, რაც შემდგომში სექტორის განვითარებაზე მიმართული სხვადასხვა ინიციატივების განხორციელების წინაპირობა იქნება. შემოქმედებითი ინდუსტრიების როლი ნათლად არის გაცხადებული დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდების, დანიის, შვედეთის, ფინეთის, საფრანგეთის და გერმანიის, იტალიის, პორტუგალიის, ლიტვის, ჩეხეთის, ბულგარეთის, ესტონეთის და ირლანდიის ეროვნულ პოლიტიკაში. [68] საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ მათი ეფექტური განხორციელების შედეგად არაერთი სამუშაო ადგილი შეიქმნა, მრავალი რეგიონი გამოცოცხლდა, გაიზარდა მათი ტურისტული მიმზიდველობა. გრძელვადიანი სტრატეგიის მიზანმიმართული განხორციელების შედეგად მაგ. დიდი ბრიტანეთის შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკური სექტორია. ჯერ კიდევ 2005 წლისთვის ამ სექტორში 1.3 მილიონი ადამიანი იყო დასაქმებული, მისი შემოსავალი კი 112,5 მილიარდი ფუნტი სტერლინგი იყო.

ტრადიციული რეწვის სექტორის განვითარებისთვის აუცილებელია სისტემური მიდგომა, რაც უპირველესად მდგომარეობს ***უწყებათაშორის თანამშრომლობის*** და საერთო პოლიტიკის არსებობაში. ეს მოიცავს ისეთ სახელმწიფო სტრუქტურებს, როგორიცაა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, განათლებისა და მეცნიერების, გარემოს დაცვის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ფინანსთა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროებსა და საპარლამენტო კომიტეტების, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა დაკავშირებული სახელმწიფო ორგანოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

შესაბამისად, საქართველოში განვითარებული ქვეყანების მსგავსად, კულტურის, ეკონომიკური და რეგიონალური განვითარების, საგამნათლებლო, სოციალურ, გარემოსდაცვით და სხვა სტარატეგიებში ტრადიციული რეწვის მხარდასაჭერი პოლიტიკის გატარება სექტორის კულტურული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პლატფორმად ქცევის წინაპირობა იქნება.

ტრადიციული რეწვის სექტორის მხარდაჭერის პოლიტიკის გასატარებლად აუცილებელია, როგორც სამინისტროებს შორის თანამშრომლობა ისე, მმართველობის სხვადასხვა დონეებს - ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს შორის მჭიდრო კავშირი.

აღნიშნულის განსახორციელებლად სასურველია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების თანამშრომლობით შეიქმნას ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი რომელიც, საერთაშორისო პრაქტიკასა და კონვენციების მოთხოვნების შესაბამისად, შეიმუშავებს საქართველოში ტრადიციული რეწვის განვითარების სახელმწიფო სტარტეგიას.

[68] The entrepreneurial dimension of the cultural and creative industries, Utrecht School of Arts K2M ltd, Eurokleis S.r.L, For the Education & Culture DG of the EC, November 2011., p. 51

სახელმწიფო დონეზე აუცილებელია ***მდგრადობის გაძლიერება***, ტრადიციული რეწვის და ზოგადად არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძირითადი რგოლებისთვის, რაც გამოიხატება როგორც ადამიანურის რესურსების, ასევე ამ სფეროს დაფინანსების გაზრდაში

სექტორის განვითარებაზე მიმართული საერთო სტრატეგიის პარალელურად და შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად აუცილებელია ***კონკრეტული პროგრამების შემუშავება*** და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს დარგის სხვადასხვა სფეროში გამოვლენილი პრობლემების დაძლევას, მაგ. ტრადიციული რეწვის ოსტატებისათვის სტატუსის მინიჭებისა და წახალისების სტრატეგიების შემუშავება; ასევე საგანამათლებო, საპოპულარიზაციო და სხვა აქტივობები.

სასურველი იქნებოდა აღნიშნული პროგრამების და სახელწიფო გრანტების გაცემის პრეროგატივა მიეკუთვნოს ტრადიციული რეწვის თემატიკაზე მომუშავე რომელიმე არსებული სიპს, რაც უზრუნველყოფდა ამ ქმედებების მიზანმიმართულობასა და უკეთეს კოორდინაციას.

***ტრადიციული რეწვის და ზოგადად კულტურის სტატისტიკისა წარმოების გაუმჯობესება, ტრადიციული რეწვის*** სექტორის ტენდენციებისა და საჭიროებებზე დაყრდნობით პრიორიტეტების განსაზღვრისთვის აუცილებელია ტრადიციული რეწვის მაჩვენებლების სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების არსებულ სისტემაში ინტეგრაცია და რეგულარული გამოქვეყნება; ამავდროულად, აუცილებელია პერიოდულად განხორციელდეს მიმზანმიმართული კვლევები, რათა შეფასდეს სექტორის მასშტაბები და დინამიკა. ასევე გამოიკვეთოს საქართველოს ნიშა საერთაშორისო ბაზარზე.

კერძოდ, ტრადიციული რეწვის სექტორის სტატისტიკის წარმოებისთვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის:

- ✓ სხვადასხვა ქვეყანა რეგულარულად აქვეყნებს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების სტატისტიკის ანგარიშებს (მაგ. ავსტრალია, ჩინეთი, ჩეხეთი, საფრანგეთი, გერმანია, ინდოეთი, ახალი ზელანდია, ტაილანდი, დიდი ბრიტანეთი). შესაბამისად, სასურველია საქართველომ გაიზიაროს რომელიმე მიღებული სტატისტიკური მოდელი და დანერგოს აღნიშნული პრაქტიკა. ტრადიციული რეწვა სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილია და საერთაშორისო კლასიფიკაციებში (ISIC და ISCO) საგანგებოდ არის იდენტიფიცირებული.
- ✓ **ISIC NIACE** კლასიფიკაციებზე დაყრდნობით საქსტატმა უნდა შეიმუშავოს და მოაგროვოს ტრადიციული რეწვის წარმოებასთან დაკავშირებული რეგულარული, თუნდაც ძალზე შეზღუდული რაოდენობის მონაცემი. მაგ. საიუველირო ნაწარმის წარმოება.
- ✓ საქსტატმა საგანგებოდ უნდა გამოყოს რეწვის საკითხი და მისი წილი შინამეურნეობის ინტეგრირებულ კვლევებში. ეს მოითხოვს მცირე ცვლილებებს უკვე არსებული კითხვარებში და არ საჭიროებს დამატებით კითხვების ჩართვას კვლევაში.
- ✓ ***საქსტატის*** მხრიდან ტრადიციული რეწვის სექტორთან დაკავშირებული დამატებითი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისათვის რესურსების არარსებობის შემთხვევაში, აუცილებელია არსებობდეს ტექნიკურად უზრუნველყოფილი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც სფეროს კვლევას აწარმოებენ. ეს რეწვის სექტორის სტატისტიკას შესაბამისობაში მოიყვანს საქსტატის მეთოდოლოგიასთან;
- ✓ საქსტატმა უნდა გაითვალისწინოს ევროკავშირის მოდელის მიხედვით ყოველ 2-3 წელიწადში ჩატარებული "კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის" კვლევა, და კულტურული აქტივობების უფრო ფართო სპექტრი მოიცვას. გარდა კონცერტების, გამოფენების, სპექტაკლებზე დასწრების შესახებ მონაცემებისა, კვლევა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კულტურული საქონლის (ხელოვნების ნიმუშები, რეწვა, წიგნები) მოხმარების, მფლობელობის და შეძენის შესახებ;[69]

[69] საიმონ ელისი, სამხრეთ კავკასიის ტრადიციული რეწვა, თბილისის რეგიონალური შეხვედრის ანგარიში და რეკომენდაციები (29.11.1012-1.12.2012)

<u>კულტურული ინდუსტრიების დამფინანსებელი *ფონდების შექმნა მნიშვნელოვნად*</u> გაამყარებს ტრადიციული რეწვის და ზოგადად კულტურული ინდუსტრიების ინსტიტუციურ ბაზას. აღნიშნულ სფეროში ევროპაში მოქმედებს 3 ტიპის ფონდები[70].

- დამოუკიდებელი და საზოგადოებრივი ფონდები, რომელთა მნიშვნელობა და რაოდენობა განუხრელად იზრდება, ეს ფონდები დაფინანსებას გასცემენ ინდივიდუალური გრანტების, საგრანტო პროექტების, შემოწირულობების In-kind შენატანის სახით. მათი მხარდაჭერა ვრცელდება კულტურის კონკრეტულ დარგებზე; ძირითადად (60%) აფინანსებენ ეროვნულ პროექტებს.
- კორპორატიული ფონდები, რომლებიც იქმებიან კომპანიების მიერ და მთლიანად დამოკიდებული არიან დაფუძნებლის დაფინანსებაზე. მათ, როგორც წესი განსხვავებული მიზნები, ინტერეის სფეროები სახელმძღვანელო პრინციპები აქვთ.
- სახელმწიფო დაფინანსების მქონე ფონდები ჩვეულებრივ სახელმწიფო სუბსიდიებს იღებენ. მართალია დღეს ევროპაში ბევრი სახელმწიფო ფონდი გადაკეთდა კერძო ფონდად, მაგრამ ისინი დღესაც სახლმწიფოს დიდ ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ, თუმცა აქვთ შესაძლებლობა მიიღონ საგადასახადო შედავათები, კერძო შემოწირულობები და ა.შ.

საქართველოს შემთხვევაში სასურველი იქნებოდა დამოუკიდებელი ფონდის არსებობა, რომელსაც ექნებოდა სახელმწიფო დაფინანსება და, ამავე დროს, მოიძიებდა დამატებით სახსრებს სხვა წყაროებიდან. შედეგად ის შეძლებდა კულტურის დაფინანსებისთვის არსებული სახსრების მობილიზაციას, კულტურის დაფინანსების კოორდინაციას და მონიტორინგს.

***<u>საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციისა და დარგობრივი პროფესიული კავშირების ჩამოყალიბება</u>***

ტრადიციული რეწვის არასამთავრობო სექტორის გასაძლიერებლად აუცილებელია "საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის" ჩამოყალბება. წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ინდივიდუალური მწარმოებელთა და ორგანიზაციათა 85%-მა გამოთქვა მსგავსი ასოციაციის წევრობის სურვილი.

საერთაშორისო პრაქტიკაში არაერთ მაგალითის ვხვდებით, როდესაც ტრადიციული რეწვისა და ხელოსნობის ასოციაციების, გილდიებისა და სხვა ტიპის კავშირები ეფექტურად ფუნქციონირებენ და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სექტორის განვითარებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია დიდი ბრიტანეთი, სადაც შექმნილია ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა "ტრადიციული რეწვის ასოციაცია"[71], "ტრადიციული რეწვის საბჭო"[72] და მრავალი დარგობრივი და რეგიონალური პრინციპით გაერთიანებული ამქარი[73], რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით იღწვიან სექტორის განვითარებისთვის.

"საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის" შექმნა აუცილებელია, რათა ორგანიზაციამ მიზანმიმართულად და ეფექტურად იმუშაოს სექტორის შემდგომი განვითარებისთვის, განახორციელოს ისეთი აქტივობები, როგორიცაა:

- სექტორის ინიციატივების კოორდინაცია;
- რეწვის ოსტატებს, ორგანიზაციებს და შუალედურ რგოლებს შორის (მასალის მომწოდებლები, დისტრობიცია, მყიდველი) თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- რეწვის პროდუქციის განვითარების ხელშეწყობა და სექტორს ბიზნეს უნარების ამაღლება;
- სექტორის განვითარების სტრატეგიების შემუშავება და შემდგომი ადვოკატირება;
- ტრადიციული რეწვის ოსტატებისა და პროდუქციის პოპულარიზაცია;
- ტრადიციული რეწვის პროდუქციის მარკეტინგის და ექსპორტის ხელშეწყობა;

[70] European parliameny, Finanansing the Arts and Culture in the EU, Brussels, 2006. p 38
[71] Heritage Crafts Association, www.heritagecrafts.org.uk
[72] Crafts Council, http://www.craftscouncil.org.uk/
[73] British Artist Blacksmiths Association, www.baba.org.uk ; British Ceramics Biennial, www.britishceramicsbiennial.com; British Violin Making Association, www.bvma.org.uk ;Craft Guilds, www.craftanddesign.net/guilds

- პროფესიული კონსულტაცია (პროდუქციის განვითარების, ბრენდინგის, თანხების მოძიების, იურიდიული, ეკონომიკური და სხვა საკითხების მიმართულებით)
- მიზანმიმართული კვლევევის განხორციელება;

"საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის" ეფექტური ფუნქციონირებისთვის ასევე სასურველია შეიქმნას ასოციაციის რეგიონული საკოორდინაციო ერთეულები, რომლებიც შესაძლოა დაარსდეს როგორც საქართველოს რეგიონებში მოქმედი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების.

დარგის კომერციული ბაზის გაუმჯობესების მიზნით სასურველი იქნებოდა ***ტრადიციული რეწვის კომერციული ცენტრის*** შექმნა (Crafts Trade Center), რომელიც იმუშავებდა როგორც პროდუქციის, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის განვითარებაზე

## 10.2.ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲐ

***ტრადიციული რეწვა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა***

საქართველოს სამართლებრივ სივრცეში პირველადი აუცილებლობის საკითხს ტრადიციული რეწვის სფეროს იდენტიცირების საკითხი წარმოადგენს. ვინაიდან ტრადიციული რეწვა მოიაზრება, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, აღნიშნული სექტორის რეგულირება მჭიდრო კავშირშია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკანონმდებლო ბაზასთან.

საქართველო "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია" 2007 წელს მიუერთდა, რითიც სახელმწიფომ აღიარა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა და იკისრა კონვენციით გავთვალისწინებული ვალდებულებები. თუმცა ამჟამად საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის სფეროს და შესაბამისად ტრადიციული რეწვის სფეროს რეგულირება ხდება "კულტურული მემკვიდრეობის კანონით", რომელშიც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა მხოლოდ ზოგადი ჩანაწერის სახით არის შეტანილი და არ ითვალისწინებს აკმ სპეციფიკას, რაც სასწრაფო საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს. საერთაშორისო პრაქტკაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საკანონმდებლო რეგულირების ორ ძირითადად მოდელს ვხვდებით: 1. როდესაც ეს სფერო რეგულირდება დამოუკიდებელი კანონით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" შესახებ (მაგ. ჩინეთი, ლატვია, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა და სხვა); 2. როდესაც არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები კულტურული მემკვიდრეობის კანონშია ინტეგრირებული (მაგალითად ბულგარეთი, ალჟირი, ბელორუსია, ყაზახეთი, ვიეტნამი და სხვა).

ვფიქრობთ, საქართველოს შემთხვევაში სასურველი იქნებოდა პირველი მოდელის გამოყენება და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონის ცალკე ჩამოყალიბება [74] .

[74] 2013 წელს საქართველოს ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და "კულტურის და მენეჯმენტის ლაბორატორიისა" და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეიქმნა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კანონპროექტი. აღნიშნული კანონპროექტის სამუშაო ჯგუფის წევრი იყო ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის თანამშრომელი და აღნიშნული კვლევის თანაავტორი ანა შანშიაშვილი, რამაც, თავის მხრივ, საშუალება შექმნა კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების კანონპროექტში ინტეგრირებისა. მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მექანიზმების განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე, (თუ პირველი დაცვაში მეტწილად გულისხმობს აღმკვეთ ღონისძიებებს, მეორე შემთხვევაში ძირითადი დაცვის მექანიზმი განათლების სტიმულირებასა და სხვა ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებაში მდგომარეობს), კანონპროექტი ითვალისწინებს "კულტურული მემკვიდრეობის კანონში" ცვლილებას და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კანონის ცალკე გამოყოფას. ამჟამად, მიმდინარეობს კანონის სამუშაო ვერსიის განხილვა სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებთან.

კანონში დაფიქსირებული და განმარტებული უნდა იყოს ტერმინები „ტრადიციული რეწვა“, და სხვა, რომლებიც სფეროს მკაცრი განსაზღვის საფუძველს შექმნიან. აქვე უნდა იყოს განსაზღვრული ტრადიციული რეწვის სფეროსთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, იურიდიული რეგულაციები და მექანიზმები, (რაც კონვენციებში დეკლარირებული მიზნების მისაღწევად უნდა შეიქმნას)

***აუცილებელია შემუშავდეს "საფრთხის ქვეშ მყოფი აკმ-ს" სტატუსი,*** რაც შემდგომში მათი შენარჩუნებაზე მიმართული სპეციალური პროგრამების განხორციელების წინაპირობა უნდა იყოს.

ამავდროულად დასახვეწია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააღრიცხვო ბარათის ფორმა და ძეგლის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმები, რომელიც აკმ-ს სპეციფიკის გათვალიწინებით უნდა ადაპტირდეს.

***"ცოცხალი საგანძური"-ს პროგრამის ინიცირება და რეწვის ოსტატებისთვის სტატუსის მინიჭება***

ტრადიციული რეწვის ოსტატების ხელშეწყობისთვის, პოპულარიზაციისა და საზოგადოებაში მათი როლის ასამაღლებლად აუცილებელია საქართველო, როგორც კონვენციის ხელმომწერი ქვეყანა ასევე შეუერთდეს იუნესკოს ინიციატივას „ადამიანი - ცოცხალი საგანძურია", რომელიც ვიეტნამის ინიციატივით დაარსდა და 1993 წლიდან მოქმედებს.[75] 14 წლის შემდეგ მას 6 ქვეყანა შეუერთდა: ფილიპინები, ტაილანდი, რუმინეთი, საფრანგეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი. პროგრამა ითვალისწინებს აკმ-ს განსაკუთრებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით გამოირჩეული მატარებლების აღიარებით და საზოგადოებაში მათი როლის ამაღლებით აკმ-ს ელემენტების თაობიდან თაობაზე გადაცემის უზრუნველყოფას.

ცოცხალ საგანძურად მოიაზრება აკმ-ს მატარებელი, რომელიც ცოდნის ან შესრულების უმაღლესი ოსტატობით გამოირჩევა, რაც ამ ტრადიციის გადაცემისთვის და შემდგომი სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელი პირობაა. სახელმწიფოებმა ისინი აღიარეს, როგორც ცოცხალი აკმ-ს ტრადიციების განსაკუთრებული მატარებლები. ასეთი ნუსხების შექმნის მიზანია იმ ცოდნის, უნარ-ჩვევების შენარჩუნება, მათ გადაცემისათვის ხელშეწყობა, რომელსაც ცოცხალი მატარებლები ფლობენ. პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად, აღნიშნული სახელმწიფოები საკანონმდებლო დონეზე ქმნიან დაცვის სახელმწიფო მექანიზმებს.

ყოველი ქვეყანა იუნესკოს „ცოცხალი საგანძურის" კონცეფციის შესაბამისად, თავად ადგენს ამ წოდების სახელს, საფრანგეთში მას „ხელოვნების ოსტატი" ეწოდება, ჩეხეთში - „ხელოსნომის ტრადიციების მატარებელი", კორეაში - „ეროვნული ცოცხალი საგანძური" და ა.შ.

საზოგადეობრივი სტატუსის ამაღლების პარალელურად ამ წოდების მთავარი არსი აკმ-ს ტრადიციების გადაცემის ხელშეწყობაა. ამდენად, "ცოცხალი საგანძურის" სტატუსი ფინანსური ხელშეწყობის მექანიზმსაც წარმოადგენს, რასაც ყოველი ქვეყანა თავად განსაზღვრავს, იქნება ეს ერთჯერადი პრემია, სტიპენდია, თუ გარკვეული საგადასახადო შეღავათები.[76]

აღნიშნული პროგრამის საკანონმდებლო დონეზე (არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კანონში ინტეგრაცია) ინიცირება საქართველოში ერთი მხრივ, არსებითი დახმარება იქნება დამსახურებული ოსტატებისთვის, მეორე მხრივ კი ახალგაზრდა თაობისთვის ტრადიციების გადაცემის და მათი წახალისების მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

***ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული შეღავათები***

სასურველია, გათვალისწინებული იყოს ტრადიციული რეწვის სფეროში მომუშვე ოსტატების მიერ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა გარკვეული შეღავათებითა და

[75] **Guidelines for the Establishment of National "Living Human Treasures" Systems,** http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/FIELD/Apia/pdf/00031-EN.pdf

[76] **Guidelines for the Establishment of National "Living Human Treasures" Systems,** http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/FIELD/Apia/pdf/00031-EN.pdf. გვ.9

სპეციალური ნებართვების გარეშე. ისევე, როგორც **"ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის"** მე7 მუხლში ეს შედავათი დაწესებულია ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას მიმართებაში;

***<u>მატერიალური ძეგლების ობიექტების ასლების დამზადებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხები</u>***

აუცილებელია მატერიალური ძეგლების ობიექტების ასლების დამზადების საკითხები განსაზღვრა, როგორც "კულტურული მემკვიდრეობის", ისე "საქართველოს მუზეუმების კანონში";

***<u>ცვლილება საქართველოდან კულტურულ ფასეულობათა გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ საქართველოს კანონში</u>***

აუცილებელია ცვლილებები შევიდეს ***საქართველოდან კულტურულ ფასეულობათა გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ საქართველოს კანონშიც, სადაც უნდა შემოშავდეს*** ზუსტი განსაზღვრება "ეთნოგრაფიული მასალისა", რომლის ქვეყნიდან გატანაც სპეციალური ნებართვის საჭიროებს და "სუვენირებისა", რომელთა ქვეყნიდან გატანაც არ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას.

***<u>ტრადიციული რეწვის სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა</u>***

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობაში არა არის მკვეთრად განსაზღვრული ტრადიციული რეწვის სამეწარმეო სტატუსი, ვინაიდან, მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, სახელოვნებო საქმიანობა არ ითვლება სამეწარმეო საქმიანობად. უპირველეს ყოვლისა აუცილებელია კანონში ტერმინის "სახელოვნებო საქმიანობის" დაზუსტება და საქმიანობების მკაცრი განსაზღვრა, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ მიზანს ტრადიციული რეწვის ეკონომიკური შესაძლებლობების, სექტორის როგორც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი პერსპექტიული დარგის წარმოჩენა წარმოადგენს, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ამ ჩამონათვალში ტრადიციული რეწვის შეტანა.. მეტად უპრიანი იქნებოდა ტრადიციული რეწვის სამეწარმეო საქმიანობის წახალისების და ბიზნესის ხელშეწყობის სქემების შემუშავება.

სფეროს სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სასურველი იქნებოდა საგადასახადო კოდექსში არსებული შედავათი დღგ-გან გათავისუფლებას ჩათვლის უფლების გარეშე, რომელიც სხვა შემთხვევების გარდა ვრცელდება ასევე "პირის მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ან/და საკულტო-რელიგიური დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულებაზე;" [77] ფორმულირება შეიცვალოს იმგავრადა, რომ სიაში მოხვდეს საფრთხის ქვეშ მყოფი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლას, აღდგენასა და, პრაქტიკირებასთან დაკავშირებული საქმიანობა.

ასევე მიზანშეწონილი იქნებოდა ევროკავშირის ბოლოდროინდელი ინიციატივის გაზიარება, რომელიც შეეხება შრომატევადი შემოქმედებითი მომსახურების და პროდუქციის, მათ შორის ხელოვნების, კულტურული მემკვიდრეობის და ა.შ. სფეროებში დღგ შერავათიანი რეჟიმების დაწესებას[78].

სასურველი იქნებოდა საგადასახადო კოდექსში მაგ. ტურიზმზე დაწესებული შედავათების (მოგებისგან გათავისუფლების შემთხვევები [79] ) მაგალითის საფუძველზე ტრადიციული რეწვისთვის შედავათების სისტემის შემუშავება.

ასევე აუცილებელია შეიცვალოს და საქართველოში გავრცელებული ფუნქციური და ტექნოლოგიური ჯგუფების სპეციფიკის მიხედვით დაიხვეწოს საქართველოს მთავრობის 2010

[77] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 168
[78] Utrecht School of the Arts with K2M ltd and Eurokleis S.r.l., The entrepreneurial dimension of the cultural and creative industries. 2011 p.120
[79] საგადასახადო კოდექსი. მუხლი 99

წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებაში არსებული ჩამონათვალი[80], რომელიც განსაზღვრავს იმ საქმიანობებს, რომლებიც თავისუფლდება დაწესებული 30.000 ლარის ზედა ზღვარისგან[81].

ტრადიციული რეწვის და ზოგადად სახელოვნებო სექტორისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს დღგ-თი დასაბეგრი მიწოდების წლიური ბრუნვის განსაზღვრის მეთოდის ცვლილება. მნიშვნელოვნია როგორც წესი, ამჟამად სახელოვნებო გალეერეებში ნამუშევრების რეალიზების სქემა შემდეგია: სახელოვნებო გალეერეებსა და ავტორებს შორის ფორმდება ე.წ. „დავალების ხელშეკრულება“, რომლის ძალითაც ავტორი/მესაკუთრე „მარწმუნებლად“ გამოდის ხოლო გალერეა „რწმუნებულად“. ამ ხელშეკრულების თანახმად, სარეალიზაციო ობიექტის საკუთრების უფლება უცვლელი რჩება, და გალერეა მხოლოდ „რეალიზატორის“ სტატუსში მონაწილეობს, მისი შემოსავალი კი გაწეული მომსახურების ანაზღაურებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, რეალიზაციისას სრულ ანგარიშსწორებას მყიდველთან ახდენს გალერეა და ობიექტის სრული ღირებულება, ფორმალურად გალერეის შემოსავალში აისახება. შემდგომ, მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გალერეა ახდენს მასთან ანგარიშსწორებას შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად (როგორც წესი სარეალიზაციო თანხის 70%-ის ოდენობით). აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ანგარიშსწორება იბეგრება, იმ შემთხვევაში თუ ავტორი/მესაკუთრე ფიზიკური პირია და სამეწარმეო სუბიექტად რეგისტრირებული არ არის, ის იბეგრება გალერეის მიერ საშემოსავლო გადასახადით - 20%-ით, ხოლო თუკი ავტორი/მესაკუთრე რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტია, ის სათანადო წესით თვითონ ბეგრავს მიღებულ შემოსავალს.

გალერეის შემოსავალი აღნიშნული მიწოდებიდან, რეალურად შედგება სრული სარეალიზაციო თანხის დარჩენილი ნაწილისაგანს (როგორც წესი 30%), და ეს თანხა სრულად იბეგრება შესაბამისი გადასახადებით, მათ შორის მოგების გადასახადით. გალერეის ფინანსურ ბრუნვაზე აისახება მხოლოდ მისი შემოსავალი, როგოც მის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება.

მნიშვნელოვანია, რომ დღგ-ს წლიური ბრუნვის ზღვრების დადგენისას განიხილება სრული თანხა და არა მხოლოდ ის ოდენობა, რომელიც გალერეის შემოსავალს წარმოადგენს. შესაბამისად დღგ-თი დასაბეგრი მიწოდება მოიცავს იმ თანხასაც (70%), რომელიც ავტორმა/მესაკუთრემ მიიღო და რომელიც უკვე სრულად არის დაბეგრილი.

მიზანშეწონილია, რომ დღგ-თი დასაბეგრი მიწოდების წლიური ბრუნვის გამოთვლისას გათვალისწინებული იყოს მხოლოდ გალერეის შემოსავლის ნაწილი, სრული რეალიზებული თანხის 30%, რაც რეალურად ასახავს გალერეის ფინანსურ ბრუნვას.

პირდაპირი შეღავათების გარდა მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობაში დასავლეთში შემოქმედებითი ინდუსტრიების სხვადასხვა დარგებში დაფინანსების მოძიების წახალისებითვის აპრობირებული სისტემების დანერგვა, რაც შემოწირულობებსა და სფეროს დაფინანსებაზე გადასახადების განსაკუთრებული დაბეგვრის რეჟიმებს გულისხმობს. მაგალითად ბელგიაში კინემატოგრაფიაში ინვესტიციების სტიმულირებისთვის დაწესებულია მოგების გადასახადის შეღავათები ინვესტირებული თანხის 150%-ის ოდენობეით (მაქს. 750000 ევრო), ჰოლანდიაში გადასახადებზე 1.3%-იანი შეღავათი დაწესებულია კერძო პირების ინვესტიციებზე კულტურის ან კულტურაში სამეწარმეო საქმიანობის დამფინანსებელი ფონდებში, ირლადიაში არსებობს შეღავათების ორი სქემა SCS და BES მათთვის ვინც აკეთებს ინვესტირებას განსაზღვრულ ირლანდიურ კომპანიებში და ა.შ.[82]

---

[80] “პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება; ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა; საცვლების წარმოება; თავსაბურავების წარმოება; დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება; ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება; ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება; ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების წარმოება; ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება; სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლისა და ინვენტარის წარმოება; მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება; აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის, ტუჩის გარმონიკების წარმოება; სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება; ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება; ...; ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი;

[81] მთავრობის დადგენილება #415, 2010 წლის 29 დეკემბერი

[82] KEA. Promoting Investment in the Cultural and Creative Sector: Financing Needs, Trends and Opportunities. 2010. p.47

კულტურის დაფინანსებაში ლატარიის ფონდების მოზიდვის მიზნისთ სასურველი იქნებოდა საქართველოს ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ კანონით განისაზღვროს კულტურის დაფინანსებაში შესატანი მოგების პროცენტის ოდენობა. ევროპის ქვეყნებში კულტურის დაფინანსების აღნიშნული წყარო სულ უფრო პოპულარული ხდება. მაგალითად 2000 წელს დანიაში ლატარიიდან მიღებული დაფინანსება სახელმწიფო დაფინანსების 16.77%-ს შეადგენდა, დიდ ბრიტანეთში 37.62%, ფინეთში 71.38%.[83]

## 10.3. პროდუქციის განვითარება

როგორც აღინიშნა საქართველოში ტრადიციულ რეწვის ბაზარზე არსებული პროდუქციის უმეტესობა განიცდის ინოვაციურობის, დღევანდელ ყოფასთან მისადაგების დეფიციტს.

საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ ტრადიციული რეწვის პროდუქციის წარმატებული მარკეტინგისთვის აუცილებელია ნაწარმის მუდმივი განვითარება მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად.

პროდუქციის განვითარება ძირითადად მოიცავს პროდუქციის შემადგენელი სხვადასხვა ელემენტის დივერსიფიკაციას, კერძოდ:

- ✓ **ფუნქციონალურ დივერსიფიკაციას**, რაც, მოიცავს როგორც ფუნქციური კატეგორიების გამრავალფეროვნებას, "სუვენირულიდან" მეტი აქცენტის გამოყენებით ფუნქციაზე გადატანას, ისე თანამედროვე ცხოვრების სტილთან შესაბამისი ახალი ფუნქციების შემოტანას და არსებულ კატეგორიებში ფუნქციის შესაბამისი დეტალების ინტეგრირებას (მაგ. ჩანთის შემთხვევაში სარჩული, სახელური, შიდა ჯიბე, შესაკრავი). როგორც მარკეტინგული კვლევები მოწმობს, დღეისათვის ბაზარზე გაყიდვადობას მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის არა საცალო, არამედ "**კოლექციებად**", "**ნაკრებებად**" განვითარება [84] . ფუნქციური დივერსიფიკაცია შესაძლოა განხორციელდეს ერთი ფუნქციური კატეგორიის ფარგლებში პროდუქციის ტიპოლოგიის გამრავალფეროვნების გზით (მაგ. დანები: სამზარეულოს დანების ნაკრები, საკანცელარიო დანები, მონადირის დანები, სუფრის დანები, მოგზაურის დასაკეცი დანა და სხვა). ასევე გარკვეული ნიშნით გაერთიანებული პროდუქციის ახალი ხაზის შექმნის გზით (მაგ. სუფრის აქსესუარები, სამუზეუმო ასლები და სხვა).
- ✓ **ტექნოლოგიურ დივერსიფიკაციას**, რაც გულისხმობს ახალი ხელსაწყოების, მასალების გამოყენებას, ტექნიკური საშუალებების გაუმჯობესებას, ტექნოლოგიურ პროცესის დახვეწას, რაც, თავის მხრივ, იწვევს წარმადობის ზრდას, დროისა და შრომის ეკონომიას და ზოგიერთ შემთხვევაში წუნდებული პროდუქციის შემცირებასა და ხარისხის გაუმჯობესებასაც. თუმცა, ტექნოლოგიური პროცესის მოდიფიკაციისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პრინციპი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს "ხელნაკეთობის" კონცეფციას და არ უნდა წარმოადგენდეს ძალიან უხეშ ჩარევას ტრადიციულ ტექნოლოგიურ პროცესში.
- ✓ **დიზაინის დივერსიფიკაციას,** რაც მოიცავს როგორც მივიწყებული ტრადიციული ფორმების, ორნამენტების, ფერადოვანი გამის, მასალის მოძიებას, აღორძინება და ახლებური კომბინაციას, ისე ტრადიციული ფორმებისა ორნამენტების, და თანამედროვე ფორმების, ფერადოვანი გამისა და მასალის ახლებურ კომბინაციას.
- ✓ **ზომების დივერსიფიკაციას,** რაც უნდა ითვალისწინებდეს მომხმარებლის კატეგორიებს და ზომების არსებულ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს (წინდები, სამოსი, სამკაული, აქსესუარები, სუფრები, ბალიშისპირები და სხვა).

[83] European parliameny, Finanansing the Arts and Culture in the EU, Brussels, 2006. p 88
[84] Lyn Nelson, GACC artisan Competition, Tbilisi, Georgia, June 2013, pp. 7

- ✓ **ფასის დივერსიფიკაციას**, რაც გულისხმობს პროდუქციის ფასის სხვადასხვა მომხმარებლების კატეგორიის მიხედვით განსაზღვრაში და ფასის კატეგორიებში მეტი არჩევანის შემოტანაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოტენციური მომხმარებლის კატეგორიის, მათი მოტივაციისა და ფასის მოლოდინის განსაზღვრა და მხოლოდ ამის შემდგომ ნაწარმის თვითღირებულების (პირდაპირი და ირიბი ხარჯების) და მოგების გათვალიწინებით პროდუქციის გასაყიდი ფასის განსაზღვრა და მისი მიზანშეწონილობის ანალიზი. აუცილებელია განისაზღვროს კონკურენტუნარიანი ფასები, რომლებიც შეესაბამება პროდუქციის ხარისხს და დიზაინს.

აღნიშნული ელემენტების დივერსიფიკაცია მეტ შესაძლებლობას შექმნის საქართველოს ბაზარზე არსებული რეწვის პროდუქციის ბრენდირებისთვის და როგორც ადგილობრივად ისე საერთაშორისო ბაზარზე მარკეტინგისთვის.

***<u>ხარისხი</u>***

როგორც აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა ტრადიციულ რეწვაში არ მოქმედებს ხარისხის კონტროლის რაიმე გამართული მექანიზმი, რაც პროდუქციის ხარისხში მნიშვნელოვან განსხვავებებს იწვევს.

მნიშვნელოვანია, რომ "საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციასთან" ერთად შემუშავდეს ხარისხის სტანდარტები, რომელიც გათვალისწინებული იქნება სარეალიზაციო ობიექტების მიერ. მსგავს პრაქტიკას ვხვდებით მაგ. დიდი ბრიტანეთში, სადაც რეწვის საბჭომ შეიმუშავა ხარისხის კონტროლის სტანდარტები, რომლის მეშვეობითაც ხდება პროდუქციის განვითარება და გაუმჯობესება.[85]

პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებლად გასათვალსიწინებელია ის ელემენტები, რომლებიც პროდუქციის საბოლოო ხარისხს განსაზღვრავს:

- **<u>გამოყენებული მასალის ხარისხი</u>**, რაც მოიცავს როგორც მასალის გამძლეობას, ფაქტურას, ისე ჯანმრთელობისთვის საზიანო მასალების ამოღებას გამოყენებიდან. ასევე სინთეტიკური, ქიმიური მასალების ბუნებრივით ჩანაცვლებას.
- **შესრულების ხარისხი**, რაც გულისხმობს ხელნაკეთობის ოსტატობის ხარისხს.
- **საბოლოო დამუშავების ხარისხი**, რაც მოიცავს ნაკეთობის საბოლოო დამუშავების ხარისხს, როგორიცაა ზედაპირის, კიდეების დამუშავება, ფუნციური ელემენტების (შესაკრავების, სარჩულის და სხვა) ხარისხს.

## 10.4.შეფუთვა და წარდგენა

დღეისათვის საქართველოში ტრადიციული რეწვის პროდუქციის უმეტესობას, როგორც წესი, არ გააჩნია საცალო შეფუთვა და მსოფლიოში მიღებული სტანდარტის მიხედვით შედგენილი თამხლები ინფორმაცია, რომელიც სპეციალური შეფუთვა მიმზიდველს ხდის პროდუქციას და უზრუნველყოფს მის უსაფრთხო ტრასპორტურებას ზრის მის გაყიდვადობას.

ტრადიციული რეწვის პროდუქციის განვითარებისას აუცილებელია შეიქნას:

- ✓ **<u>შეფუთვა ტრანსპორტირებისთვის,</u>** ფიზიკური დაზიანების, წყლის, ტენის, მტვრისა და ჭუჭყისგან დაცვისთვის.
- ✓ **<u>საცალო შეფუთვა,</u>** რომელიც ზრდის პროდუქციის პრეზენტაბელურობას და ბრედნდინგის მნიშვნელოვანი ნაწილია. საცალო შეფუთვისას გასათვალისწინებელია როგორც შეფუთვის დიზაინი, ისე ხარჯების მიზანშეწონილობა. გარემოს დაცვის ორგანიზაციების მოთხოვნით დღესდღეობით საერთაშორისო ბაზარზე განსაკუთრებით პოპულარულია შესაფუთ მასალად მეორადი ნედლეულის: ქაღალდის, მუყაოს თუ სხვა მასალის გამოყენება.

[85] http://www.craftcouncil.nl.ca/membership/standards-info/

პროდუქციის განვითარების უმნიშვნელოვანესი ნაწილია **ტრადიციული რეწვის ნაწარმის თანმხლები ინფორმაციის შექმნა,** რომელიც მომხმარებელს მიაწვდის ინფორმაციას პროდუქციის კულტურული კონტექსტის, ისტორიის და მწარმოებლის შესახებ, ასევე მისი დამზადების ადგილის, მასალის და მოხმარების წესების შესახებ. თანმხლები ინფორმაციის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება, როდესაც მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის შუალედური რგოლი ერთვება, რაც ხშირად პროდუქტის შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაკარგვას იწვევს. თანაედროვე მყიდველი სულ უფრო მეტად ინტერესდება იმით თუ როგორ კეთდება ნივთი, ვინ დაამზადა, რა პირობებში და რა დამატებით დადებითი სოციალური და ეკოლოგიური დატვირთვა აქვს მას.

თანამედროვე სტანდარტების მიხედვით ტრადიციული რეწვის პროდუქციის თანმხლები ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:

(ა) პროდუქციის ფუნქციის, ისტორიულ-კულტურული კონტექსტის აღწერა-დახასიათებას;

(ბ) პროდუქტის მასალის/ზომის დახასიათებას; (საღებავები, დამღები ძვირფასი ლითონები: ოქრო და ვერცხლი ა.შ)

(ც) მოხმარების წესის შესახებ ინფორმაციას (გარეცხვის, გაშრობის და გაუთავების ინსტრუქციები);

(დ) საინფორმაციო იარლიყი პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (სათამაშოები, საღებავები, ქიმიკატები...); ხანძრის დროს რისკი,

(ე) ავტორის/ორგანიზაციის სახელს,საკონტაქტო ინფორმაციას და დამზადების ქვეყნის მინიშნებას.

სათანადოდ მიწოდებული ინფორმაცის პროდუქციის ისტრიულ-კულტურული კონტექსტის, მასალების თუ მწარმოებლის შესახებ მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის ღირებულებას მომხმარებლის თვალში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია წარდგენა-ექპონირების საკითხი, რომელიც მარკეტინიგის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ ასპექტის არასათანადო აღქმას ვაწყდებით არა მხოლოდ ცალკეული ოსტატების, არამედ მაღაზიების, განსაკუთრებით კი სუვენირების სალონების შემთხვევაში. წარდგენა-ექპონირების მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრადიციული ნაწარმის **"კოლექციებად"** წარდგენა, რაც როგორც მარკეტინგული კვლევები მოწმობს უკეთესი გაყიდვების არსებითი წინაპირობაა.[86]

## 10.5. ინფრასტუქტურა

***სახელოსნოები***

✓ მცირე გრანტების გაცემა საქართველოს მასშტაბით სახელოსნოების ინფრასტრუქტურული მოწყობისთვის, რაც მოიცავს დანადგარების განახლებას, ფართის ოპტიმალურ ათვისებას, ინტერიერის სათანადო განახლება-გაფორმებას. ამ პრაქტიკის წარმატებული მაგალითებიც, კერძოდ სახელოსნოების, რომლებიც ამაჟამად მოქმედ ტურისტული მარშრუტებშია ჩართული და ტრადიციული რეწვის ოსტატებისა და ორგანიზაციებისთვის ალტერნატიული შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ვხვდებით როგორც საქართველოში ისე საერთაშორისო პრაქტიკაშიც, რაც მიუთითებს, რომ სახელოსნოების ინფრასტრუქტურის გამართვამ და მათი (ისევე, როგორც ღვინის მარნების მოწყობა და ე.წ. "ღვინის გზის" მარშრუტში ჩასმა) ტურისტულ მარშრუტებთან დაკავშირებამ, შესაძლოა, საგრძნობლად გაზარდოს ტრადიციული რეწვის ოსტატებისა და ორგანიზაციების შემოსავლები, როგორც

[86] Lyn Nelson, GACC artisan Competition, Tbilisi, Georgia, June 2013, pp. 7

ტურისტული ჯგუფების მასპინძლობითა და ტრადიციული ტექნოლოგიური პროცესის დემონსტრირებით, ისე მათი პროდუქციის ადგილზე მარკეტინგის თვალსაზრისით.

✓ ქვეყნის მასშტაბით ქალაქის თუ სოფლების ისტორიულ ნაწილში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმებთან და სხვა დაწესებულებებთან საჯარო სივრცეების გამოყოფა სახელოსნოებისთვის, რაც, თავის მხრივ, გაზრდიდა მათ ტურისტულ პოტენციალს, მეორე მხრივ კი ტრადიციული რეწვის ცენტრების ეკონომიკური მდგრადობის და, ამავდროულად, ტრადიციული ცოდნისა და უნარების შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნებოდა.

✓ დამხმარე ინფრასტუქტურის განვითარება, მაგ. ბუნებრივი საღებავების სახელოსნოს დაარსება, რომელიც მხოლოდ საღებავის რეალიზაციეზე იმუშავებდა და მასალით მოამარაგებდა ტექტილის წარმოებას.

## 10.6.დისტრიბუცია

როგორც კვლევამ აჩვენა საქართველოში ტრადიციულ რეწვას არ გააჩნია რაიმე სახის სადისტრიბუციო ქსელი, რაც მნიშვნელოვნად ზრუდავს პროდუქციის მიმოქცევას ტერიტორიაზე. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია:

✓ რეგიონული პრინციპით მწარმოებელთა კოორდინაცია, რაც შეამცირებდა ტრანსპორტირების დისტრიბუციის ხარჯის წილს თვითოეულ მწარმოებელზე.

✓ რეგიონული პრინციპით არსებულ სარეალიზაციო ობიექტების კოორდინაცია და საზიარო დისტრიბუციის არხების შემქნა.

## 10.7.ბაზარი, გაყიდვები

როგორც კვლევამ აჩვენა დღეისათვის შეზღუდულია გაყიდვების არხები: ოსტატების 81.3% გაყიდვების 3 ან ნაკლებ არხს მიმართავს. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია გაყიდვების არხების დივერსიფიკაცია, რაც მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა:

✓ სარეალიზაციო ობიექტების დაარსება რეგიონებში. რეგიონებში, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრებში ტრადიციული რეწვის სარეალიზაციო ობიექტების შექნა, რომლებიც, თავის მხრივ შეიძლება დაარსდეს:

- არსებულ რეგიონულ მუზეუმებთან
- ისტორიულ ძეგლებთან,
- კერძო სახელოსნოებში,
- ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებთან
- კულტურის სახლებთან

✓ არსებულ საყოფაცხოვრებო ნივთებით მოვაჭრე მაღაზიებთან კოორდნიცაცია და ტრადიციული რეწვის ნაწარმის მათ პროდუქციაში სარეალიზაციოდ შეტანა.

✓ ინტერნეტ გაყიდვების ხელშეწყობა, რაც საერთაშორისო გაყიდვების შესაძლებლობას იძლვა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2013 წელს საქართველოს paypal სისტემაში გაერთიანება. შემდეგი ეტაპია ტრადიციული რეწვის მწარმოებლების ჩართვა ისეთ ინტერნეტ მაღაზიებში როგორიცაა etsey.com, novica.com, globalgirlfriend.com და ა.შ. ისევე როგორც ტრადიციულირ რეწვის ნიმუშების ქართული პორტალის შექმნა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია საქართველოდან მცირე გზავნილებზე ფასების რეგულირება.

✓ ექსპორტის ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს ე.წ. "ბაიერებთან" კონტაქტების დამყარებას, ისე საერთაშორისო გამოფენებში და ბაზრობებში საქართველოდან ტრადიციული რეწვის მწარმოებელთა მონაწილეობას, რაც ერთდროულად ექსპორტის, ქვეყნის ბრენდინგისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპილარიზაციის საშუალება იქნება.

## 10.8.პოპულარიზაცია და ბრენდინგი

ტრადიციული რეწვის სექტორის განვითარებისთვის აუცილებელია ფართო საზოგადოებაში დარგის პოპულარიზაციაზე მიმართული სხვადასხვა ღონისძიებების გატარება, როგორც ადგილობრივად ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე.

**ადგილობრივი ღონისძიებები:**

- ✓ ტრადიციული რეწვის დამსახურებული ოსტატების პოპულარიზაცია გამოფენების, ფესტივალების, გადაცემების, ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული სტატიებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით;
- ✓ საფრთხის წინაშე მყოფი რეწვის ტრადიციების პოპულარიზაცია სპეციალური საგანმანათლებლო პოპულარული პროგრამების მეშვეობით.
- ✓ სხვადასხვა მედია საშუალებებით მომხმარებლის გათვითცნობიერება ტრადიციული რეწვის პროდუქციის ხარისხის, ბუნებრივი მასალების გამოყენების, ტრადიციული დიზაინისა და ტექნოლოგიების მნიშვნელობის შესახებ;

**საერთაშორისო ღონისძიებები:**

- ✓ საერთაშორისო გამოფენებში და ბაზრობებში (Messe Frankfurt, Fiera Milano, Santa Fe Folk Art Festival და სხვა) მონაწილეობა ბრენდინგისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საშუალება იქნება.
- ✓ სხვადასხვა ქვეყნებში საქართველოს კულტურის დღეების ორგანიზებისას ტრადიციული რეწვის კომპონენტის ჩართვა.

## 10.9.საგანმანათლებლო ბაზა

***<u>ტრენინგები და უნარების ამაღლება</u>***

სექტორის გასაძლიერებლად აუცილებელია რეწვის სფეროსთან დაკავშირებული ინდივიდებისა და ორგანიზაციების უნარების ამაღლება, ისეთ საკითხებში როგორიცაა:

- ✓ ბიზნესის დაგეგმვა და მართვა
- ✓ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნები, ფუნქციური კატეგორიები, დიზაინის ტრენდები, შეფუთვა, ფასთწარმოქმნა და წარდგენა
- ✓ გამოფენა გაყიდვებში მონაწილეობა
- ✓ ბრენდინგი და მარკეტინგი
- ✓ ფონდების მოძიება

***<u>საგანმანათლებლო სისტემა</u>***

ისტორიულად ტრადიციული რწევის ინდუსტრია შეგირდობის ინსტიტუტზე დაყრდნობით განვითარდა. შესაბამისად, დღესაც შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო საქმიანობას, ფორმალურ და არაფორმალურ სწავლებას განათლების ყველა დონეზე. ამ საკითხს შეეხო 2005 წლის ბელფასტის კონფერენცია, რომელზეც განხილული განათლების და სწავლების პრობლემები. აქვე გამოიკვეთა შემოქმედებითი ორიენტაციის მნიშვნელობა განათლების ყველა სფეროსთვის, ასევე საგანმანათლებლო სისტემაში შემოქმედებითი ინდუსტრიებისათვის საჭირო უნარების ჩართვის აუცილებლობა.

რეწვის ტრადიციების პოპულარიზაციისა და თაობიდან თაობაზე გადასაცემად აუცილებელია მისი საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაცია, როგორც სასკოლო, ისე უმაღლეს და პროფესიული განათლების დონეზე კერძოდ:

***სასკოლო განათლება***

- სკოლებში შრომის გაკვეთილებზე დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების და ქართული ტრადიციული რეწვის დარგების სწავლების ინტეგრირება. ამ მოდელის წარმატებულ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ იაპონიის პრეცედენტი, სადაც კიოტოში ტრადიციული რეწვის სწავლება საშუალო სკოლაში ყველა დონეზე იქნა ინტეგრირებული.
- ზოგადსაგნმანათლებლო სკოლებში საქართველოს ხელოვნების ისტორიის ზოგად კურსში დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების და ტრადიციული რეწვისადმი მიძღვნილი თემატიკის ჩართვა.
- მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის განათლებისა და ტრადიციული რეწვის სწავლების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავება და არსებული კულტურული მემკვიდრეობის განათლებასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელოებში აკმ-ს თემაიტიკის ინტეგრაცია.[87]

***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები***

- პროფესიულ უმაღლეს სასწავლებლებში შემოქმედებითი /კულტურული ინდუსტრიების, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თემატიკის, „კულტურა ეკონომიკური განვითარებისთვის“ სწავლება.
- საზაფხულო პრაქტიკების დაგეგმვა ტრადიციული რეწვის სფეროში/სახელოსნოებში, კერძოდ: ხელოვნებათმცოდნეები, ეთნოგრაფებისთვის ექსპედიციები რეგიონებში ოსტატების და ტრადიციული რეწვის ტექნიკების აღწერის მიზნით;
- უმაღლეს სასწავლებლებში (მაგ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია), დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტების პრაქტიკა ტრადიციული რეწვის ოსტატებთან, რაც ერთი მხრივ ხელს შეუწყობს ახალგაზრდა დიზაინერების ტრადიციებთან დაახლოებას, ხოლო მეორე მხრივ, ტრადიციიულ პროდუქციაში ინოვაციის შეტანას. აღნიშნული პრაქტიკის წარმატებულ მაგალითებს ვხვდებით ინდოეთში და კოლუმბიაში განხორციელებული არაერთი პროექტის სახით.[88]

***პროფესიული სასწავლებლები***

- ✓ დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკის შესწავლის პარალელურად სასწავლო პროგრამაში ჩაერთოს მცირე საწარმოების ბიზნესის მართვის საფუძვლები.
- ✓ მნიშვნელოვანია კულტურის განათლების ხუთივე ეტაპისთვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავება, მასწავლებელთა გადამზადება

[87] კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისტორიული ქალაქების დაცვა, გამოცემულია ICOMOS საქართველოს მიერ. 2014

[88] Designers Meet Artisans, A Practical Guide, published jointly by the Crafts Revival Trust, Atresanfas de Columbia, S.A and UNESCO, 2005